# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 16 მარტი 2000 №48 (1070) | ფასი 50 თეთრი

# ოლდ ტრეფორდზე იები გათელეს

## მანჩესტერის სტადიონზე ძაბვის ვარდნამ თამაში 15 წუთით, იისფერი გუნდის ცხრილში ვარდნამ კი მისი იმედი ერთი კვირით გადადო

REUTERS მანჩესტერიდან




მანჩესტერი — ფიორენტინა 3:1. ენდი კოული (№9) ანგარიშს ათანაბრებს

UEFA CHAMPIONS LEAGUE

**მეორე ეტაპი V ტური**

A ჯგუფი

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 3 |
| ჰერტა | 1 |
| პორტუ | 2 |
| სპარტა | 2 |

B ჯგუფი

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 3 |
| ფიორენტინა | 1 |
| ბორდო | 1 |
| ვალენსია | 4 |

## 2 თამაშიდან სასამართლოში

UEFA CUP

უეფას თასზე გადამწყვეტი ეტაპი იწყება: დღეს პირველი მეოთხედფინალური მატჩებია

## 3 აბრეშუმის რკინიგზა

მოვითხოვთ რევაზ ძოძუაშვილის გადადგომას!

## 6 40 612 დოლარის საქმე

პოლიციამ ეჭვი ფედერაციის ფინანსურ დირექტორზე მიიტანა

**ხვალიდან, პარასკეობით.**

„სარბიელში" იხილავთ საგანგებო ჩანართს — ევროპის ჩემპიონატების ისტორია

# დინამო, ბათუმი და ორიც უგოლო

### საქართველოს თასი მეოთხედფინალი
*პირველი მატჩები*

15 მარტი, ოთხშაბათი

| | |
|---|---|
| დინამო | 4 |
| დილა | 0 |
| სამგურალი | 0 |
| ტორპედო | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| ლოკომოტივი | 0 |
| ბათუმი | 3 |
| კოლხეთი | 0 |

*საქართველოს თასის ორმა მეოთხედფინალისტმა თავი მომდევნო ეტაპზე გაღწეულად პირველივე მატჩების მერე დაიგულა: „დინამომ" 4:0 მოუგო „დილას", „ბათუმმა" — 3:0 „კოლხეთს". თასის ფინალის განმეორება, „სამგურალი" — „ტორპედო" კი კვლავ უგოლო გამოდგა, ისევე, როგორც „ვიტ ჯორჯია" — „ლოკომოტივის" მცხეთური შეყრა*

იხილეთ მესამე და მეოთხე გვერდები

ვაჟა ციმაკურიძის ფოტო




გუშინ მცხეთაში: „ვიტ ჯორჯია" — „ლოკომოტივი" 0:0
ლოკომოტიველი ცეზარ ხუროძე (№10) და ვიტელი სევასტი თოდუა

## ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი
V ტური. 15 მარტი

CHAMPIONS LEAGUE

REUTERS ბარსელონიდან



ბარსელონა — ჰერტა 3:1. ბარსელონელი პატრიკ კლუივერტი (№9) და ბერლინელი კაი მიხალკე

### A ჯგუფი

**ბორდო 1:4 ვალენსია**

0:1 ჟუკიჩი (41), 0:2 მენდიეტა (48პ), 1:2 ვილტორდი (54), 1:3 კილი გონსალესი (71), 1:4 სანჩესი (90)
ბორდო: რამე, გრენე, საველიჩი, ალიკარტე, ბონისელი, ზიანი, დიაბატე (აფანუ 50), პავონი, მიკუ (მიკუ რუვიერი 77), ფეინდუონო (კოლუჩი 62), ვილტორდი
მწვრთნელი: ელი ბოპი
ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, ჟუკიჩი, პელეგრინო, კარბონი, მენდიეტა (ბიორკლუნდი 56), ფარინოსი, ხერარდი, კილი გონსალესი (ოსკარ გარსია 85), ილიე (ანგულო 72), ხუან სანჩესი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: პავონი, კარბონი, ანგულო
გაძევება: საველიჩი (47)
მსაჯი: ფრიც სტუჩლიკი (ავსტრია)
27 000 მაყურებელი

**ბარსელონა 3:1 ჰერტა**

0:1 ალვეში (7), 1:1 ხავი (10), 2:1 გაბრი (49), 3:1 კლუივერტი (82)
ბარსელონა: ჰესპი, ბოგარდი, ფ. დე ბური, აბელარდო (დეუ 53), პუიოლი, გაბრი, ხავი, რ. დე ბური (ლიტმანენი 71), რივალდო, კლუივერტი, ფიგუ (საბროსა 85)
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
ჰერტა: კირალი, რემერი (ნიუენდორფი 59), ჰ. ჰერცოგი, ვან ბურიკი (ვოში 56), სვერისონი, შმიდტი (სანე 79), ჰარტმანი, მიხალკე, კოვიჩი, პრეეცი, ალექს ალვეში
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: ფიგუ, ჰარტმანი, აბელარდო, რემერი, მიხალკე, ნიუენდორფი
მსაჯი: მიშელ პირო (ბელგია)
48 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 4 | 1 | 0 | 15:4 | 13 |
| პორტუ | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | 7 |
| სპარტა | 5 | 1 | 2 | 2 | 4:10 | 5 |
| ჰერტა | 5 | 0 | 2 | 3 | 3:7 | 2 |

*VI ტური. 21 მარტი. ჰერტა — პორტუ; სპარტა — ბარსელონა*

### B ჯგუფი

**პორტუ 2:2 სპარტა**

1:0 ჟორჟე კოშტა (16), 2:0 ნუნო კაპუჩო (64), 2:1 ლოკვენცი (74), 2:2 ფუკალი (90)
პორტუ: ვიტორ ბაია, სეკრეტარიუ, ესკერდინია, ჟორჟე კოშტა, ნუნო კაპუჩო (რუი ბარუში 77), რიკარდუ სილვა, დეკო სოუზა, ჩაინიო (პიეშე 52), დრულოვიჩი, ჟარდელი, დომინგუში (პაულინიუ სანტოსი 88)
მწვრთნელი: ფერნანდო სანტოსი
სპარტა: ბლაჟეკი, გაბრიელი, ნოვოტნი, ბოლფი (ჰორნიაკი 76), ფუკალი, სვობოდა (სიეგლი 80), იაროშიკი, ბარანეკი, როსიცკი, ლოკვენცი, სიონკო (ობაიდინი 55)
მწვრთნელი: ივან ჰაშეკი
გაფრთხილება: ჟარდელი, იაროშიკი, კაპუჩო, გაბრიელი, ბარანეკი, ობაიდინი
მსაჯი: გიუნტერ ბენკო (ავსტრია)
27 400 მაყურებელი

**მანჩესტერი 3:1 ფიორენტინა**

0:1 ბატისტუტა (16), 1:1 კოული (20), 2:1 კინი (33), 3:1 იორკი (70)
მანჩესტერ იუნაიტედი: ბოსნიჩი, გ. ნევილი, სტამი, ჰ. ბერგი, ირვინი, ბექემი, კინი, სქოულზი, გიგზი, კოული, იორკი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, პიერინი, ადანი, ჰაინრიხი, ტორიჩელი (ტაროსი 76), დი ლივიო (ამოროზო 76), რუი კოშტა, როსიტო, ბატისტუტა, მიატოვიჩი (კიეზა 63)
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
გაფრთხილება: ბექემი, ტორიჩელი, ადანი, პიერინი
გაძევება: როსიტო (72)
მსაჯი: რიხარდ ვოიჩიკი (პოლონეთი)
59 926 მაყურებელი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 10:4 | 12 |
| ვალენსია | 5 | 3 | 0 | 2 | 9:5 | 9 |
| ფიორენტინა | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| ბორდო | 5 | 0 | 1 | 4 | 2:11 | 1 |

*VI ტური. 21 მარტი. ფიორენტინა — ბორდო; ვალენსია — მანჩესტერი*

### ინგლისი

გადადებული მატჩები

**ქოვენთრი 1:0 ევერტონი**

1:0 მაკალისტერი (86)

**ლივერპული 0:0 ასტონ ვილა**

### ჰოლანდია

გადადებული მატჩი

**სიტარდი 2:0 აიაქსი**

1:0, 2:0 ამოა (23, 42)

### პოლონეთი

მე-18 ტური. ლკს — პლოცკი 1:2; ზაგლებე — ლეგია 2:3; პოლონია — გროცლინი 1:0; ვისლა — ვიძევი 3:1; სტომილი — პოგონი 1:1; რუხი — რაძიონკოვი 2:1; გურნიკი — ოდრა 0:2; ლეხი — ამიკა 2:1

### შოტლანდია

გადადებული მატჩები

**დანდი იუნ. 2:2 კილმარნოკი**

**სენტ ჯონსტონი 0:1 ჰარტსი**

# თამაშიდან სასამართლოში

UEFA CUP

უეფას თასი. მეოთხედფინალი. პირველი წრე

### არსენალი VS ვერდერი

*შემორჩენილი რვა გუნდიდან სამია, რომელიმე ევროთასის მფლობელი რომ ჰქვია. აქედან ორი სწორედ ამ წყვილშია. საოცარია, მაგრამ „ვერდერი“ აქამდე არასდროს შეხვედრია ინგლისურ კლუბს, „არსენალი“ კი მხოლოდ მესამედ ეთამაშება დასავლეთგერმანულ გუნდს. წინა ორი ლონდონელთათვის მარცხიანი გამოდგა — 70-71 სეზონში მათ უეფას თასზე წააგეს „კიოლნთან“ (2:1, 0:1), ოთხი წლის წინ კი ამავე თასის პირველივე ეტაპზე გამოვარდნენ მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან“ (2:3, 2:3). ასე რომ, „არსენალს“ ტრადიციის დასარღვევად ბრძოლა მოუწევს, მით უფრო, რომ „ვერდერი“ მეტად სახიფათოა, როცა საპასუხო მატჩს შინ ატარებს — ბოლო ათ წელიწადში 14 ასეთი რაუნდიდან 12-ში გამარჯვებული გამოვიდა.*

დღევანდელ მატჩს ბრემენის „ვერდერიც“ კარგი განწყობით ხვდება. გერმანელებმა ხომ ჯერ უეფას თასის მფლობელი გამოთიშეს გათამაშებიდან. შემდეგ კი ბუნდესლიგაში „ფრაიბურგი“ 5:2 გაანადგურეს. თუმც ლონდონურ შეხვედრაში „ვერდერი“ კაცნაკლული იქნება. მისი პერუელი თავდამსხმელი კლაუდიო პიცარო დაშავებულია და ვერ ითამაშებს. მას სავარაუდოდ იუგოსლავიელი რადე ბოგდანოვიჩი შეცვლის.

დანაკლისი „არსენალსაც“ აქვს. მეკარე დევიდ სიმენს კისერი უტკენია და „ჰაიბერიზე“ გუნდს ტრიბუნიდან თუ უქომაგებს. ტონი ადამსი კი გამოჯანმრთელებულა — მას კლაუდიო პიცაროს მსგავსად ჯვარედინი მყესების ტრავმა ჰქონდა, მაგრამ საეჭვოა, არსენ ვენგერმა გარისკოს და უთამაშებელი ფეხბურთელი მინდორზე გაიყვანოს.

### სელტა VS ლანსი

*„სელტა“ მესამედ თამაშობს ევროთასებზე „ლანსი“ კი მერვედ, თუმცა დიდი მიღწევებით ვერც ერთი დაიკვეხნის. ფრანგულმა გუნდმა წლეულს პირველად გააღწია მეოთხედფინალში, ესპანელებს კი ისტორიაში მეორედ ხვდება — წინა ტურში მადრიდის „ატლეტიკოს“ მოუგო და ახლა ვიგოელებს ემუქრება. ამათ შარშან ფრანგულ კლუბთან პირველივე დუელში მარცხი განიცადეს („მარსელთან“ 1:2, 0:0), თუმცა „ბენფიკას“ 7:0 და „იუვენტუსის“ 4:0 დამანგრეველი გუნდი, ალბათ, მაინც ფავორიტად ითვლება.*



კისერნატკენი დევიდ სიმენი თავისიანებს ტრიბუნიდან უქომაგებს



„მალიორკას“ მომჯობინებული იოვან სტანკოვიჩის (მარცხნივ) ეიმედება

„იუვენტუსთან“ საშინაო მატჩის წინ სელტელ ვალერი კარპინს უთქვამს, მაგათი არ გვეშინია და აუცილებლად მოვუგებთო. ახლა რუსის სიტყვები. „სელტას“ მეოთხედფინალში მეტოქედ ფრანგული „ლანსი“ ერგო და კარპინი ახლაც იმუქრება: „ვგრძნობთ, რომ ფავორიტები ვართ. თუმცა ერთი კვირის წინ „იუვენტუსსაც“ ასე ეგონა. ამიტომ როგორც კი მინდორზე გავალთ, ამ აზრს თავიდან ამოვიგდებთ. მეტოქის ძალის შეუფასებლობა არ ივარგებს. მით უმეტეს, საეჭვოა, ლანსელებმა ტურინელთა მსგავსი შეცდომები დაუშვან“.

დღეს „სელტას“ მართლაც მძიმე ბრძოლა ელის. ტრავმების გამომათ ექვსი ფეხბურთელი, მათ შორის კაპიტანი ალექსანდრ მოსტოვოი აკლიათ. (დანარჩენთა გვარებს საინფორმაციო სააგენტოები არ ასახელებენ). მძიმე ბრძოლა რომ იქნება, ეს ფრანგებსაც კარგად ესმით. ისინი გარკვეულწილად ტურნირის დებიუტანტები არიან — „ლანსს“ მეოთხედფინალში აქამდე არასდროს გაუღწევია. მათი მწვრთნელი ფრანსუა ბრისონი ამბობს: „კარგად ვიცი, რომ „სელტა“ მშობლიურ „ბალოდოსზე“ ჩინებულად თამაშობს. ვფიქრობ, ძალიან გაგვიჭირდება“.

### ლიდსი VS სლავია

*აქაც ბევრი არაფერია ხელმოსაკიდი — „სლავიას“ არასდროს უთამაშია ინგლისელებთან, ეგაა, ორჯერ შოტლანდიელებს შეხვდა და ორჯერვე დათმო: 85-86 სეზონში პრაღელებს „სენტ მირენმა“ აჯობა, შვიდი წლის მერე კი „ჰართსმა“. არც „ლიდსს“ გააჩნია ჩეხურ თუ ჩეხოსლოვაკურ გუნდებთან თამაშის დიდი გამოცდილება. მხოლოდ ერთხელ, 70-71 სეზონში ეწვივნენ იორკშირელები პრაღას, სადაც „სპარტას“ შინაური 6:0-ის შემდეგ 3:2 მოუგეს. თუმცა, ისიც გავიხსენოთ, რომ იმ სეზონში „ლიდსმა“, „სპარტა“ რაა, ყველა დანარჩენ მეტოქესაც იგივე ბედი სწია და ბაზრობათა თასის მფლობელიც შეიქმნა.*

მეოთხედფინალში გასული მეორე ინგლისური კლუბი — „ლიდს იუნაიტედი“ „სლავიასთან“ მატჩის წინ არასაფეხბურთო პრობლემების წინაშე დგას. ჯონათან ვუდგეიტს და ლი ბოუერს, რომლებსაც ვინმე აზიელი მამაკაცის სასტიკად ცემაში ედებათ ბრალი, სამშაბათს სასამართლოდან უწყება მოუვიდათ, რომელშიც წერია, რომ მათი საქმის განხილვა 17 მარტს შედგება და ვინ იცის, ეგებ ციხეშიც ამოყონ თავი. ამიტომ საეჭვოა, ისინი მატჩს კარგი განწყობით ხვდებოდნენ. მიუხედავად ამისა, დევიდ ოლირი ბოუერის სასტარტო შემადგენლობაში დაყენებას უპირებს. ვუდგეიტი კი ისედაც ვერ ითამაშებდა — ის ტრავმირებულია.

ჩეხთაგან დისკვალიფიცირებული თავდამსხმელი ლუდეკ ზელენკა ვერ იასპარეზებს. პაველ ჰორვატს, პეტრ ვლჩეკს და ლიბორ კოლერს კი ტრავმები მოუშუშებიათ და სავარაუდოდ მოედანზე იქნებიან.

### მალიორკა VS გალათასარაი

*თუ ევროგამოცდილებას საბოლოო ჯამში რაიმე მნიშვნელობა აქვს, „მალიორკა“ სათამაშოდ საერთოდ არც უნდა გავიდეს: ესპანელები დღეს ევროთასებზე თავის მე-19 მატჩს ჩაატარებენ, თურქებისთვის კი წლევანდელი გათამაშება 29-ეა, რომელშიც ისინი მონაწილეობენ (სულ 133 მატჩი). არც ის დაგვავიწყდეს, რომ ჩემპიონთა ლიგის ხანმოკლე ისტორიის მანძილზე „გალათასარაიმ“ ხუთჯერ მოასწრო ამ ტურნირში თამაში. ისე, ესპანელებთან სტამბოლელები ბევრს ვერაფერს ხეირობენ — აქამდე რვაჯერ შეხვედრიან და ორი მოგებისა და ხუთი გატანილი ბურთის მეტს ვერას გამორჩნენ.*

„მალიორკას“ იუგოსლაველი ნახევარმცველის იოვან სტანკოვიჩის იმედი აქვს. ამ ფეხბურთელს მუხლის ტრავმის გამო სამი თვე გაუცდა. გამოჯანმრთელებული სტანკოვიჩი პირველად „მონაკოს“ წინააღმდეგ მატჩში გამოჩნდა და ჰეთ თრიქიც შეასრულა, თუმცა შემდგომ ნატკენმა მუხლმა თავი შეახსენა და საპასუხო შეხვედრაში, ისევე როგორც ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, არ უთამაშია. დღეს კუნძულელთა მწვრთნელი მარიო გომესი გარისკავს და ფეხბურთელის მინდორზე გაყვანას აპირებს.

„გალათასარაის“ კი ტრავმირებული არავინ ჰყავს. თურქთა თავკაცი ფათიხ თერიმი ამბობს: „ჩვენს შესაძლებლობებს ბოლომდე თუ გამოვავლენთ, უეჭველად მოვიგებთ. აქამდე ბრძოლით მოვსულვართ და დანებებას არც ახლა ვაპირებთ“.

# აბრეშუმის რკინიგზა
## ანუ მოვითხოვთ ძოძუაშვილის გადადგომას!

ფეხბურთის ფედერაციის ცნობილ გადაწყვეტილებაზე გაზეთებში ბევრი დაიწერა. სერიოზულადაც, ქილიკითაც. ორხელისუფლებიანობაზე ქვემოთ თითქმის არაფერი ითქმება. ვგულისხმობთ, რომ რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი შეიმუშავებენ ორი კაცის მიერ გუნდის მართვის მეთოდოლოგიას. იქნებ, გზადაგზა ისიც გაირკვეს, რომ ერთ-ერთი მათგანი „ცოტა უფრო" მთავარი მწვრთნელია. მთავარია, ძოძუაშვილმა და ყიფიანმა კორეასა და იაპონიამდე მიგვიყვანონ. რა გზით — მათი საქმეა, ვერავინ ჩაერევა. რომც დავაპიროთ, რა გვრჯის, ვთქვათ და, გაამართლოს ორმა მწვრთნელმა?

პრობლემა სხვაა. ორივეს, ყიფიანსაც და ძოძუაშვილსაც, ნაკრებთან ერთად კლუბებიც აბარია. აი ამან კი, შესაძლოა, მართლაც გაგვირთულოს მიზნის მიღწევა. შევეცდებით, დავასაბუთოთ.

მოკლე პრეისტორია: ნაკრებში დანიშვნამდე ყიფიანი უკვე წვრთნიდა „ტორპედოს". ამან ფედერაციის პრეზიდენტიც დააფიქრა: — სასურველი იქნებოდა, ძოძუაშვილს მხოლოდ ნაკრებში ემუშავაო, — განაცხადა მერაბ ჟორდანიამ, მაგრამ... — სექტემბრამდე ოფიციალური თამაში მაინც არ გვიწევს, მიჯობს, კლუბშიც დავსაქმდეო — ბრძანა რამდენიმე დღეში ძოძუაშვილმა და „ლოკომოტივიც" ჩაიბარა — ჯერ სეზონის ბოლომდე, თუ ჩემი მუშაობა დააკმაყოფილებთ, იქნებ სავაისოდაცო — დასძინა.

*ეროვნული ნაკრების, თან საქართველოს ნაკრების მწვრთნელს, სექტემბრამდე საქმე არ ექნება?!*

ნაკრების გაწვრთნა, ცხადია, მხოლოდ ვარჯიშის ჩატარება, შემადგენლობისა და ტაქტიკური მონახაზის დადგენა არაა. მატჩებსშორის შუალედებში საქმე ულევია. ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, მაგრამ მაინც ჩამოვთვალოთ: ეროვნული ჩემპიონატის რაც შეიძლება მეტი თამაშის ნახვა; მუდმივი კონტაქტები საკლუბო მწვრთნელებთან, ფედერაციის მოხელეებთან; ლეგიონერთა თამაშების ხილვა და მათ მწვრთნელებთან კავშირი; მეტოქეთა თამაშებზე დასწრება, მათი განხილვა; მოწინაალმდეგეთა დოსიეების შედგენა; ნაკრების წინა თამაშების გარჩევა-გაანალიზება, თითოეული მოთამაშის ავ-კარგის განსჯა; მომავალი მატჩების დაგეგმვა. ამასთან, ზოგადად, ყველა საფეხბურთო მოვლენაზე თვალისა თუ ყურის მიდევნება.

ერთი სიტყვით, მუდმივად — სტადიონიდან სტადიონზე, ერთთავად — ტელევიზორსა თუ ვიდეომაგნიტოფონთან, ბლოკნოტითა თუ ტელეფონით ხელში. ასე ხდება ყველა ნორმალურ საფეხბურთო ქვეყანაში, იქ, სადაც ყველაფერი საათივითაა აწყობილი, ნაკრების მწვრთნელს კი კომპიუტერული სისტემები, არქივი, უამრავი ადამიანი ემსახურება.

მწვრთნელთა საბჭოო? — გვეტყვიან, სწორედ რომ მთავარ მწვრთნელთა დასახმარებლად შეიქმნაო.

ორი მთავარის გარდა, 16 კაცია ამ საბჭოში. რა თქმა უნდა, ახალგაზრდული თუ თვრამეტწლამდელთა ნაკრებების, თბილისის „დინამოს" „ბათუმისა" თუ „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელები, ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი საქმიან რჩევებს არ მოაკლებენ ძოძუაშვილსა და ყიფიანს, მაგრამ, სრულიად გაუგებარია, რა ფუნქცია ექნებათ საბჭოში 16 და 14 წლამდელთა, საქართველოს მოყვარულთა, ვეტერანთა (?!) ნაკრებების, ანდა ს.კ. „ფაზისისა" თუ ს.კ. „ზოოვეტის" მწვრთნელებს.

საბჭო მუშაობასაც შეუდგა. უახლოეს სხდომაზე ნაკრების 40-50 კანდიდატზე ვილაპარაკებთო, განაცხადა ძოძუაშვილმა კვიპროსული ტურნირის წინ. ძნელი სათქმელია, ამ 50 კაციდან რამდენი მოხვდა ნაკრების შეკრებაზე, ფაქტი კი ისაა, რომ შეკრიბეს იმ დროისთვის თბილისში მყოფი ფეხბურთელები, ათამაშეს საკონტროლო და საკვიპროსო შემადგენლობაც აქედან შეირჩა. იმ მატჩის მონაწილეებიდან ორი [illegible] ერია, ერთიც — ქუთაისელი, დანარჩენი „დინამოსა" და „ლოკომოტივის" შემაჯიშე ხალხი იყო. დავიჯერო, „ბათუმის" მწვრთნელსა და მწვრთნელთა საბჭოს წევრს, ჯანი კარნეველს თავის გუნდში არავინ ეგულება ნაკრებში თამაშის ღირსი, არავის შეაწია სიტყვა *საბჭოს სხდომაზე?* ახლა სხვა გუნდების ფეხბურთელები?

მთავარ პრობლემასაც მივადექით. ვინ უნდა ითამაშოს ნაკრებში?

(აქედან მოყოლებული, მხოლოდ ძოძუაშვილზე ვისაუბრებთ. კვიპროსში წასაყვანი შემადგენლობა მხოლოდ მან შეარჩია და იმიტომ. რა თქმა უნდა, კოლეგასაც შეუთანხმა. გეხსომებათ, ყიფიანი იმ დროს ჯერ „ტორპედოს" ახლდა თურქეთში შეკრებაზე, მერე ბუქარესტს გაემგზავრა შესარჩევის კალენდრზე მოსალაპარაკებლად და ნაკრებს კვიპროსზეღა შეუერთდა).

რასაკვირველია, ნაკრების მთავარ ძალას ახლაც ლეგიონერები შეადგენენ. ზოგიერთი ნაკრებში უკვე მეოთხე შესარჩევ ციკლს დაიწყებს. მაისურები 7-დან 11 ნომრამდე, ფაქტიურად, დაკავებულია, შეიძლება ითქვას, პრივატიზებულიც: 7. ნემსაძე; 8. ჯამარაული; 9. ქეცბაია; 10. ქინქლაძე; 11. შ. არველაძე. ესენი, თუ ჯანზე იყვნენ, ოფიციალურ მატჩებში, 1994 წლიდან მოყოლებული, ყოველთვის თამაშობდნენ და, ალბათ, ახლაც ითამაშებენ.

თუ ჯანზე იყვნენ-მეთქი, მაგრამ, მოგეხსენებათ, ორი წლის წინ გაჩნდა პრობლემა: თითქმის ყველა მოწინავე ლეგიონერი ან ტრავმირებული იყო, ან უგუნდოდ დარჩა, ან ფორმაში ვერ იყო და კლუბის შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა. ნაკრების მაშინდელი მწვრთნელს, ვლადიმერ გუცაევს მართლაც ძალზედ ვერ გაუმართლა.

ფუი, ეშმაკს და, მსგავსი გასაჭირი ახლაც შეიძლება დაგვიდგეს. გამოსავალი ერთია — საქართველოს ჩემპიონატი. *რავინდ გასაცოდავებულიც უნდა იყოს ჩვენი ეროვნული პირველობა, იქ მოთამაშე ფეხბურთელებში მაძებარი კაცი მაინც აღმოაჩენს ორ-სამ ფეხბურთელს, რომელიც სათანადო ფიზიკური, ტაქტიკური და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიური მომზადებისა და ადაპტაციის შემდეგ ეროვნულ ნაკრებში ჩაჯდება.* [illegible] აქ თვრამეტ კაცში რა ეძებოს, ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებში კი — არა მარტო თბილისის დინამოელებში! ამ თვალსაზრისით გუცაევს მთელი მოსამზადებელი პერიოდი ჩაგდო და მხოლოდ საბერძნეთთან სამარცხვინო წაგების შემდეგ დაფაცურდა. მოგვიანებით ბოსკამპიც აღმოჩნდა მსგავს სიტუაციაში, მაგრამ მას მოსამზადებელი პერიოდი არ ჰქონია, იძულებული გახდა, პირდაპირ ოფიციალურ თამაშებში გამოეცადა ახალბედები. ორივემ იპოვა საჭირო ხალხი, სწორედ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშენი! ორჯერ მშვენივრად ითამაშა დაცვაში ბალაშვილმა, მაგრამ მესამე მატჩი ჩააგდო; საბერძნეთთან ერთ-ერთი საუკეთესო იყო ახვლედიანი, სლოვენიასთან კი ველარ ივარგა. ორივეს გამოცდილება, ნაკრებში ჩატარებული ამხანაგური თამაშები არ ეყო (სხვათა შორის ორივეს სანაკრებო კარიერა სლოვენმა რუდონიამ შეიწირა).

ნაკრების მწვრთნელი ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელს უნდა იცნობდეს. ჩემპიონატის ყველა ტურში რამდენიმე მატჩს უნდა დაესწროს, შეუთანხმდეს ფედერაციას, ორ დღეს კი არა, სამ დღეს გაწელოს ტური, სხვადასხვა დროს დაიწყოს თამაშები, რათა 3 საათზე ავჭალაში რომ თამაში დაიწყება, იქიდან 5 საათზე ავლაბარში მისვლა მოასწროს, მეორე დღეს გორში წავიდეს, მესამე დღეს — სამტრედიაში. სად გვყავს ჩვენ დასაკარგი ფეხბურთელები?

არადა, ნაკრებში აქამდე მომუშავე მწვრთნელებს ამ მიზნით თბილისიდან, მგონი, ფეხიც არ გაუდგამთ. აქვე არ იყო „დინამო"? მიკერძოებაზე არ ვლაპარაკობთ, უბრალოდ, „დინამოში" უფრო ადვილია ფეხბურთელის შემჩნევა. მაგალითი გნებავთ? — თენგიზ სიჭინავა არავის ჩაუთვლია ნაკრებში განსინჯვის ღირსად, სანამ „დინამოში" არ გადავიდა. რა, ბათუმში უარესად თამაშობდა?

საკლუბო მწვრთნელი, თუნდაც ორი, მოახერხებს მთელი საქართველოს რამდენჯერმე შემოვლას? როგორ არაო, იტყვიან: ყიფიანი 1-8 ადგილებისთვის მებრძოლ გუნდებს დააკვირდება, ძოძუაშვილი 9-16-ადგილოსნებს. „ტორპედოსა" და „ლოკომოტივს" როგორღა უხელმძღვანელებენ? თუ საბჭოს წევრები დაიწყებენ კარდაკარ სიარულს?

დავუშვათ, მწვრთნელთა საბჭოს დახმარებით მოხერხდა ყველა საუკეთესოს შერჩევა. როდისღა გამოცდით? კლუბთა ნაკრების იდეა, გაგიხარიათ, კარგია (აქამდეც იყო გასაკეთებელი), სხვადასხვა კლუბებსაც გავაჯიბრებთ, მაგრამ, ამხანაგური მატჩები, სანაკრებო დონეზე, სექტემბრამდე რამდენი მოესწრება? კი ბატონო, ისრაელთან თამაში გაჩარხა ფედერაციამ, მაგრამ მთელი მოსამზადებელი ციკლის წინასწარ დაგეგმვა არ შეიძლება? რატომ ხდება, რომ საგანგებოდ ნაკრებთა ამხანაგური მატჩებისთვის გამოყოფილ დღეებში, წლიდან წლამდე, მთელი მსოფლიო თამაშობს საქართველოს გარდა? ორი წელია, გავიძახით, ნორვეგიას თბილისში ჩამოსვლა მართებსო, როდესღა გავასტუმრებინებთ ვალს? მაინცდამაინც ესტონეთს უნდა ვეთამაშოთ ან აზერბაიჯანს, ისიც განჯაში, ყაზახში, ან სადმე, წითელ ხიდთან?

კვიპროსულ ტურნეს დავუბრუნდეთ. გუცაევისგან განსხვავებით, ძოძუაშვილმა აქცენტი სწორედ საქართველოში მოთამაშეებზე გააკეთა. შემადგენლობა სამი საკონტროლო მატჩის შემდეგ დასახელდა: „ვიტ ჯორჯია" — „დინამო", ახალგაზრდული ნაკრები — „დინამო", ნაკრების კანდიდატთა ორმხრივი თამაში. საბოლოოდ 18 კაცი შეირჩა. (ნეტავ, საბჭოს რეკომენდაცია რომელს ჰქონდა ამ თვრამეტში?) ამათგან 8 მრავალნაცადი მოთამაშე იყო (ქეცბაია, ა. არველაძე, ზ. ჯანაშია, ყაველაშვილი, ჯამარაული, შეყილაძე, ნემსაძე, ჩიხრაძე); 4 იმ დროისთვის „დინამოში" ვარჯიშობდა (გრიშიკაშვილი, სიჭინავა, ნემსაძე, ქემოკლიძე); 4 — „ლოკომოტივში" (ხიზანიშვილი, ჩიხრაძე, მერაბ ძოძუაშვილი, კვარაცხელია); ოთხს სხვადასხვა დროს ძოძუაშვილთან უთამაშია რიგის „სკონტოში" (გვარამაძე, გრიშიკაშვილი, სილაგაძე, მენთეშაშვილი) და მხოლოდ ერთი იყო ქუთაისელი (ხვადაგიანი). სხვა გუნდები? იქნებ ამ დროს უცხოეთში იყვნენ სავარჯიშოდ? ნაკრების შეკრებაზე არაფერი იცოდნენ?

ძოძუაშვილი იმასაც დაგვპირდა, რომ სხვა დროს აუცილებლად განიხილავს დავით ჩალიძეს, ცეზარ ხურციძეს და არაბ ჯულაძეს. სამივეს ჯერ კიდევ ლეგიონერობიდან იცნობს. ჯულაძე საუდის არაბეთშიც ახლდა.

ცალკეა სათქმელი 19 წლის დიდად ნიჭიერ მერაბ ძოძუაშვილზე. იგი არასოდეს მოხვედრილა 16, 18 თუ 21-წლამდელთა ნაკრებებში, საქართველოს ჩემპიონატში ათიოდჯერ ჩათამაშებია და ოთხი გოლიც გაუტანია. პირდაპირ ეროვნულ გუნდში შეიძლება 25 წლის კაცი მოხვდეს, მაგრამ, თინეიჯერი, ბუნებრივია, ჯერ ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელებს უნდა შეემჩნიათ. გვარი აქ არაფერ შუაშია და, საერთოდაც, ძოძუაშვილის ობიექტურობაში ეჭვი არავის ეპარება. ნაკრების მწვრთნელი ყოველგვარ ეჭვზე მაღლა უნდა იდგეს!

დასკვნა უბრალოა: კაცს სამი წელიწადია, საქართველოში არ უმუშავია და, ჯერჯერობით, ვიდრე სხვებს გაიცნობდეს, ის ხალხი აარჩია, ვისაც „სკონტოდან" იცნობდა, ან ვისი გაცნობაც „ლოკომოტივში" მოასწრო. მართალია, ამბობს, ნაკრების საბაზო გუნდად უფრო „დინამო" მესახებაო (რატომ?), მაგრამ, აშკარაა, „ლოკომოტივში" აპირებს სანაკრებო ლაბორატორიის მოწყობას.

არც ერთი ზემოხსენებული ფეხბურთელის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს: კი ბატონო, ჯერ ესენი გავსინჯოთ, მერე სხვები, „არათბილისელები", მაგრამ მოვასწრებთ ყველას ნახვას და მერე გამოცდას? ამაზე უკვე ვისაუბრეთ.

არადა, მახსოვს, ჯანი კარნეველე კახა კობიძეს აქებდა ძალიან...

მწვრთნელთა საბჭოს ფოთელი ჯონი შალამბერიძე მოსწონებია...

მოკლედ, აგერ — ჩვენ, აგერ— 29 მარტი და ისრაელი, აგერ — ყიფიანი, ძოძუაშვილი და მწვრთნელთა საბჭო.

ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და, ეს მწვრთნელთა საბჭო, მომკალით და, ფიქცია მგონია, ისევე, როგორც ყველა საბჭო ერთ დროს დედამიწის ერთ მეექვსედზე.

ჩვენს ყოფილ სამშობლოსთან დაკავშირებით სხვაც ხომ არ გენიშნათ? საბჭოებზე უკვე მოგახსენეთ. ეს დინამო — ტორპედო — ლოკომოტივებიც იქეთ იყოს და, რომელ ქვეყანაში უმწვრთნელია რამდენიმე კაცს ერთდროულად? — საბჭოთა კავშირში (ლობანოვსკი — ბაზილევიჩი, ბესკოვ— ახალკაც — ლობანოვსკი); სად ჰყვარებიათ ნაკრებისა და კლუბის მწვრთნელობის შეთავსება? — საბჭოთა კავშირში (ლობანოვსკი, ბესკოვი); კიდევ? — რუსეთში (რომანცევი); უკრაინაში (ლობანოვსკი); სად ჰყოლიათ საბაზო გუნდები? — საბჭოთა კავშირში, მერე — უკრაინაში. სად იყო ეს ბაზები დისლოცირებული? — კიევში. რას მიაღწიეს სანაკრებო დონეზე? — მონრეალის ოლიმპიადაზე მოიგეს ბრინჯაოს მედლები. (ყიფიანი მეჩვიდმეტე კაცად წაიყვანეს და არ ათამაშეს).

თუ სხვა, უფრო განვითარებული საფეხბურთო ქვეყნებიდან მოიყვანთ მაგალითს, მადლობელი დაგირჩებით.

თუ მიბაძვაა, იმ სხვა, უფრო განვითარებულ ქვეყნებს მივბაძოთ!

ბაზები ვაზიანიდან და ბათუმიდან გაგვყავს და ახლა „ლოკომოტივი" — ბაზა გვინდა?!

ყველაფერი, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, რა თქმა უნდა, ჩვენზე უკეთ რევაზ ძოძუაშვილს მოეხსენება. უბრალოდ, კაცს სამშობლოში მუშაობა მოენატრა, ძალა ერჩის და ორ საქმეს ერთდროულად შეეჭიდა. კი, „ლოკომოტივსაც" გავუძღვები, სეზონის ბოლომდე, თუ ჩემი მუშაობა დააკმაყოფილებთ, იქნებ შემდეგ სეზონშიც, ოღონდ, თუ ნაკრებში ხელი არ შემეშალაო — ადრე ამბობდა, ახლა უთქვამს, მომავალ სეზონშიც „ლოკომოტივში" ვიქნები, გადაწყვეტილი საქმეაო.

რამდენადაც ვიცი, არც ყიფიანი აპირებს „ტორპედოდან" წასვლას.

საქართველოს ნაკრები კი აბრეშუმის გზას უნდა შეუდგეს: კორეა — იაპონიამდე.

მიზნის მისაღწევად ორიდან ერთი უნდა გადადგეს.

ყიფიანი თუ ძოძუაშვილი!

„ტორპედოც" ცოდვაა და „ლოკომოტივიც", მაგრამ... „ტორპედო" ჩემპიონობისთვის ბრძოლაში შუა გზაზეა, „ლოკომოტივი" ქვედა ლიგაში, ალბათ არ გავარდება.

ამიტომ, სანამ დროა, ხომ არ მოგვეხედა ძოძუაშვილის გადადგომას? (ცხადია, „ლოკომოტივის" მწვრთნელობიდან).

იაპონიამდე რკინიგზით ვერ ჩავაღწევთ!

**მამუკა ჩიხლაძე**



[illegible] ფოტო

ძოძუაშვილი და ძოძუაშვილი ეროვნული გუნდის კვიპროსისწინა შეკრებისას

# საქართველოს თასი

## მეოთხედფინალი *პირველი მატჩები*

# ფეხბურთი ლაითი

მცხეთა
15 მარტი
15 საათი
არმაზი
2 000 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 0:0 ლოკომოტივი**

**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ჭანკოტაძე, თოდუა, ჯ. მუჯირი, საჯაია, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, ვ. გოჩაშვილი (ი. ხაჭაპურიძე 68), ყიფიანი, ლ. მელქაძე (რ. გოცირიძე 85), გიორგი ქორიძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ზ. გვაზავა, კოტორაშვილი, კობიაშვილი, დ. დოლიძე
**ლოკომოტივი:** ლომაია, გილაური, აბრამიძე, ჩიხრაძე, გ. ჩხაიძე, კვარაცხელია, ჭიჭვეიშვილი, ჯულელი, ლ. მიქაძე, ძოძუაშვილი (დ. გოდერძიშვილი 69), ხუროძე
*სათადარიგონი:* ნიკურაძე; პარამონოვი, ბაქრაძე, კაციაშვილი, ონიანი, გ. გვაზავა
**გაფრთხილება:** ყიფიანი (20), თოდუა (72), ჯულელი (75), ჭანკოტაძე (81)
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

**ხვიჩა სანიკიძე მცხეთიდან**

ᲬᲔᲡᲘᲐ, სათასო თამაშის ალწერამდე გუნდების მიერ ამ ეტაპამდე განვლილ გზას იხსენებენ ხოლმე და გულშემატკივარიც შესაბამის დასკვნებს აკეთებს. „ვიტ ჯორჯიას" და „ლოკომოტივის" გუშინდელი მეოთხედფინალური შეხვედრის ნახვამ მსგავსად მოქმედებაზე ხელი ამაღებინა და სურვილი დამიკარგა, გამეხსენებინა, როგორ მოაღწიეს მათ მეოთხედფინალამდე.

„ლაით" — ინგლისური სიტყვაა და ქართულად რბილს, მსუბუქს ნიშნავს. პოპულარობა ამ სიტყვამ ძირითადად სიგარეტის მწეველ ხალხში მოიხვეჭა. ხომ გაგიგიათ, „მარლბორო ლაით", „კენტ ლაით" და ასე შემდეგ. როცა კაცს სურს, მოწევას თავი დაანებოს, ნიკოტინით საკმაოდ გაჯერებული სიგარეტიდან ლაითის — მცირე დოზით ნიკოტინის შემცველელის გაბოლებას იწყებს და... როცა კვამლის პირიდან გამოშვება მოსწყინდება, სიგარეტსაც აღარ ყიდულობს.

დაახლოებით ამგვარი მსგავსებაა უცხოურ ფეხბურთსა და ქართულს შორის, თუმც მის გადაგდებას ვერ ვახერხებთ.

ფეხბურთი ლაითი — აბა, სხვა რა უნდა უწოდო იმას, „არმაზზე" მისულმა ორი ათასამდე კაცმა რომ იხილა. მოედანიც ლაითი — ასეთ მძიმეგრუნტიან ბალახეულის საფარზე დაბალი ბურთის გაგორებას აზრი არა აქვს. ხშირია ტრავმები. მოთამაშეებს სწრაფად გადაადგილება უჭირთ. სიმართლე გითხრათ, „არმაზზე" ერთი ნორმალური თამაში არ მინახავს და არც გუშინ ველოდი ლამაზ სანახაობას, მაგრამ თუ „ვიტ ჯორჯია" და „ლოკომოტივი" მომავალშიც ასე აპირებენ გაგრძელებას; დალუპულან და ესაა ამ კლუბების მესვეურები და ქომაგები.

ცდებიან რკინიგზელები, თუ ფიქრობენ, რომ საპასუხო მატჩის წინ მცხეთაში სასურველი ანგარიში გაახერხეს და თასის დასაუფლებლად კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს. ალბათ, ვიტელებსაც სტუმრად უკეთესის მიღწევის იმედი აქვთ, მაგრამ დავიჯერო, დანარჩენი ნახევარფინალისტები ისეთი გულუბრყვილონი იქნებიან, რომ ვეტერინარებს 26 მაისის ფინალისკენ გზა გაუკაფონ?

მავანი იტყვის, გადაჭარბებული კრიტიკააო. თავად განსაჯეთ — მთელი 90 წუთის განმავლობაში მასპინძლებმა 7-ჯერ დაარტყეს კარისკენ, სტუმრებმა 6-ჯერ. აქედან სერგო კოტრიკაძის შეგირდებმა კარს 4-ჯერ დაუმიზნეს, რევაზ ძოძუაშვილის დამოძღვრილებმა ერთით ნაკლებჯერ, ოთხოთხჯერ კუთხური ჩააწოდეს და მორჩა. დაჯარიმება, იცოცხლეთ — 19-ჯერ ვიტელებმა დაასტვენინეს მსაჯს, 17-ჯერ — რკინიგზელებმა.

ტაქტიკურ სქემებზე არაფერს ვამბობ. ისე შეჯგუფდებოდნენ-ხოლმე ფეხბურთელები ხუთმეტრიან რადიუსში, საკმაოდ მოკაშკაშე მზეს ძალიანაც რომ მოენდომებინა, მათ დაკავებულ ფართობზე ერთ სხივსაც ვერ ჩაანათებდა.

„ლოკომოტივის" ვეტერანის ივანე ჯულელის გადაადგილებებმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჯულელი თავდამსხმელთა დუეტის უკან, ჯულელი — საყრდენზე, ჯულელი უკანა მცველის პოზიციაზე, ჯულელი გიალო ჩხაიძის დაზღვევაზე და ასე შემდეგ. მას შეიძლება თამამად ეწოდოს გუშინდელ მატჩის ფიგარო ანუ თავისუფალი ამპლუის ფეხბურთელი. ისე, კვარაცხელიას და ჭიჭვეიშვილის ჰავეკობა აქამდე არ მენახა...

ღმერთმა შეძლება მისცეს ივანეს, ასე მონდომებულად ემოძრაოს მოედნის ყველა მიმართულებით... მონდომება არც მის თანაგუნდელებს აკლდათ და მწვრთნელის დავალება — მჭიდროდ ეთამაშათ და გოლი არ გაეშვათ, შეასრულეს...

რაც შეეხებათ კოტრიკაძის შეგირდებს, შეხვედრის დებიუტში მეტოქეების მღელვარებისგან დაბლნეულობა ეტყობოდათ და ამ კომპლექსისგან განთავისუფლება ბოლომდე ვერ მოახერხეს. თუმც ვიტელთა ქაოსურად მოქმედება მარტო ნერვიულობას რომ დავაბრალოთ, უმართებულო იქნება. ვეტერინარებს გუნდურ თამაშთან საერთო არაფერი ჰქონდათ. ამიტომაც, მეტოქის საჯარიმოსთან ოდნავ მიახლოებისთანავე მხოლოდ კარისკენ დარტყმაზე ფიქრობდნენ. ყიფიანისა და დილმელაშვილის შორეული დარტყმები ან მცველებს ხვდებოდა, ანაც ლომაიას იოლი ნადავლი ხდებოდა.

ორად ორი დასამახსოვრებელი მომენტი შეიქმნა.

23-ე წუთზე გილაური მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა, მასპინძელთა საჯარიმოში სახიფათოდ ჩააწოდა და ჯულელმა დაახლოებით 7 მეტრიდან თავურით ააცილა.

79-ე წუთზე ქორიძემ ცრუ მოძრაობით ლოკომოტიველ მცველთა დუეტი ჩიხრაძე-აბრამიძე განზე დატოვა და საჯარიმოს ხაზიდან დაბალი დაურტყა ლომაიას. რკინიგზელთა კარის დარაჯმა ფეხებით მოიგერია ბურთი.

რახან ვიტჯორჯიელთა შორეული დარტყმები ვახსენე, არ შეიძლება, მახაჭყალის „ანჟიდან" „ლოკომოტივში" გამობრუნებული ლევან მიქაძის გასროლაზე არაფერი ვთქვა. მიქაძემ პირველი ტაიმის მიწურულს დაახლოებით 35 მეტრიდან ისე დაარტყა, ბურთი რომ კარისკენ წასულიყო, მერე გენახათ.

კიდევ კარგი, უფასოდ იხილა ხალხმა გუშინდელი ფეხბურთი ლაითი. გოლი რომ გასულიყო, ისიც დაკარგავდა ფასს. „ვიტ ჯორჯია" — „ლოკომოტივის" შეხვედრას ძალიან მოუხდა ბუბლიკები...



გიალო ჩხაიძის (№6) „ლოკომოტივი" და გიორგი ქორიძის „ვიტ ჯორჯია" უგოლოდ გაიყარნენ

# ინტრიგა იყო, აღარ არის

ბათუმი
15 მარტი
15 საათი
დინამო
5 000 (ტევადობა 20 000)

**ბათუმი 3:0 კოლხეთი**

1:0 მუჯირი (73), 2:0 მაჭუტაძე (82), 3:0 ხომერიკი (87)
**ბათუმი:** ჩლაიძე, ი. მახარაძე, ზ. არჩვაძე, სიდამონიძე, შ. ხუჯაძე, მინდაძე (რომანაძე 61), ღლონტი, ტუღუში (მაჭუტაძე 71), ხომერიკი, ა. მუჯირი, აფხაზავა (თარგამაძე 79)
*სათადარიგონი:* ტოგონიძე, თედორაძე, ქაცარავა, სიხარულიძე
**კოლხეთი:** ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, დავითნიძე, გ. ჩიტაია (რ. ახალკაცი 64), მ. ქობულაძე, კედელაშვილი, ფანჩულიძე (ტრაპაიძე 55), კიკლიაშვილი, ლალანიძე, შავგულიძე (ე. გვასალია 46)
*სათადარიგონი:* მ. გვასალია, პაპავა, ანჯაფარიძე, ქუნთელია
**გაფრთხილება:** გოროზია (37), ფანჩულიძე (39), არჩვაძე (65), რომანაძე (79)
**გაძევება:** გოროზია (72)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ა. შილაკაძე; ს. კახიანი (ორივე თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ იქნა, მარტის ჭირვეულობას ბოლო მოელო და ბათუმში მზემ გამოანათა. გამოდარებით კი გამოიდარა, მაგრამ ეს ბოლო დღეებია, ნამეტანი მოუვიდა დედაბუნებას. წვიმებს ბოლო აკორდად თოვლიც დაერთო და ამ სათასო მატჩის ჩატარება კვლავ საეჭვო გახდა, თუმც დინამოს სტადიონის დირექციამ დიდი ჯაფის ფასად მოახერხა, მინდორი თოვლისგან გაწმინდა და ამჯერად ანატოლი მილჩენკომ თამაშის ჩატარებას მწვანე შუქი აუნთო.

თუ „ბათუმი" გუშინდელ მატჩს დასვენებული შეხვდა, კოლხებს პირიქით — „დინამოსთან" ურთულესი ბრძოლა ჰქონდათ გადატანილი. ოღონდ მათ სასიკეთოდ რამდენიმე ფაქტორი მოქმედებდა. ერთი, რომ ჩემპიონთან ფრემ ერთგვარი ამაღლებული განწყობა შეუქმნათ. მეორეც, შალამბერიძის გარდა დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავდათ. დაბოლოს — ატალახებულ მინდორზე პრაქტიკა გაევლოთ და წესით ასეთივე პირობებში არც უნდა გასჭირვებოდათ.

კარნევალეს „ბათუმი" გუნებაში რასაც „ტორპედოს" უპირებდა, ის ენერგია „კოლხეთს" დაატეხა თავს. თუმცა ამას მხოლოდ მატჩის ბოლოსკენ მიაღწია. კოლხთა განადგურებას საფუძველი თავიდანვე შემტევი სტილით თამაშმა ჩაუყარა. საწყის წუთებში ბათუმელთა დომინირება ერთობ თვალშისაცემი გახლდათ. უკვე მეათე წუთისთვის შეიქმნა პირველი ხიფათი სტუმართა კართან, როცა ჩიტაიას შეცდომა კინაღამ გოლად აქცია ტუღუშმა.

„ბათუმი" მთლიანად აკონტროლებდა სიტუაციას. ფართო ფრონტით უტევდა და კოლხ მცველებს გვარიანი ჯაფა დაადგათ. შესვენებამდე მომენტები მრავლად შეიქმნა მათ კართან, მაგრამ აქედან ორი უდავოდ მწვავე იყო. პირველი ეპიზოდი ტაიმის შუაში იშვა. სწრაფი შეტევა ტუღუშმა წამოიწყო, ხოლო ბურთმა ხომერიკის გავლით მუჯირთან მიაღწია. ამირანმაც საჯარიმოში მარცხნიდან შესულმა ცაციათი დაურტყა ქვაჩახიას, თუმცა ააცილა. 7 წუთში კვლავ დაუღლელმა მუჯირმა დაგვამახსოვრა თავი. რამდენიმე მეტოქეს იოლად ჩაუდრიბლინგა და აფხაზავას მისცა გატანის შანსი. შალვამ შეძლო ერთობ მახვილი კუთხიდან მეკარესა და მცველს შორის ბურთის გაძვრენა, ოღონდ კოლხებს მშველელად ძელი მოევლინათ.

უნიათოდ ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ ტყებუჩავამ სამივე შეცვლა სწრაფად მოახდინა. თითქოს ამან შედეგიც გამოიღო. ტრაპაიძემ მარცხენა ფლანგი გამოაცოცხლა, ხოლო ელდარ გვასალიამ — შეტევა, არც გორული შეცვლა იყო უშედეგო. ახალკაცი გამოჩნდა თუ არა, უმალ პირველად ჩაერთო თამაშში ტოგონიძის მაგივრად მოთამაშე ჩლაიძე.

ამ ფონზე „კოლხეთიც" ურიგოდ არ გარჯილა და კარნევალეს ვა-ბანკზე წასვლა მოუხდა. მინდაძის და ტუღუშის ნაცვლად, თავისთავად ორ მოიერიშეს კიდევ ორი — რომანაძე და მაჭუტაძე დაუმატა. სწორედ იტალიელის რისკმა გაჭრა და მალე შედეგიც გამოჩნდა.

ყველაფერი 72-ე წუთზე გადაწყდა. კოლხები შეტევაში გაერთნენ და ხომერიკის მანევრი თვალთახედვიდან გამორჩათ. ლევანმა სისწრაფე „აკრიფა" და ის-ის იყო ქვაჩახიას უნდა დაპირისპირებოდა, რომ გოროზია დაეწია და სარმა გამოსდო. გოროზიას პირველ ტაიმში ყვითელი ბარათი კი მიეღო, მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, ბოლო იმედის ჯარიმით მაინც გააძევებდნენ. გაძევებას იქვე მეორე უბედურება დაემატა. ჯარიმა ბათუმელთაგან უდავოდ საუკეთესომ, ამირან მუჯირმა, ჩინებულად შეასრულა: დაახლოებით 25 მეტრიდან ბურთი კედელს გადაევლო და ქვაჩახიას მარცხენა ცხრიანში ჩაეშვა. გოლი მართლაც ლამაზი გამოდგა.

„ბათუმმა" მეორე ტაიმში ვერგატანილი უამრავი მომენტი უმალ დაივიწყა და მეტოქეს ნამდვილი კოშმარი მოუწყო, რაც მალე მეორე გოლშიც გამოისახა. 82-ე წუთზე სიდამონიძეს მოგერიების მაგივრად ერთობ გრძელი პასი გამოუვიდა — თავისი საჯარიმოდან ბურთი მეტოქის ნახევარზე გაგზავნა — ასეთ უნაკლო ასისტენტობას აბა, პაატა მაჭუტაძე ვის დაუკარგავდა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილს გატანა არც გასჭირვებია.

„კოლხეთი" შოკში ჩავარდა და ბოლოსკენ მესამე გოლიც გაუშვა. ორი წუთის ინტერვალში ხომერიკი ორჯერ მეკარე ქვაჩახიასთან პირისპირ გავიდა. თუმც პირველ შემთხვევაში მისი მოტყუება ვერ შეძლო. აი, მეორედ კი მაინც თავისი გაიტანა და ერთ კვირაში ჩასატარებელ საპასუხო მატჩს, ბევრის აზრით, ინტერესი დაუკარგა.



ელგუჯა ფხაკაძე ბათუმიდან

ბათუმელებმა სამჯერ გამოიტანეს კოლხთა კარიდან ბურთი

# საპასუხოს იმედად

**წყალტუბო**
15 მარტი
15 საათი
26 მაისი
1 000 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 0:0 ტორპედო**

**სამგურალი**: ბოდოკია, დ. ჭელიძე, გ. გოგოლაძე, ჭყონია, ნებიერიძე, ძაგნიძე, სუხიაშვილი, გიორგობიანი, ბაბუნაშვილი (დარსაძე 46), ხუნდაძე (ფუტკარაძე 72), კვერნაძე (ზ. ქუთათელაძე 78)
**ტორპედო**: ჭანტურია, ახვლედიანი, თურმანიძე, შეყრილაძე, მაღლაკელიძე, ჩხეტიანი, კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი (ასათიანი 46), დ. ჯანაშია (ვაჩიბერაძე 74), მეგრელაძე (მ. ბობოხიძე 46), იონანიძე
*სათადარიგონი*: სომხიშვილი; მახვილაძე, თავბერიძე, ამისულაშვილი
**გაფრთხილება**: სუხიაშვილი (62)
**მსაჯები**: მ. მალაღურაძე; მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი**: ა. დურსუნიში

**იუზა კაციტაძე წყალტუბოდან**

„სამგურალი" და „ტორპედო" ბოლოს (ოფიციალურად) შარშან 26 მაისს შეხვდნენ ერთმანეთს, „ეროვნულზე", თასის ფინალში. გემახსოვრებათ, ის იმერული დერბი უშელავათო ბრძოლაში წარიმართა, წყალტუბოელებმა ტოლი არ დაუდეს ქუთაისელებს და თამაში, როგორც ძირითად, ისე დამატებით დროში ფრედ მორჩა — 0:0. „ტორპედომ" მხოლოდ 11-მეტრიანების სერიაში აჯობა მეტოქეს და თასმაც ქუთაისში დაიდო ბინა. რაღა თქმა უნდა, მაშინ „სამგურალი" გუნდი იყო, ჩვენს პირობებში არცთუ ურიგოდმომზადებული, ყველა რგოლში მეტნაკლებად თანაბრად დაკომპლექტებული და მისი ფინალში გასვლა სულაც არ იყო გასაკვირი. გასაკვირი ის იქნება, „სამგურალმა" რომ შარშანდელი მიღწევა გაიმეოროს, რადგანაც გუნდის დღევანდელი შემადგენლობა ბევრად ჩამოუვარდება წინანდელს. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ წყალტუბოელებს ძალიან გაუჭირდათ ჩემპიონატის მეორე ეტაპის სტარტზე, მათ ორივე შეხვედრა წააგეს და მარტო მარცხშიც არ არის საქმე, „სამგურალის" თამაში ამ ეტაპზე ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და თუ ასე გაგრძელდება, გუნდი, თასის გათამაშებას ვინ ჩივის, ალბათ, პირველ ჯგუფსაც დაეთხოვება.

მასპინძლები შეთხელებული ძირითადით გავიდნენ სათამაშოდ. „სამგურალის" თავკაცებს, როგორც ჩანს, „ტორპედოს" ძირითადის დაძლევის იმედი არც აქვთ და ამასწინათ იმავე „ტორპედოს" ფარმკლუბიდან მიწვეულ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს მისცეს თავის გამოჩენის საშუალება. ერთი შეხედვით, უთანაბრო ორთაბრძოლის მოწმენი უნდა გავმხდარიყავით.

თამაშიც ისე დაიწყო, იფიქრებდით, „ტორპედო" იოლ გამარჯვებას მიაღწევსო. უკვე მეორე წუთზე სტუმრებმა ლამაზი ოთხსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს. გოგიაშვილმა ცენტრიდან ახვლედიანს გაუჭრა მარჯვენა ფლანგზე, ამან უმალ საპირისპირო მხარეს ჩხეტიანის მისამართით გაგზავნა, კაზამაც არ დააყოვნა და წყალტუბოელთა საჯარიმოში მყოფი იონანიძე მოძებნა, ტორპედოელთა გოლეადორი თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ძლიერი დარტყმით აგვირგვინებდა ამ შეტევას, მაგრამ ხარიხას გადააცილა. ქუთაისელთა უპირატესობა მეტოქეზე ცხადზე უცხადესი გახლდათ. მთელი პირველი ტაიმი მასპინძლები, ფაქტობრივად, საკუთარ საჯარიმოს იყვნენ მიჯაჭვულნი, მათი ერთადერთი საზრუნავი შეტევების ჩაშლა იყო და უნდა ითქვას, თავგამოდებითაც ასრულებდნენ ამ ამოცანას. ეგ იყო, მომენტებში თვით ტორპედოელები უიოლებდნენ საქმეს. 21-ე წუთზე სტუმრებს ორის გატანა შეეძლოთ. ჯერ კვეტენაძის პასის შემდეგ ჯანაშია გავიდა მეკარესთან პირისპირ, თითქოს დროულადაც დაარტყა, ოღონდ ბოდოკიამ იყოჩაღა. წყალტუბოელთა მეკარემ ოციოდე წამის შემდეგაც გადაარჩინა თავისიანები აშკარა საფრთხეს. ჯანაშიას გადაცემით მეგრელაძე დარჩა მასთან ერთი ერთზე, მაგრამ ბოდოკიამ არც ის ახეირა.

დიდი უპირატესობის მიუხედავად, ქუთაისელებმა ვერც შესვენებამდე და ვერც შესვენების შემდეგ მოახერხეს „სამგურალის" კარის დალაშქვრა. მეორე ტაიმში მართლაც რომ საუკეთესოდ მოთამაშე ბოდოკიამ ორჯერ მაინც სასწაულებრივ იხსნა „სამგურალი". მე-60 წუთზე ტორპედოელთა თავბრუდამხვევი შეტევის შემდეგ მან ჯერ იონანიძის დარტყმული მოიგერია და უმალვე ბობოხიძეს არ გაატანინა. არადა, ტორპედოელი კარში 3 მეტრიდან ურტყამდა.

როგორც ვთქვით, წყალტუბოელებს ამ მატჩში შეტევებისვის არ ეცალათ. ერთადერთი სახიფათო მომენტი „ტორპედოს" კართან მათ 55-ე წუთზე შექმნეს. გიორგობიანმა საჯარიმოს შიგნიდან ძლიერად კი დაარტყა, მაგრამ არაზუსტად.

ერთი სიტყვით, ნახევარფინალში გასასვლელად „ტორპედომ" საპასუხო მატჩი უნდა მოიგოს. არა გვგონია, ეს საქმეს გაურთულდეს.



მამუკა დარჩია წყალტუბოდან

ჭელიძემ, ბოდოკიამ და ჭყონიამ „ტორპედოს" შეტევა ერთად მოიგერიეს

# ეგ არის და გორის ციხე?!

**თბილისი**
15 მარტი
15 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 75 000)

**დინამო 4:0 დილა**

1:0 ხუციშვილი (9), 2:0 წიტაიშვილი (21), 3:0 ანჩაბაძე (64), 4:0 წიტაიშვილი (82)
**დინამო**: გრიშიკაშვილი (ჩხეიძე 66), დიდავა, ნემსაძე, ი. ვაშაკიძე, ა. სახვაძე (ო. გველესიანი 36), წიტაიშვილი, სიჭინავა, არველაძე, პ. ჭინჭარაძე (რუხაძე 46), ანჩაბაძე, ხუციშვილი
*სათადარიგონი*: ქემოკლიძე, დათუაძე, გ. შენგელია, შაშიაშვილი
**დილა**: სოლოლაშვილი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, ოლგესაშვილი, ფეზუაშვილი (ვ. სამხარაძე 47), სულთანიშვილი, საყვარელიძე (ციცქიშვილი 82), არუთინიანი
*სათადრიგონი*: მდივანი, ხორგუაშვილი, მარეხაშვილი
**გაფრთხილება**: სახვაძე (31)
**მსაჯები**: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი**: ნ. ამირეჯიბი

**კონსტანტინე გოგიშვილი**

საქართველოს ჩემპიონატის (თასის) გადამკიდე ჩვენი საფეხბურთო სტადიონები თამამად შეიძლება ვაქციოთ კულტურისა და დასვენების კერად. ძნელია, ინატრო უკეთესი ადგილი განმარტოებისთვის — სიწყნარე, სიმწვანე (ჯერაც)... მოკლედ, ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარულიო, რომ თქვა ჩვენმა წინაპარმა, ეტყობა, „ეროვნულს" („არმაზს", „ისანს" და სხვ....) გულისხმობდა. ვშიშობ, მალე ის დროც მოვა, სტადიონებზე მართლა მხოლოდ ტატოს სული იტრიალებს. ამ ბოლო ხანს, რაღაც მსაჯებმაც მოუკლეს სტვენას და ქომაგისასაც ვიტყვი — სამოცდათხუთმეტათასიან სტადიონზე რომ ერთადერთი კაცი ყვირის და ისიც ნაყინომენი (მემაროჟნე, რა) ქომაგობაა ეს?

ეს ყოველივე ხუმრობაგაშვებით და საქართველოს თასის მეოთხედფინალი „ეროვნულზე" სათასოს გარდა ყველანაირ მატჩს ჰგავდა, ყოველ შემთხვევაში, იქ დაძაბული და საინტერესო ვერაფერი ვნახე (პირადად), ამიტომ მეორე მატჩის შედეგისდა მიუხედავად, სრული პასუხისმგებლობითა და საკუთარი ღირსების გრძნობით ვაცხადებ — „დინამო" ნახევარფინალშია.

მარადი ჩემპიონი რომ თბილისური შეხვედრის ფავორიტი გახლდათ, ეს ისევე ნათელი იყო, როგორც ალექსანდრიის შუქურა, მაგრამ „დილას" ყოველთვის მებრძოლი გუნდის იმიჯი გააჩნდა და ამდენად, სტუმართა მსგავს უსუსურობას ცოტა ვინმე თუ ელოდა.

„დინამომ" მორიგი იოლი გამარჯვება ჩაიწერა თავის იოლი გამარჯვებებით გაძეძგილ ბიოგრაფიაში — ოთხი უპასუხო ბურთი ამის დასტურია. ძნელია, ისაუბრო ერთი გუნდის უპირატესობაზე, როცა მისი მეტოქე ერთხელაც ვერ ურტყამს კარში, სახიფათო მომენტზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

ოთარ კორღალიძის „დინამო" წინამორბედისგან განსხვავებით, მეტად დიდ ყურადღებას უთმობს ფლანგებიდან შეტევებს. მარცხნივ სახვაძე, მარჯვნივ პაატა ჯინჭარაძე სხვა თანაგუნდელებზე ხშირად გაინავარდებენ-ხოლმე ბურთთან ერთად და გვარიანად სახიფათო გადაცემებსაც გზავნიან მეტოქეთა საჯარიმოში, სადაც წიტაიშვილი და ძმანი მისნი ელიან თავის შანსს და არცთუ იშვიათად იყენებენ კიდეც მას.

„დინამოს" განაპირა მცველები სხვა ქართული გუნდების განაპირა მცველებთან შედარებით ყველაზე ძლიერ ჰგვანან კრუიფისეულ „კულუარის მოთამაშეებს" (კაი მთქმელს კაი გამგონე უნდა) და სასიამოვნოა, როცა ჩვენშიც გვხვდება-ხოლმე თანამედროვე ფეხბურთის ელემენტები.

ახლა კი კონკრეტულად მატჩზე. დინამოელთა შორის რამდენიმე ძველი და ახლო წარსულში ეგზომ პოპულარული ფეხბურთელი ვიხილეთ — გიორგი ნემსაძეს, რევაზ არველაძეს და ნიკა ჩხეიძეს დიდი წარდგენა არ სჭირდებათ ქომაგისა და მკითხველის წინაშე. ნემსაძე და არველაძე მატჩის დასაწყისიდანვე გამოჩნდნენ მინდორზე, ჩხეიძემ კი მეორე ნახევრის შუაგულში გამოცვალა გრიშიკაშვილი. მათ მზადყოფნაზე კი ბევრს ვერაფერს გეტყვით, გუშინდელი შეხვედრა ვისიმე ონსტატობის საზომად ვერ გამოდგება.

გორელებს ჯერ სალამიც არ დაემთავრებინათ, მოლდოვის „შერიფიდან" „დინამოში" დაბრუნებულმა მიხეილ ხუციშვილმა რომ პირველი გაუტანა სოლოლაშვილს, ათიოდე წუთში წიტაიშვილმა მის გოლს მეორე მიაყოლა და აშკარა სწორედ მაშინ გახდა — „დილას" შანსი აღარ ჰქონდა.

მეორე ტაიმი საწვრთნელი მატჩის იმიტაციას უფრო ჰგავდა, ვიდრე პრინციპულისას. ბურთი ძირითადად ცენტრში ტრიალებდა. ფეხბურთელები ხამუშ-ხამუშ აგორებდნენ მას და ზოგჯერ უნებლიე შეჯახებები თუ აჩერებდა შეხვედრის მსვლელობას.

მიუხედავად თავისი გუნდის უდავო უპირატესობისა, სიხარული არაფრით შეგვიმჩნევია ოთარ კორღალიძისთვის. დინამოელთა მთავარ მწვრთნელს ჯერ კიდევ 31-ე წუთზე მოუწამლეს ხასიათი, როცა მსაჯმა სანაიამ ბურთის სასტვენის შემდეგ გადაგდებისთვის ყვითელი უჩვენა არჩილ სახვაძეს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონატის მომდევნო ტურში „ბათუმის" წინააღმდეგ სახვაძე ველარ ითამაშებს, რაც ამჟამინდელი „დინამოსთვის" გვარიანი დანაკლისია. არჩილის შემცვლელი გველესიანი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი კია, მაგრამ მისი სრულფასოვანი შეცვლა ნამდვილად გაუჭირდება.

პირველ ნახევარში ორ გატანილს, მეორე ნახევარში ორიც მოუმატეს მასპინძლებმა. მართალია, „ეროვნულის" ტაბლოზე წიტაიშვილის გვარი სამჯერ აინთო, მაგრამ ჰეთ თრიქი კობას ნამდვილად არ შეუსრულებია, მან „დინამოს" ოდენ მეორე და მეოთხე ბურთები გაიტანა, რაც შეეხება მესამეს, იგი ანჩაბაძის დარტყმის შემდეგ კარში გორელმა ფეხბურთელმა ჩაჭრა (თავით) და შეხვედრის ოქმშიც სწორედ ანჩაბაძის გვარი დაფიქსირდა.

ადვილად, ფრიად და ფრიად ადვილად გატეხა „დინამომ" გორელთა წინააღმდეგობა.

ეგ არის და გორის ციხე?!



მურაზ ფოლადაშვილის ფოტო

პაატა ფეზუაშვილი და ოლეგ გველესიანი (ვარდნაში)

# სადა ხარ, ჩვენო, სულიკო?!

პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ თბილისის „მერანი" რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა. მათ შორის გახლდათ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე სულიკო დავითაშვილი, რომელმაც მაშინ ჯერ კიდევ უპატრონოდ დარჩენილ „მერანში" თამაშს უცხოეთში ბედის ძებნა არჩია.

კარგა ხნის წინ გავიგეთ, „აბრეზა" რუსეთში, ტულის „არსენალში" იმყოფება გასინჯვაზეო. როგორც ჩანს, დავითაშვილი რუსულ კლუბში თამაშს არ გააგრძელებს. ბოლო მონაცემებით, სულიკო უკრაინაში, ხმელნიცკის „პოდილიაში" ისინჯებაო, გვითხრა გუშინ მერანელთა მთავარმა მწვრთნელმა სერგო გაბელაიამ.

დარჩება თუ არა დავითაშვილი „პოდილიაში", უცნობია.

„პოდილია" ის გუნდია, რომელიც შეპეტოვკის „ტემპის" და „ადვის ხმელნიცკის" შეერთებით ჩამოყალიბდა. „ტემპი" ერთ დროს უკრაინის ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში გამოდიოდა, თანაც ქართველი პრეზიდენტი ჰყავდა და არც ჩვენებურ ლეგიონერთა ნაკლებობას განიცდიდა, თუმცა გაკოტრდა და თავი „ადვის ხმელნიცკთან" შეერთებით გადაარჩინა. გაერთიანებულ გუნდში ორი ქართველი ბაბუაძე და მარღიანი თამაშობდნენ. ამჟამად „პოდილია" მესამე ლიგელია.

დამეთანხმებით, სულაც არ იქნება სასიამოვნო და მისასალმებელი, თუ დავითაშვილი და საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე მისი დარი ფეხბურთელები უკრაინის მესამე ლიგას მიაშურებენ.

**ვანო ოქროპირიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 40 612 დოლარის საქმე:

## პოლიციამ ეჭვი დირექტორზე მიიტანა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ფული რომ დაიკარგა, ამის თაობაზე გუშინწინდელ „სარბიელში" წაიკითხავდით. ახლა უფრო დაზუსტებული ინფორმაცია.

ფედერაციის ფინანსური დირექტორის ოთახიდან აორთქლებული თანხის რაოდენობა 40 612 ამერიკული დოლარია. ეს ფული, როგორც ცნობილი გახდა, საქართველოს ნაკრების ისრაელში 29 მარტს ამხანაგურად სათამაშოდ გამგზავრებას უნდა მოხმარებოდა.

ფინანსურ დირექტორ გერა ხეცურიანს ზემოაღნიშნული თანხა ხელთ ჰქონდა, თავისი სამუშაო მაგიდის უჯრაში დროებით შეინახა და შემდეგ უჯრა ცარიელი დახვდა. ხეცურიანმა იმ წამს საქმის კურსში ჩააყენა ფედერაციის ხელმძღვანელები. ადრე ისიც გაცნობეთ, ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე რომ აღიძრა.

და გაგრძელება. 14 მარტის საღამოს ეჭვმიტანილი გერა ხეცურიანი წინასწარი დაკავების საკანში მოათავსეს. 48 საათის განმავლობაში მას ბრალი უნდა დასდონ.

გუშინ გერა ხეცურიანის ადვოკატმა ლევან გორხელაშვილმა გვითხრა, რომ მისთვის უცნობია პოლიციის მტკიცებულება და ყველაზე რეალური ის არის, ეჭვმიტანილი დღეს საღამოს განთავისუფლდეს — „სათანადო ორგანოებისთვის გერა ხეცურიანს ჩვენება მიცემული აქვს, ყველაფერი დაწვრილებით ახსნა. გადაღლილია, ფული ხელში ეჭირა, გამოაღო უჯრა, იფიქრა შევინახავო და... ფაქტი ერთია, ფული გაქრა" — განგვიცხადა ლევან გორხელაშვილმა.

ჯერჯერობით ამ საქმის სხვა დეტალები ჩვენთვის უცნობია.

**კობა ინასარიძე**

# ტორპედო: ვინც მოვიდა!..

„ტორპედო" და „დილა", აი, კლუბები, რომლებიც ბოლო საშუასეზონო პერიოდში ყველაზე ცოტა, თითო ახალწვეულით შეივსნენ. თანაც ქუთაისურ გუნდს შემატებულ ჯაბა თავბერიძეს ახალწვეულს პირობითად თუ ვუწოდებთ, რადგანაც იგი „ტორპედოს". სამარქაფო გუნდ „ინტერის" განაცხადში ირიცხებოდა და ისედაც კლუბის საკუთრება გახლდათ.

საშუასეზონო პერიოდში არა და, „ტორპედომ" ახლა მოისურვა გუნდის შევსება. როგორც შევიტყვეთ, უახლოეს ხანში (შესაძლოა დღეებში) „ტორპედოს" სამი ახალი ფეხბურთელი შეემატება. ამ სამიდან ორის გვარი ბევრს ალბათ ეუცხოვება და ამაში გასაკვირიც არაფერია. ისინი ჭაბუკური ასაკისანი არიან. ლაპარაკია თელავის „კახეთში" ნათამაშევ, დავით ყიფიანის ერთ-ერთი თანაშემწის ზურაბ მაისურაძის პროტეჟეზე, 18 წლის ნახევარმცველ ზაზა მედოევზე, რომელიც ბოლო დროს ოსეთში თამაშობდა და მისსავე თანატოლ დავით გალოგრეზე. ეს ბიჭი ბათუმელია და „ბათუმი 2"-ში უთამაშია. ტანმაღალი ·მცველია 192 სანტიმეტრი სიმაღლისა.

აქვე გეტყვით, რომ მედოევის „ტორპედოში" მისვლა თითქმის გადაწყვეტილია. ფორმალური მხარეღა დარჩა მოსაგვარებელი. გალოგრე, კი ჯერაც ისინჯება და მწვრთნელებისგან საბოლოო პასუხს ელის.

„ტორპედოს" მესამე ახალწვეულს, ეროვნული ნაკრების ყოფილ მეკარე ირაკლი ზოიძეს ყველა კარგად იცნობს.

ირაკლის საფეხბურთო კარიერაზე მოკლედ გეტყვით, თამაში ოზურგეთის „მერცხალში" დაიწყო, მესამე ეროვნულ ჩემპიონატში „ტორპედოში" იყო, მერე კარგახანს „დინამოში". ბოლო ორი სეზონი კი უცხოეთში გაატარა. ჯერ ისრაელში, იაფას „მაკაბიში" ითამაშა, იქიდან ლიტვას მიაშურა და ამ ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონის, კაუნასის „ჟალგირისის" წევრი გახდა.

— „ტორპედოს" ხელმძღვანელობამ ქუთაისში ჩამოსვლა შემომთავაზა და მეც დავთანხმდი. „ჟალგირისიდან" თავისუფალი ვარ, დღე-დღეზე ველი ტრანსფერის ოფიციალურ დასტურს, „ტორპედოსთან" კონტრაქტის პირობებზე დაწვრილებით ჯერ არ მილაპარაკია, მაგრამ ვფიქრობ, კლუბის ხელმძღვანელობასთან პრობლემები არ მექნება" — გვითხრა გუშინ ზოიძემ.

როგორც ხედავთ ირაკლის ხელმეორედ გატორპედოელებას ბევრი არაფერი აკლია. ზოიძე 21 მარტს 31 წლისა შესრულდება.

**იუზა კაციტაძე**
**ქუთაისიდან**



ირაკლი ზოიძე

# სიომინმა კაკაშვილი გაგვახსენა

## ვინ გამომიგზავნა ეს ბიჭი?

## აინტერესებს ლოკომოტივის თავკაცს



ლადო კაკაშვილი (მარცხნივ) და ოლეგ გველესიანი ბერძენ თანატოლთან ერთად

„გილოცავ, დღეიდან მოსკოვის „ლოკომოტივის" სრულუფლებიანი წევრი ხარ. აწი ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. კარგად ითამაშებ, მუდამ მზადყოფნაში იქნები, ნახავ, როგორი პატივისცემა და პატრონობა იცის სიომინმა. ახლა წადი, ორი დღით გიშვებ, მშობლები და ახლობლები მოინახულე. 14 მარტს კი კლუბში გელით. იცოდე, არ დააგვიანო" — ეს სიტყვები მოსკოვის „ლოკომოტივის" ცნობილმა თავკაცმა იური სიომინმა უთხრა ვლადიმერ კაკაშვილს. სულ რამდენიმე წამი გასულიყო მას შემდეგ, რაც ჩვენებური ორწლიანი კონტრაქტით დაუკავშირდა მოსკოვურ კლუბს.

მანამდე კი ბევრი რამ მოხდა ლადოს ცხოვრებაში. 20 წლისას უკვე გამოეცადა სიხარული და ალმაფრენა. არც გულგატეხილობა და წყენა იყო უცხო.

ვლადიმერ კაკაშვილი, გაგუას თექვსმეტწლამდელებისა და კოპალეიშვილის ოქროს ბიჭების უცვლელი წევრი, ბოლო დროს ბევრმა დაივიწყა. არ ახსოვდათ მწვრთნელებს (ორიოდ გამონაკლისის გარდა), არ გაგვხსენებია ჩვენც.

ნიჭიერი, იმედისმომცემი ახალგაზრდა მოთამაშე თითქმის ჩვეულებრივ, სათადარიგო ფეხბურთელად იქცა (თუ აქციეს). მისთვის არსად მოიძებნა ადგილი. პირველი ჯგუფის გუნდები მის შესაძლებლობებს ვერ ამჩნევდნენ.

*— მე მხოლოდ ორი რამ მაკავებდა ფეხბურთში და ერთ-ერთი ცხონებული ნოდარ ახალკაცი გახლდათ. 1997 წელს თექვსმეტწლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის წინ გერმანიაში ემზადებოდა. ერთ-ერთი საკონტროლო მატჩის შემდეგ მწვრთნელებმა განზე გამიხმეს და ახალკაცი გეძახისო, მითხრეს. დავიბენი, მუხლები მეკეცებოდა. მე, თექვსმეტი წლის ბავშვს, ქართული ფეხბურთის ლეგენდა მიბარებდა.*

*არ მახსოვს, როგორ მივედი, ან რას ვპასუხობდი. მხოლოდ მისი დარიგება ჩამრჩა გონებაში — თუ არ იზარმაცებ და საქმეს კეთილსინდისიერად მიუდგები, დიდ ფეხბურთს ითამაშებ, შვილოო.*

*ამის შემდეგ უფლება არ მქონდა, ფეხბურთის გარდა სხვა რამეზე მეფიქრა. ყოველთვის მწამდა, რომ ღმერთი ერთ შესაძლებლობას კიდევ მომცემდა. ორი წლის ლოდინი ამად ღირდა. შანსი მომეცა ახალკაცის ხელდასმულს და ხელიდან არ გავუშვებ.*

...და რატომ იყო კაკაშვილი 2 წელიწადი ფაქტობრივად უთამაშებელი? იმიტომ, რომ ვიღაცამ დროზე ვერ დაინახა (ან არ დაინახა) მისი მონაცემები. ლადომ ითამაშა „აკადემიაში", უქმად იყო „დინამოსა" და „თბილისში", ბურთაობდა „თბილისი 2"-ში. კაკაშვილი ემადლიერება ყველა ქართველ მწვრთნელს, ვისთანაც უმუშავია (ეს ცოტა გასაკვირიცაა), განსაკუთრებით კი ბესარიონ მჭედლიშვილსა და ოთარ შენგელიას. სისტემატური თამაში მხოლოდ მათ ხელში უწევდა.

საკითხავია, საქართველოში თითქმის დავიწყებული ფეხბურთელი მოსკოვში, სიომინთან როგორ აღმოჩნდა?! ბევრმა იქნებ არც დაიჯეროს, მაგრამ ფაქტია, ლადო იქ დავით მეტრეველმა და ნიკო ბარბაქაძემ გაგზავნეს.

ისინი არც მწვრთნელები არიან და მით უმეტეს, არც მენეჯერები. ყოველდღე უცქერდნენ ლადოს საცოდაობას, ვარჯიშობს, თავს იკლავს და არ თამაშობსო. გაიკითხეს, მასზე ინფორმაციები შეაგროვეს, ვარჯიში ნახეს და დაასკვნეს — უნდა ვუშველოთ!

მოდით, საიდუმლოდ დარჩეს ის, თუ რა გზით მოახერხეს მათ კაკაშვილის მოსკოვში გაგზავნა. რაც მთავარია, ქართული ლუდის ორმა ქართველმა დისტრიბუტორმა მადლი ქნა და ქვაზე დადო...

*— ჩავედი მოსკოვში, ვეწვიე „ლოკომოტივის" ბაზას. იქ კლუბის ადმინისტრატორი ლინკოვი დამხვდა. მაინცდამაინც აღფრთოვანებით არ შემხვედრია. მოდი, ივარჯიშე, ვნახოთ ერთი, რა შეგიძლია, მაგრამ იცოდე, ქართველები გუნდში არ აგვყავს, მხოლოდ ზაზაა გამონაკლისი. თქვენ ნიჭიერები ხართ, მაგრამ ზარმაცები.*

*მშვიდად მივიღე მისი სიტყვები. ვიცოდი, იოლად ვერაფერს მივაღწევდი. ამ დროისთვის „ლოკომოტივი" პორტუგალიაში იმყოფებოდა შეკრებაზე, ბუნებრივია, გუნდის ჩამოსვლამდე სიომინს ვერ შევხვდებოდი. სათადარიგო გუნდთან შევუდექი წვრთნას. ვითამაშე ამხანაგური მატჩები.*

*„ლოკომოტივის" დუბლშემადგენლობას იური სიომინის ვაჟი ანდრეი ავარჯიშებდა. ათდღიანი დაკვირვების შემდეგ მისგან ასეთი პასუხი მივიღე — მე შენ ვერაფერს შეგპირდები, საბოლოო სიტყვას მამაჩემი იტყვის, მაგრამ იმასაც ვაღიარებ, რომ ჭკვიანურ, გააზრებულ ფეხბურთს თამაშობ, მეორე სართულზე ბრძოლაშიც კარგად გამოიყურები, თუმც ჯერჯერობით ფიზიკურად ვერა ხარ სათანადო დონეზე.*

...სიომინი 4 თებერვალს დაბრუნდა პორტუგალიიდან. 6-ში კი კაკაშვილმა პირველად ივარჯიშა „ლოკომოტივის" ძირითადთან. ვარჯიშის მერე სიომინი გასახდელში ჩავიდა, დადგა ჩვენებურის წინ, აათვალიერ-ჩაათვალიერა, მხოლოდ თავი დაუქნია და უსიტყვოდ გაეცალა.

*— მეორე ვარჯიშზე „ლოკომოტივის" მეორე მწვრთნელმა გუნდი ოთხად გაყო და ორკარა გვათამაშა. ჩემთან ერთად სულ მცველები მოხვდნენ, დროზდოვი, ჩუგაინოვი, სხვებიც. სწორედ მათ მთხოვეს, თავდასხმაში მეთამაშა. ორი გოლი გავიტანე.*

...რატომ თამაშობს ქართველი თავდასხმაში? უკითხავს სიომინს. აკი მითხრეს, მცველიაო. როცა სიმართლეში გაურკვევიათ, ისევ თავი დაუქნევია.

მოაწონა ლადომ მწვრთნელს თავი და სიომინმაც ეს იკითხა — „ვინ გამომიგზავნა ეს ბიჭი?" კლუბის პრეზიდენტმა იცოდა, მაგრამ კრინტი არ დაძრა, სხვებმა კი ვერაფერი უთხრეს. სიომინმა თბილისში მურთაზ ხურცილავას დაურეკა... „არ ვიცი, იური, მე არავინ გამომიგზავნია. ისე, ვიცი ეგ ბიჭი, ახლახან ახალგაზრდულში გამოვცადე, თუ ენდობი, არ გიღალატებს" — მადლი შეაწია ხურცილავამ კაკაშვილს.

სიომინმა დღესაც არ იცის, ვინ გაუგზავნა ქართველი. ან კი რა უთხრას ლადომ, თბილისიდან ორმა ქალაქელმა გამომიშვა, რომლებიც ჩემს მეზობლად ცხოვრობენ, ქართულ ლუდს დაატარებენ და ფეხბურთის უბრალო ქომაგები არიანო?!

კაკაშვილის საქმე დამაგვირგვინებელ ფაზამდე მივიდა. რამდენს მოითხოვენ შენში, იცოდე, ჩვენ ასი ათასებს არ გადავიხდით. და აქ კიდევ ერთხელ გაოცდა „ლოკომოტივის" თავკაცი, როცა პასუხად ეს მიიღო — ჩემში ერთ დოლარსაც არავინ მოითხოვს, მე დღემდე თავისუფალი ფეხბურთელი ვარ.

...„ლოკომოტივის" ძირითადი გუნდი სოჭში მიდის შეკრებაზე. სიომინმა კაკაშვილის წაყვანაც ბრძანა. ვერ წავიდა ლადო ზღვისპირეთში, კიდევ ერთხელ გაოცდა მწვრთნელი.

*— დილით მივდიოდით შეკრებაზე. წინადღით მითხრეს, ფეხბურთელი სიმენენკო გამოვიდლის და აეროპორტში მოხვალთო. ჩავალაგე ბარგი, ვზივარ სასტუმროს ფოიეში და ვიცდი. არ გამომიარა, დამაღალატა სიმენენკომ. ვიცადე და რომ არ დამადგა საშველი, მწვრთნელს მობილურზე დავურეკე. თვითმფრინავი გასაფრენად ყოფილა გამზადებული, სიომინი ტრაპზე მდგომი მელაპარაკა. ავუხსენი, რაც მოხდა, გადაირია კაცი, ასეთი ჯერ არ მსმენიაო.*

*ისევ სათადარიგოებთან დავრჩი, მათვე გავყევი ბელარუსში ათგუნდიან ტურნირზე — დრო უქმად არ დამიკარგავს.*

...ორი თვე ცოტა დროა და ბევრსაც ვერაფერს მოასწრებდა, მაგრამ კაკაშვილი უკვე, ეტყობა, ჯანზე მოსულა, მხრებში გაშლილა, დაკუნთულა. სისტემატური ვარჯიში, ნორმალური კვება, ვიტამინები, კროსები, ტრენაჟორები, საუნა. ასეთები შეიძლება საქართველოში გვიკვირდეს, ნორმალურ კლუბში კი ჩვეულებრივი ამბავია.

*— „ლოკომოტივი" მეგობრული, შეკრული გუნდი ჩანს. ჩემთვის ზედმეტი არავის უკადრებია, პირიქით, ფეხბურთელები ძმაკაცურად მეპყრობიან. სმერტინი ყურადღებას არ მაკლებდა, სხვები — რჩევა-დარიგებებს.*

*რა თქმა უნდა, ზაზა ჯანაშიაც ხომ იქვეა. ჯერ არ მომცემია შესაძლებლობა, მასთან საფუძვლიანად მესაუბრა. კლუბის ოფისში შევხვდი ერთხელ. წუთით შემოირბინა, ხელი ჩამომართვა, გამეცნო. თუ რაიმე გაგიჭირდეს, იცოდე, აქ ვარო, მითხრა და გაიქცა. ზაზა შეუცვლელი კაცია „ლოკომოტივისთვის", მინდორზე სამი კაცის სამუშაოს ასრულებს. ამიტომაც აქვს გუნდში ბევრზე მეტი უფლებები.*

*მათ ერთი მიზანი აქვთ, მხოლოდ ჩემპიონობა. რა ვიცი, ვნახოთ, იქნებ ამ მიზნის შესრულებაში ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანო. მე ხომ ძირითად გუნდში მაწევრიანებენ.*

სიომინი კი გახარებულია, მან კიდევ ერთი ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელი ჩაიგდო ხელში, თან ისე, რომ „ლოკომოტივის" სალაროდან ერთი რუსული რუბლი არ გასულა.

ახლა წუხან ჩვენებური მენეჯერები, ლადოს მოსკოვში გამგზავრების შემდეგ მამამისს ყოველდღე აწუხებდნენ, არიქა, ბიჭი არ დაგიჩაგრონ რუსებმა, ჩვენ ვუპატრონებთო. კაკაშვილს პატრონი აქამდე სჭირდებოდა, ახლა ანგარიშიანი და მცოდნე მწვრთნელის ხელშია.

**მამუკა კვანტალიანი**

# ფიფა მანდელას საპყრობილეში

სამხრეთ აფრიკის სპორტის მინისტრმა ნგკონდე ბალფურმა თავის ქვეყანას 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა უწინასწარმეტყველა. „თავი ქუდში გვაქვს, სამხრეთ აფრიკის შანსებს 98 პროცენტით შევაფასებდი“ — დაასკვნა ბალფურმა ფიფას სპეციალურ დელეგაციასთან რამდენიმესაათიანი კონსულტაციის შემდეგ.

მსოფლიოს ფეხბურთის გამგებელმა ფიფამ კეიპთაუნს საგანგებო დელეგაცია მიავლინა, რომელსაც ამერიკელი ალან როტენბერგი თავკაცობდა. შეგახსენებთ, რომ როტენბერგი 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ, ამჟამად კი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის კანდიდატთა საინსპექციო კომისიას თავკაცობს.



დენი იორდაანი (მარცხნივ) და ალან როტენბერგი თათბირობენ

REUTERS რობერ ბაუმერდან

დელეგაციამ სამხრეთ აფრიკის ღირშესანიშნაობები დაათვალიერა, ქვეყნის სპორტისა და პოლიტიკის ოფიციალურ წარმომადგენლებს შეხვდა და თავად სამხრეთ აფრიკის ყოფილი პრეზიდენტი ნელსონ მანდელა მოინახულა.

„მანდელამ ფიფას გაუმხილა, რომ უდიდესი საფეხბურთო ზეიმის სამხრეთ აფრიკაში ხილვა მთელი სულით და გულით სურს და სჯერა, რომ საბოლოოდ ყველაფერი მათ სასარგებლოდ გადაწყდება — განაცხადა ბალფურმა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე და დასძინა — ჩვენ ყველა ერთად ვცდილობთ, დავარწმუნოთ დელეგაციის წევრები, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა სამხრეთ აფრიკისთვის უდიდესი პატივია და ფიფა ნამდვილად არ შეცდება, თუ პრიორიტეტს მოგვანიჭებს. აფრიკული ქვეყნების განვითარებაში ეს წინგადადგმული ნაბიჯი იქნება“.

თითქმის ყველა შეხვედრა, რომელსაც სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ფედერაციისა და სხვადასხვა სპორტული თუ პოლიტიკური სფეროს მაღალჩინოსნები დაესწრნენ, დახურულ კარს მიღმა ჩატარდა და განხილული თემები ფართო საზოგადოებისთვის უცნობია.

სამხრეთაფრიკელთა პოზიცია ბალფურმა საკმაოდ მყარად დააფიქსირა — „მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის კანდიდატთაგან ყველა ღირსეულია — ინგლისიც, გერმანიაც, ბრაზილიაც და მაროკოც უდიდეს საფეხბურთო ფორუმს იმსახურებენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საბოლოო არჩევანს ფიფა სწორედ სამხრეთ აფრიკაზე შეაჩერებს“.

„მანდელა როტენბერგს საკმაოდ დიდხანს ესაუბრა, არასაფეხბურთო თემებსაც შეეხო, შეეცადა, დელეგატები დაერწმუნებინა, რომ სამხრეთ აფრიკა ნდობას ნამდვილად იმსახურებს“ — ამბობს სამხრეთ აფრიკა 2006-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე დენი იორდაანი — მთავარია, ფიფა დარწმუნდეს, რომ უსაფრთხოების, ტრანსპორტირების, ტელეკომუნიკაციისა და საერთო ინფრასტრუქტურის ორგანიზება სათანადო დონეზე შეგვიძლია“.

ბლატერმა, რომელმაც საგანგებო დელეგაცია ყველა კანდიდატ ქვეყანაში მიავლინა, საკმაოდ მკაფიოდ არაერთხელ გამოხატა თავისი მოსაზრება — შანსები ყველას აქვს, თუმცა გამარჯვებულის დასახელებას ივლისამდე არ ვაპირებ.

ერთი საინტერესო ფაქტიც: როტენბერგის გუნდმა ერთ-ერთი პრესკონფერენცია რობინის კუნძულზე გამართა, სწორედ იმ მიწაზე, სადაც ნელსონ მანდელამ ოცდაშვიდწლიანი პატიმრობის უხანგრძლივესი პერიოდი — 18 წელი გაატარა.

**ნიკა შუბლაძე**

## Copa Toyota Libertadores 2000

I ჯგუფი. ნა[illegible]ნალი (ურუგვაი) 2:0 ალიანსა (პერუ); ატლეტიკო პარანენსე (ბრაზილია) 1:0 ემელეკი (ეკვადორი)

II ჯგუფი. პ[illegible]აროლი (ურუგვაი) 2:1 ბლუმინგი (ბოლივია); ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 2:1 უნივერსიდად კათოლიკა ([illegible]ლე); ბლუმინგი (ბოლივია) 3:1 უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე)

III ჯგუფი. კორ[illegible]თიანსი (ბრაზილია) 6:0 ლიგა დე კიტო (ეკვადორი); ამერიკა (მექსიკა) 1:0 ლიგა დე კიტო (ეკვა[illegible]ი); ოლიმპია (პარაგვაი) 2:2 კორინთიანსი (ბრაზილია)

IV ჯგუფი. რივერ პლეიტი (არგენტინა) 3:1 უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე); ატლასი (მექსიკა) 0:0 უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე); ატლეტიკო ნასიონალი (კოლუმბია) 1:1 რივერ პლეიტი (არგენტინა)

V ჯგუფი. უნივერსიტარიო (პერუ) 1:0 სერო პორტენო (პარაგვაი); ხუნიორი (კოლუმბია) 3:1 სან ლორენსო (არგენტინა); სან ლორენსო (არგენტინა) 2:2 სერო პორტენო (პარაგვაი); ხუნიორი (კოლუმბია) 1:0 უნივერსიტარიო (პერუ)

VI ჯგუფი. სპორტინგ კრისტალი (პერუ) 3:0 ატლეტიკო კოლეგიალესი (პარაგვაი); ამერიკა (კოლუმბია) 5:3 როსარიო სენტრალი (არგენტინა); ამერიკა (კოლუმბია) 3:1 სპორტინგ კრისტალი (პერუ); როსარიო სენტრალი (არგენტინა) 4:2 ატლეტიკო კოლეგიალესი (პარაგვაი)

VII ჯგუფი. [illegible]ონგესთი (ბოლივია) 5:1 ჟუვენტუდე (ბრაზილია)

VIII ჯგუფი. კობრელოა (ჩილე) 1:0 ატლეტიკო მინეირო (ბრაზილია); კობრელოა (ჩილე) 3:3 ბოლივარი (ბოლივია); ატლეტიკო მინეირო (ბრაზილია) 2:1 ბელა ვისტა (ურუგვაი)



REUTERS მეხიკოდან

ამერიკა (მექსიკა) — ლიგა დე კიტო (ეკვადორი) 1:0. მექსიკელი ხოსე სალგადო და ეკვადორელი ედვინ ურტადო (მარჯვნივ)

ჩემპიონთა ლიგისგან განსხვავებით, მის სამხრეთამერიკულ ანალოგს, ლიბერტადორესის თასს, ვერაფერს გაუგებ, უფრო სწორად, მის კალენდარს. 32 მონაწილე გუნდიდან ზოგს უკვე სამი ტური ჩაუმთავრებია, რამდენიმე კი ერთ მატჩზე შეჩერებულა.

მერვეჯგუფელებმა პირველი წრე დაასრულეს. ჩილეს „კობრელოამ“ კალამაში ბოლივიური „ბოლივარი“ მიიღო. მაურისიო დონოსოს, ფერნანდო კორნეიოს და ედუარდო ბენეტის გოლებით მასპინძლებმა პირველი ტაიმი 3:0 მოიგეს, მაგრამ რაღ გინდა. შესვენების შემდეგ ეგ იყო, ბენეტიმ ბურთი ორჯერ ხარიხას გაარტყა და ბოლივიელებიც გამოცოცხლდნენ. მათ შეტევებს კალამელთა მხრიდან უხეშობა მოჰყვა და მსაჯმა ზედიზედ ორჯერ მიანიშნა თერთმეტმეტრიანის ნიშნულზე. ჯერ ვილსონ სანჩესმა, შემდეგ კი ხულიო სესარ ბალდივიესომ ანგარიში მინიმუმამდე შეამცირეს. მასპინძელთა გუნდი ამგვარმა შემობრუნებამ საბოლოოდ მოშალა და ბალდივიესომ 86-ე წუთზე მესამეც შეაგდო. ფრემ „კობრელოა“ ჯგუფში მეორე ადგილზე გადაიყვანა, პირველზე კი ბრაზილიურმა „ატლეტიკო მინეირომ“ აინაცვლა.

ბრაზილიელებმა თავის მხრივ ურუგვაულ „ბელა ვისტას“ უმასპინძლეს და გილიერმეს ორი გოლით დაამარცხეს. აღსანიშნავია, რომ გასულ სეზონში გილიერმემ ქვეყნის ჩემპიონატში 28 გოლი გაიტანა და ბომბარდირი გახდა, სტუმრებმა კი ამ შეხვედრაში ერთი ბურთის გაქვითვაღა მოახერხეს — 2:1.

მეექვსე ჯგუფში კოლუმბიურმა „ამერიკა-კოლუმბიამ“ ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო. კოლუმბიელთა ბოლო მსხვერპლი პერუს „სპორტინგ კრისტალი“ გახდა. მასპინძელთაგან ორლანდო მატურანამ, ხაირო კასტილომ და ლეონარდო მორენომ სამი ბურთი შეაგდეს, რასაც პერუელმა რობერტო ოლსენმა ერთით უპასუხა.

ჯგუფის მეორე მატჩი კი უხვგოლიანი იყო. არგენტინულმა „როსარიომ“ შინ პარაგვაიულ „ატლეტიკოს“ 4:2 მოუგო. ამ შეხვედრაში არგენტინელმა რაფაელ მეკარატესიმ ჰეთ თრიკი გააზერხა.

### ფეხბურთის რუკაზე



გერმანული დორტმუნდის „ბორუსია“ ბოსნიელი ნახევარმცველის, სერგი ბარბარესის გაყიდვას აპირებს. ბუნდესლიგის ერთ-ერთი ტურის წინა საღამოს ფეხბურთელი უდისციპლინოდ მოიქცა — მთელი ღამე რესტორანში გაატარა: „ბარბარესი თავისუფალია — თქვა „დორტმუნდის“ ახალმა თავკაცმა ბერნდ კრაუსმა და დასძინა — მას ახალი კლუბის მოძებნა და გერმანიის დატოვება დღესვე შეუძლია“. შეგახსენებთ, რომ როსტოკის „ჰანზადან“ „დორტმუნდში“ გადაბარგებულ ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი 2001 წელს უმთავრდებოდა. ბარბარესის შეძენის სურვილი მეორე ბუნდესლიგის ლიდერმა — „კიოლნმა“ გამოთქვა.

ნორვეგიული „რუსენბორგის“ თავდამსხმელ იონ კარეუს რამდენიმე წამყვანმა ევროპულმა კლუბმა დაადგა თვალი, მათ შორის ყველაზე რეალურ კანდიდატად დორტმუნდის „ბორუსია“ ითვლება. „უახლოეს დღეებში ყველაფერი მოსალოდნელია — განუცხადა კარეუმ ლიგის მატჩამდე ერთ-ერთ ნორვეგიულ სააგენტოს და დასძინა — „ბაიერნთან“ თამაშის შემდეგ შესაძლოა კლუბიც გამოვიცვალო, რამდენიმე ხელსაყრელი წინადადება უკვე მივიღე.“ სკანდინავიური სააგენტოების ცნობით, „რუსენბორგმა“ „ბორუსიას“ 20 წლის კარეუს სანაცვლოდ 9,8 მილიონი დოლარი მოსთხოვა. ფეხბურთელის შეძენას შარშან „ბოლონია“ და „სტრასბური“ ცდილობდნენ, მაგრამ თავდამსხმელის გადაბირება ვერც ერთმა მოახერხა. წლეულს კი ფორვარდის შეძენის მსურველთა რიცხვს კიდევ რამდენიმე გუნდი შეემატა. თუ კარეუ „დორტმუნდში“ გადაბარგდა, იგი ყველაზე ძვირადღირებული ნორვეგიელი ფეხბურთელი გახდება. „რუსენბორგმა“ კარეუს შემცვლელის ძებნა დაიწყო და უახლოეს დღეებში შესაძლოა ნორვეგიული „ტრომსოს“ თავდამსხმელი რუნე ლანგე შეიძინოს.

ინგლისის პირველდივიზიონელმა „ნოტინგემ ფორესტმა“ დაცვის გაძლიერება განიზრახა და პრემიერლიგელი „ასტონ ვილადან“ 35 წლის შოტლანდიელი მცველი კოლინ კალდერვუდი გადაიბირა. გუნდის თავკაცმა დევიდ პლატმა განაცხადა: „კოლინის შეძენას ზაფხულიდან ვცდილობდი, მოხარული ვარ, რომ ეს შევძელი. დაცვის ცენტრში მცირე პრობლემები გვაქვს. ვიმედოვნებ, კალდერვუდის გამოცდილება გუნდს გამოადგება.“ შოტლანდიელი მცველის შეძენას კიდევ ერთი პირველდივიზიონელი „მანჩესტერ სიტი“ ცდილობდა, მაგრამ ფეხბურთელმა საბოლოოდ „ნოტინგემი“ ირჩია.

გერმანული ბერლინის „ჰერტას“ ნორვეგიელი ვეტერანი მცველი კეტილ რეკდალი მომავალი სეზონიდან შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდეს და „ვალერენგას“ რიგებს შეუერთდეს. 31 წლის ფეხბურთელი მომავალ ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობას აპირებს. ნორვეგიელი ბერლინურ კლუბში 1998 წელს ფრანგული „რენიდან“ გადაბარგდა და საკმაოდ წარმატებული სეზონი ჩაატარა. თუმც ამჟამად ფეხბურთელს საზარდულის ტრავმა აწუხებს და „ჰერტას“ ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდება.

ინგლისურმა „ევერტონმა“ სპორტულ ნაწარმთა ფირმა „პუმასთან“ ახალი ოთხწლიანი სპონსორული კონტრაქტი გააფორმა. ამ ფირმის ინვენტარით გუნდი პირველად 14 მაისს, პრემიერლიგის უკანასკნელ ტურში შეიმოსება. შეგახსენებთ, რომ ლივერპულელებმა რამდენიმე დღის წინ „საუთჰემპტონის“ 36 წლის უელსელი ფორვარდი მარკ ჰიუზი შეიძინეს.

ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა და „ნიუკასლ იუნაიტედის“ ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა რუუდ გულიტმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში არ აპირებს, რომელიმე გუნდს უთავკაცოს. მან რამდენიმე სერიოზული წინადადება უარყო. „ნიუკასლიდან“ წასვლის შემდეგ თავისუფალი დრო გამიჩნდა — თქვა გულიტმა — 14 წლის შემდეგ ძლივს მომეცა სამშობლოში ხანგრძლივად ყოფნის საშუალება. ამიტომ ჯერჯერობით მუშაობის დაწყება სულაც არ მსურს“. გულიტმა საკმაოდ შთამბეჭდავი კარიერა განვლო. იგი „მილანში“ თამაშობდა და ჰოლანდიურ ტრიო — ვან ბასტენი-გულიტი-რაიკარდი იმ დროს ბრწყინავდა. ამის შემდეგ სამწვრთნელო კარიერა სცადა და „ნიუკასლში“ მოთამაშე-მწვრთნელად მუშაობდა, თუმცა დიდ წარმატებას ვერ მიაღწია.

ისრაელის თასის მერვედფინალის გადათამაშება. ბეითარი (ბეერშევა) 1:1 (პენ. 6:7) *ბეითარი (იერუსალიმი)*. მეოთხედფინალის წილისყრა. ჰაპოელი (ქვარ სავა) — მაკაბი (ფეთაჰ თიკვა); მაკაბი (ჰაიფა) — ბეითარი (თელ ავივი); მაკაბი (ნეთანია) — ბეითარი (იერუსალიმი); ჰაპოელი (ბეერშევა) — ჰაპოელი (თელ ავივი). მატჩები გაიმართება 21 მარტს.

უკრაინის თასის მერვედფინალის წილისყრა. დინამო — ხერსონი; ლვოვი — დნიპრო; ტავრია — მეტალურგი (ზაპოროჟიე); ნივა — კარპატი; კრივბასი — მეტალურგი (დონეცკი); ცსკა — ვორსკლა; ზირკა — ვინიცა; ბორისფენი — შახტარი. მატჩები გაიმართება 29-30 მარტს.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ სანტანდერის „რასინგის“ მეკარე ხოსე მარი სებალიოსი 12-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. პრიმერადივიზიონის უკანასკნელ ტურში, „სარაგოსას“ წინააღმდეგ მატჩში, გოლკიპერმა არბიტრს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. იგი მოედნიდან გააძევეს. სებალიოსი მთელ წლევანდელ სეზონს გამოტოვებს, ვერ ჩაატარებს მომავალი სეზონის პირველ ორ შეხვედრასაც. „როდესაც ფეხბურთელს წითელი ბარათი ვუჩვენე, ხელი გამარტყა“ — განაცხადა მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე მთავარმა არბიტრმა პრადოს გარსიამ, თუმც სებალიოსი დანაშაულს დღემდე უარყოფს: „იმ მომენტში გავბრაზდი და მსაჯისკენ რაღაცის ასახსნელად გავემართე, თუმც ხელი არ დამირტყამს. ეს სატელევიზიო გამეორებაზეც ნათლად გამოჩნდა“ — თავი იმართლა მეკარემ — სატელევიზიო ჩანაწერი ფეხბურთის ფედერაციამ გულდასმით განიხილა და დამნაშავე ფეხბურთელი საკმაოდ მკაცრადაც დასაჯა.

იტალიური რომის „ლაციოს“ ჩილელმა თავდამსხმელმა მარსელო [illegible]ასმა „ჩელსის“ წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის უპრინციპულესი მატჩი შესაძლოა გამოტოვოს. ჩილეს ნაკრების ხელმძღვანელობა ფეხბურთელის ამხანაგურ მატჩში მონაწილეობას მოითხოვს. სამხრეთამერიკელები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაწყებამდე განას ნაკრებს შეეჯიბრებიან. ეს მატჩი 22 მარტსაა დაგეგმილი, „ლაციო“ ორი დღით ადრე „რომას“ დაუპირისპირდება, ხოლო ამის შემდეგ ლონდონს ესტუმრება. რომაული გუნდის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა ჩილეს ნაკრებს, რომ ამ ორი მნიშვნელოვანი მატჩის დროს ფეხბურთელი სამშობლოში არ გამოიძახონ.

# სიდნეი 2000

Sydney 2000

## ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე დარჩა 183 დღე

# პრეზიდენტთან სტუმრობაო, არ გეგონოთ ხუმრობაო

*მარტის ბოლო კვირაში შედგება ქართული სპორტული საზოგადოებრიობის შეხვედრა ქვეყნის პრეზიდენტთან. ამის თაობაზე საუბრობს სეოკ-ის გენერალური მდივანი, ბატონი ემზარ ზენაიშვილი:*

**— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მარტის ბოლოს დაგეგმილია ქართველი ოლიმპიელების შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან, ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან. ძირითადად რა საკითხებზე იმსჯელებთ?**

— ბატონ ედუარდთან შეხვედრა საკმაოდ დიდი ხანია იგეგმება და სულ მალე განხორციელდება კიდეც. მას ოლიმპიელებთან ერთად დაესწრებიან სპორტული ფედერაციების, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები, აგრეთვე მწვრთნელები, სპორტის მუშაკები და ჟურნალისტები. პრეზიდენტს მივაწვდით ინფორმაციას სიდნეის ოლიმპიადისთვის ჩვენი გუნდის მზადების შესახებ და ვისაუბრებთ იმ პრობლემებზე, რაც შეექმნათ ქართველ სპორტსმენებს. განვიხილავთ ჩვენი გუნდის ალკაზმულობის, აკრედიტაციების, მგზავრობის საკითხებს. ბუნებრივია, ვიმსჯელებთ სიდნეიში ქართველი სპორტსმენების სავარაუდო შედეგებზეც. ჩემი აზრით, შეხვედრა ძალიან სასარგებლო და ნაყოფიერი იქნება. რაც მთავარია, გვჯერა, რომ პრეზიდენტი, რომელმაც კარგა იცის, თუ რას ნიშნავს სპორტი და ოლიმპიური თამაშები ქვეყნისთვის, დაავალებს შესაბამის სტრუქტურებს, მეტი პასუხისმგებლობით მიუდგნენ ამ საკითხს და ხელი შეუწყონ საოლიმპიადოდ უკეთ მომზადებაში.

**— ხომ არ დაუწესდებათ ოლიმპიურ თამაშებზე I, II, III ადგილე-**



**ბზე გასულ სპორტსმენებს ფულადი საპრიზო ფონდი?**

— აღნიშნულ თემას პრეზიდენტთან შეხვედრისას აუცილებლად წამოვჭრით. ის კი არა, გვსურს, IV, V, VI ადგილებზე გასულ სპორტსმენებსაც დაენიშნოთ ფულადი პრემიები, რადგან ვთქვათ, ესოდენ მნიშვნელოვან სპორტულ ფორუმზე თუნდაც IV-VI ადგილის დაკავება ჩვენნაირი დუხჭირი პირობების კვალობაზე კარგი შედეგია. მოკლედ, საპრიზო ფონდს პრეზიდენტი აუცილებლად განსაზღვრავს, ხოლო თუ რამდენს, ამას ნამდვილად ვერ გეტყვით, ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, ატლანტაზე ნაკლები არ იქნება.

**— ხომ არ არის მოსალოდნელი, ოლიმპიურ თამაშებზე ლიცენზირებულთა გარდა ქართველი სპორტსმენების ეგრეთ წოდებული „ველური ბარათით" მონაწილეობა და სპორტის რომელ სახეობაში?**

— სულ ახლახან სოკ-მა და რამდენიმე საერთაშორისო ფედერაციამ შეგვატყობინა, რომ თამაშებში მონაწილეობა შესაძლებელია ე.წ. „ველური ბარათის" მეშვეობით. სათანადო კონსულტაციების შემდეგ შესაბამის სტრუქტურებს გავუგზავნეთ თხოვნის წერილი, სადაც ორ სპორტსმენზე გავამახვილეთ ყურადღება — ჩოგბურთელ ირაკლი ლაბაძესა და დავით ბერიძეზე. პირველმა საერთაშორისო ასპარეზზე უკვე გარკვეულ წარმატებებს მიაღწია და ვთვლით, რომ სიდნეიში მონაწილეობა მის კიდევ უფრო დაოსტატებას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება დათოს, ტაიკვანდოს ფედერაციას მიაჩნია, რომ იგი ნიჭიერი სპორტსმენია. გარდა ამისა, თუ ქართველმა მძლეოსნებმა და მოცურავეებმა ლიცენზიები ვერ მოიპოვეს, მაშინ არაა გამორიცხული, სპორტის ამ სახეობათა ტრადიციების და მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით, თითო-თითო სპორტსმენმა მაინც იასპარეზოს სიდნეიში.

**ქახა ბერიძე**

# ბებერი სამარანჩი ქალებზე ფიქრობს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი კმაყოფილია ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე სპორტსმენ ქალთა რაოდენობით. ახლა მას სურს, იგივეს მიაღწიოს სოკ-ის ადმინისტრაციაში.

„ასოშეიტედ პრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში მან თქვა, რომ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე სპორტსმენთა 42 პროცენტი ქალი იქნება, ხოლო სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ეს მაჩვენებელი 50 პროცენტს შეადგენს.

— ახლა ჩვენი მთავარი პრობლემა ისაა, რომ სპორტს რაც შეიძლება მეტი ქალი ხელმძღვანელობდეს. ამ სფეროში მხოლოდ რამდენიმე ქალბატონს უკავია დიდი თანამდებობა. აუცილებლად უნდა ჩატარდეს დისკუსიები და საკითხი მოგვარდეს — თქვა სოკ-ის პრეზიდენტმა, რომელიც პარიზში გამართულ თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებში ქალთა მონაწილეობის 100 წლის საიუბილეო კონფერენციაზე გამოვიდა.

კონფერენციის მონაწილეთა ზოგიერთმა წარმომადგენელმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ საერთაშორისო სპორტში დასაქმებულ ქალთა და მამაკაცთა რაოდენობა ერთობ არათანაბარია.

— სპორტში ქალთა მონაწილეობა შეზღუდულია, ვერც ერთი ერი ვერ იამაყებს სპორტული ტრადიციებით ქალების გარეშე — განაცხადა საფრანგეთის სპორტის მინისტრმა მარი-ჟო ბუფემ.

საინტერესოა, რომ 1996 წლის ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე 26 ქვეყნის გუნდი მხოლოდ კაცებით იყო დაკომპლექტებული, ხოლო 14 — ქალებით.

**გიგა გურასპაშვილი**



ხუან ანტონიო სამარანჩი და მისი ერთ-ერთი თანამებრძოლი ქალი, სოკ-ის გენერალური მდივანი ფრანსუაზა ცვიფელი

# რა მინდოდა ჭიდაობაში, დაილოცოს ფეხბურთი

*ბევრს გახდომია სანანებლად არჩეული პროფესია, მაგრამ როცა ასეთი რამ სპორტსმენს ემართება, ქართული სპორტის გულშემატკივართათვის ორმაგად სამწუხაროა. თავისუფალი სტილით მოჭიდავე ემზარ ბედინეიშვილი სხვა ქართველ ფალავანთაგან სტაბილურობით გამოირჩევა. იგი ერთ-ერთი პირველი გახლდათ, ვინც ქართველთაგან ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა. სამწუხაროდ, ქართულ ჭიდაობაში შექმნილი მძიმე ვითარებისა და მავანთა უყურადღებობის გამო მან ჭიდაობაზე გული აიცრუა და ამას არც მალავს. ყველაფერი კი სულ სხვაგვარად დაიწყო.*



ემზარ ბედინეიშვილი

— ბავშვობაში ფეხბურთზე დავდიოდი და კარგადაც ვთამაშობდი. სწორედ მაშინ, ჩემი ნათესავი მოზარდებს ჭიდაობის სექციაში ავარჯიშებდა და მეც თავისთან გადასვლა შემომთავაზა. აი, ასე აღმოვჩნდი, არ შევცდები, თუ ვიტყვი, სპორტის ამ ტანჯულ სახეობაში.

**— კარიერაში, ალბათ, სასიამოვნო ეპიზოდები მრავლად გექნებოდათ.**

— არაერთხელ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ასეთია ყველა სპორტსმენის ხვედრი. ძალიან დამწყდა გული, შარშან ანკარის მსოფლიოს ჩემპიონატზე უმედლოდ რომ დავრჩი, რაშიც ლომის წილი არბიტრებს მიუძღვით, მაგრამ ოლიმპიური ლიცენზია მაინც მოვიპოვე და ამით ვიმშვიდებ თავს. სიამოვნებით ვიხსენებ შარშანდელ ევროპის ჩემპიონატსაც, როდესაც მინსკში ბრინჯაო მოვიგე.

**— საერთოდ, შარშანდელ წელს როგორ შეაფასებდით?**

— რომ გითხრათ, უკმაყოფილოვარმეთქი, ალბათ, მართალი არ ვიქნები. ქართულ სპორტში არსებული საერთო სიტუაციიდან გამომდინარე, ევროპის მესამე ადგილი და ოლიმპიური ლიცენზია წარმატებულ შედეგად მიმაჩნია. მინსკის საჭიდაო ხალიჩაზე მოპოვებული ბრინჯაო ჩემი პირველი სერიოზული მიღწევა გახლდათ და იმედს მაქვს, რომ იგი ჩემი მომავალი გამარჯვებების საწინდარი იქნება.

**— ემზარ, წინასაოლიმპიადო მზადებაში რაიმე ხომ არ გიშლით ხელს?**

— როგორ ფიქრობთ, ყველაფერი ხელისშემშლელი არ არის? რაც დღეს ქართულ სპორტში ხდება, კატასტროფის ტოლფასია და ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ გამკითხავიც არავინაა. აგერ ევროპის ჩემპიონატი ახლოვდება და როგორ უნდა ვიჭიდაო, არ ვიცი. შეკრება რომ შეკრებაა, ისიც სანატრელი გაგვხდომია, საერთაშორისო ასპარეზზე შედეგებს კი ითხოვენ. ჩვენს უცხოელ კოლეგებს ყველაფერი საათივით აქვთ აწყობილი და არაფერი აღარდებთ, ჩვენ კი... წარმოიდგინეთ, ყინვაში ვვარჯიშობთ, ამის შემდეგ საერთოდ რაღაზე უნდა ილაპარაკო. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სარბიელზე ასე თუ ისე წარმატებით ვასპარეზობთ. ამას ყველაფერს ხომ დაფასება უნდა. სპორტის დეპარტამენტმა საერთოდ დაგვავიწყა რას ნიშნავს სიტყვა ხელფასი. მას ჩვენი 8 თვის გასამრჯელო მართებს. ერთადერთი, ოლიმპიური კომიტეტი გვაძლევს ყოველკვარტლურად სტიპენდიებს და ამით გაგვაქვს თავი. მე სულ ახლახან დავქორწინდი, ჩემი მშობლები კი მიზერულ შემოსავალს იღებენ და მთელი ოჯახის სიმძიმე მხრებზე დამაწვა. ჩემი პროფესია კი ჭიდაობაა, შემოსავლის სხვა წყარო არ გამაჩნია.

**— ცოტა ხნის წინ ქართული სპორტის მესვეურნი პარლამენტის წევრებს შეხვდნენ. ალბათ, მცირედი იმედი მაინც გაგიჩნდებოდათ.**

— ჯერჯერობით სასიკეთო ძვრებს ვერ ვამჩნევ და მომავალში რა იქნება, ესეც ღმერთმა უწყის. სპორტი ყველა ქვეყნისთვის სავიზიტო ბარათად უნდა იქცეს, თუნდაც ოლიმპიურ თამაშებზე წარმატებული გამოსვლით სახელმწიფო თავად უნდა იყოს დაინტერესებული, ჩვენთან კი ყველაფერი პირიქითაა. ვერ გამიგია, თუ ხელს გაგვიმართავენ, რა დაშავდება — ამით ხომ ქვეყანა იხეირებს და მსოფლიოში გაითქვამს სახელს. ჩემი აზრით, მათ, ვისაც მდგომარეობის გამოსწორება ხელეწიფება, ხორვატული მაგალითი უნდა გაითვალისწინონ და მცირეოდენი მაინც გააკეთონ, თუ არა და ოლიმპიადის შემდეგ უფსკრულში გადავიჩეხებით.

**— ისე ლაპარაკობთ, საზღვარგარეთ წასვლას უნდა აპირებდეთ...**

— ვინ აღარ მიწვევს, მაგრამ სიდნეიში აუცილებლად საქართველოს სახელს დავიცავ, რადგან აქეთ-იქით წოწიალის დრო აღარ არის. ისე, ძალიან სერიოზული წინადადებები მივიღე მაკედონიიდან და სხვა ქვეყნებიდან და ალბათ, სიდნეის შემდეგ წავალ კიდეც. ძალიან მწყინს, ამას რომ ვამბობ, მაგრამ სხვა გზა აღარ მაქვს. მერწმუნეთ, ელემენტარულ არსებობაზეა საუბარი, თორემ აქედან ფეხსაც არ გავდგამდი.

**— სიდნეიში რა შედეგებს გეგმავთ და ვინ მიგაჩნიათ თქვენს მთავარ კონკურენტებად?**

— ჩვენი მთავრობა ისეთ პირობებს გვიქმნის, რომ გვაიძულებს, ოლიმპიური დევიზის „მთავარია მონაწილეობა და არა შედეგი" პრინციპით ვიმოქმედოთ, მაგრამ მე მაინც ყველანაირად ვეცდები, სამშობლოში ოლიმპიური მედლით მკერდდამშვენებული დავბრუნდე.

რაც შეეხებათ ჩემს მთავარ კონკურენტებს, ასეთად 4-5 მოჭიდავე მიმაჩნია, თუმცა მაინც კანადელ და სომეხ ფალავნებს გამოვყოფდი. მოკლე, ყველას თანაბარი შანსი გვაქვს და იმ დროისთვის ვინც უკეთ იქნება მომზადებული, წარმატებასაც ის მიაღწევს.

**— ემზარ, ჭიდაობის გარდა რა გიტაცებთ და თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

— ფეხბურთზე უზომოდ ვარ შეყვარებული და გამუდმებით ვადევნებ თვალყურს. როგორც გითხარით, თავიდან ფეხბურთით დავიწყე და ძალიანაც ვნანობ, ბოლომდე რომ არ გავყევი. თავისუფალ დროს კი ოჯახში ვატარებ.

**— რა არის თქვენი ყველაზე დიდი ოცნება?**

— ოლიმპიური ოქრო.

**ქახა ბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისინი იასპარეზებენ სიდნეიში

## მირიან გიორგაძე

### ბერძნულ-რომაულ ჭიდაობა მძიმე წონა



*მირიან გიორგაძე დაიბადა 1976 წლის 15 მარტს თერჯოლაში. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1988 წელს შაქრო ბერძენიშვილთან.*

*არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი; 1992 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკებში; 1995 წლის მსოფლიოს II პრიზიორი ახალგაზრდებში და 1993 წლის ევროპის III პრიზიორი. 1999 წლის გივი კარტოზიას თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი; 1998 წლის ირანის „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი და 2000 წლის საფრანგეთისა და ტაშკენტის „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირების III პრიზიორი. უცოლო.*

**სამი შეკითხვა ლიცენზიანტებს**

1. რატომ აირჩიეთ სპორტის ეს სახეობა?
2. გაიხსენეთ რაიმე კურიოზი თქვენი სპორტული ცხოვრებიდან.
3. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე რომელი ადგილის დაკავებას ვარაუდობთ?

*1. ჭიდაობა ბავშვობიდანვე ძალიან მიყვარდა. 12 წლის ვიყავი, როცა ბაბუამ ჭიდაობის სექციაში მიმიყვანა და მეც გავამართლე. მიმაჩნია, რომ ეს სპორტი ერთ-ერთი ყველაზე ვაჟკაცურია სხვა სახეობებთან შედარებით.*

*2. ჩემი სპორტული კარიერის მანძილზე უამრავი სასაცილო ამბავი გადამხდენია, მაგრამ ახლა რატომღაც არც ერთი არ მახსენდება.*

*3. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა და წარმატებით გამოსვლა ნებისმიერი სპორტსმენისთვის საამაყოა. ამიტომ უეჭველად მედლის მოსაპოვებლად ვიბრძოლებ, ხოლო თუ რომელი სინჯისა იქნება იგი, დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. რა თქმა უნდა, თუ ოქროს მოვიგებ, ჩემზე ბედნიერი კაცი, ალბათ, მთელ დუნიაზე არავინ იქნება. თანაც სიდნეი ჩემთვის პირველი ოლიმპიური თამაშებია და ძალიან მინდა, კარგად მომგონდეს.*

# როკკონცერტები ოლიმპიადის გახსნამდე და დახურვის ცერემონიალზე

12-14 სექტემბერს, სიდნეიში ოლიმპიური თამაშების გახსნამდე 72 საათით ადრე გაიმართება თანამედროვეობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული მუსიკის ფესტივალი, რომლის შემოსავალიც მთლიანად პარაოლიმპიური თამაშების განვითარებას მოხმარდება. წინასწარი ცნობებით, ფესტივალში გამოსვლაზე თანხმობა განაცხადეს პიტერ გებრიელმა, შინეიდ ოკონორმა, ბრიუს სპრინგსტინმა, მერაია ქერიმ, ტომ ჯონსმა და ჯგუფებმა — „U 2“-მ, „NAZARETH“-მა, „OASIS“-მა, „FIVE“-მა და მძიმე როკის უპოპულარესმა ჯგუფმა „AC/DC“-მა. როგორც ამ უკანასკნელი ჯგუფის სოლისტმა ბრაიან ჯონსონმა თქვა, მისთვის უდიდესი პატივია ესოდენ მნიშვნელოვანი ღონისძიებაში მონაწილეობა: „ბავშვობიდან სპორტის დიდი თაყვანისმცემელი ვიყავი, ვარ და ვიქნები. იქნებ ბევრი გააკვირვოს კიდეც სპორტით ჩემმა დაინტერესებამ, რადგანაც მასმედია როკჯგუფების უმრავლესობას მხოლოდ ალკოჰოლური სასმელებისა და სუსტი სქესის წარმომადგენლების მოყვარულად მიიჩნევს, მაგრამ ეს ასე არ არის. მე დღემდე სიამაყით ვიხსენებ 1987 წლის უიმბლდონის ტურნირს, რომლის ფინალშიც ჩემმა თანამემამულემ პეტ კეშმა ივან ლენდლს სძლია. ჩვენ 1987-88 წლების მსოფლიო ტურის ყოველ კონცერტს კეშისადმი მიძღვნილი სიმღერით „HARD AS A ROCK“ ვიწყებდით...“ ისე, სიტყვამ მოიტანა და არ შეიძლება არ გავიხსენოთ 1991 წლის 26 მარტი, როდესაც ქალაქ ადელაიდის (ავსტრალია) ერთ-ერთ საქველმოქმედო როკკონცერტზე ჯგუფი „SLIDERS“ გამოვიდა. მისი სოლისტი და ბას-გიტარისტი სწორედ პეტ კეში გახლდათ.

გარდა ამისა, მწვანე კონტინენტზე ოლიმპიური თამაშების დახურვის დღეს, 1 ოქტომბერს, კიდევ ერთი საყოველთაოდ ცნობილი როკჯგუფი „DEEP PURPLE“ გამართავს თავისი გამოსათხოვარი ტურის ერთ-ერთ კონცერტს. წინასწარი მონაცემებით, ბილეთების 90 პროცენტი უკვე გაყიდულია, რაც მთლიანობაში დაახლოებით 115 ათასია. ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს ერთობ აშფოთებს ეს ფაქტი, რადგან სავსებით შესაძლებელია, ადგილობრივი მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა ოლიმპიური თამაშების დახურვის ცერემონიალს ლეგენდარული როკჯგუფის გამოსათხოვარ ტურზე დასწრება ამჯობინოს.

**ზურაბ თალაქვაძე**




# ქართველები ოლიმპიურ თამაშებზე




## მიუნხენი 1972 წელი

1. ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა) — I
2. ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — I
3. შოთა ჩოჩიშვილი (ძიუდო) — I
4. ზურაბ საკანდელიძე (კალათბურთი) — I
5. მიხეილ ქორქია (კალათბურთი) — I
6. ვიქტორ კრატასიუკი (საბაიდარო ნიჩბოსნობა) — I
7. დიტო შანიძე (ძალოსნობა) — II
8. ომარ ფხაკაძე (ველოსპორტი) — III
9. გივი ონაშვილი (ძიუდო) — III
10. მურთაზ ხურცილავა (ფეხბურთი) — III
11. რევაზ ძოძუაშვილი (ფეხბურთი) — III
12. ქეთევან ლოსაბერიძე (მშვილდოსნობა) — IV
13. თინათინ ლეკვეიშვილი (ცურვა) — IV
14. ჯემალ მეგრელიშვილი (კლასიკური ჭიდაობა) — V
15. გურამ გოგოლაური (ძიუდო) — V
16. გიორგი ნასყიდაშვილი (სანიჩბოსნო სლალომი) — XXXI

*სულ მიუნხენის XX ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა 16 ქართველი სპორტსმენი: 6 ოქრო, 1 ვერცხლი და 4 ბრინჯაო.*

# ავსტრალიელებმა შემადგენლობა დაასახელეს

დეივის თასის საჩოგბურთო ტურნირზე ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გამოჩნდა ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი. პირველი ორი მატჩის მოგების შემდეგ ავსტრალიელთა კერპი მეოთხედფინალში მოულოდნელად დამარცხდა ამერიკელ გოლდშტეინთან, თუმცა თავისი თამაშით უკმაყოფილო არ დარჩენილა. ამასობაში ვერაფრით მოიშუშა ერთი თვის წინ მიღებული ტრავმა ოზთა მეორე ნომერმა მარკ ფილიპუსისმა. „სკადი“ სპორტულ სარბიელზე დაბრუნებას ინდიან უელსში გეგმავს. რაფტერისა და ფილიპუსისის არყოფნით კი კარგად ისარგებლა ლეიტონ ჰიუიტმა, რომელმაც გასულ კვირას სკოტსდეილში სეზონის მესამე ტურნირი მოიგო და ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზე იმყოფება. წარუმატებლად დაიწყეს სეზონი ენდრიუ ილიემ და უეინ არტურსმა, თუმც კი, ამ უკანასკნელის თქმით, ჰარდზე თამაშს მას ბალახისსაფარიან კორტებზე ასპარეზობა ურჩევნია, სადაც ზორბა უეინმა შარშან წარმატებებსაც მიაღწია.

ყოველივე ეს იმისთვის მოგახსენეთ, რომ ორშაბათს გერმანულ ჟურნალ „Tennis magazin“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელმა ჯონ ნიუკომბმა დაასახელა იმ გუნდის სავარაუდო შემადგენლობა, რომელიც სექტემბერში სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას. ნიუკომბის თქმით, ერთეულთა თანრიგში იასპარეზებენ რაფტერი, ფილიპუსისი, არტურსი, ილიე, ჰიუიტი და მარკ ვუდფორდი, წყვილთა შორის კი მასპინძლებს ერთდროულად ორი ტანდემი ეყოლებათ: სენდონ სტოლისა და პატრიკ რაფტერის დუეტს, ოლიმპიურ თამაშებზე გამოცდილი მარკ ვუდფორდი და ტოდ ვუდბრიჯი გაუწევენ კონკურენციას.

ნიუკომბმა თქვა, რომ თავიდან წყვილთა თანრიგში რაფტერი-ფილიპუსისის დუეტის დაყენებას აპირებდა, მაგრამ „სკადმა“ იუარა, აქაოდა ერთეულთა შორის გამარჯვების ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენდენტი ვარ და მთელი ყურადღება სწორედ ამ დისციპლინას უნდა დავუთმოო. მარკი თავმდაბლობით არასოდეს გამოირჩეოდა, მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, სიდნეის ბალახისსაფარიან კორტებზე მას, პიტ სამპრასს, რიჩარდ კრაიჩეკსა და გრეგ რუზეცკის გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი ექნებათ.

ისე, 90-იანი წლების სტატისტიკურ მონაცემებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ 1992 წლის უიმბლდონის ტურნირსა და იმავე წელს ბარსელონაში გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე გერმანელ ჩოგბურთელ მიხაელ შტიხს უმარჯვია. უიმბლდონის ტურნირზე შტიხმა ჯონ მაკინროისთან ერთად 4-საათიან ბრძოლაში დაამარცხა ვუდების დუეტი, ხოლო ოლიმპიურ თამაშებზე მისი პარტნიორი იყო ბორის ბეკერი, ვისთან ერთადაც მიხაელმა იმავე წელს მოიგო მონტე კარლოსა და მიუნხენის მთავარი პრიზები.

ამ ფაქტების გახსენება არც ფილიპუსისს დავიწყებია: „ჩემი აზრით, 90-იანი წლების გერმანიის ნაკრები დღემდე რჩება ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად დევისის თასის გათამაშების ისტორიაში. ბორის ბეკერი და მაკინროი ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელებად მიმაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ მათგანს არ მოუგია იმდენი ტურნირი, რამდენიც ლენდლსა და სამპრასს. მიხაელი კი ყველა დროის ერთ-ერთ ელეგანტურ და ინტელიგენტურ ჩოგბურთელად რჩება. სხვათა შორის, მიხაელის დარად, მეც რატომღაც მუდმივად თან მდევს გუნდში მეორე ნომრის იარლიყი. არა, იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ პატრიკზე ძლიერი ვარ. თანაც, თუ ჩვენს მიერ ნაჩვენებ შედეგებს გადავხედავთ, რაფტერს ორი დიდი სლემის ტურნირი აქვს მოგებული, მე კი არც ერთი. თუმც კი ჯერ საკმაოდ ახალგაზრდა ვარ და მჯერა, რომ მომავალი წარმატებები წინ მაქვს. იმედს ვიტოვებ, რომ მიხაელ შტიხის შედეგს მაინც გავიმეორებ...“

ჩოგბურთის მოყვარულებს კი შევახსენებთ, რომ თავისი შვიდწლიანი კარიერის განმავლობაში მიხაელ შტიხმა 20 ტურნირი მოიგო. 1991 წელს მან უიმბლდონის კორტებზე გაიმარჯვა, 1992-ში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, 1993 წელს კი გერმანიის ნაკრებმა (რომლის შემადგენლობაშიც ბეკერი არ ირიცხებოდა) „პეჟოს თასი“ (არაოფიციალური გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი) მოიგო და ნოემბერში ავსტრალიელთა ძლევის შემდეგ დევისის თასსაც დაეუფლა. იმავე წელს შტიხმა ჰანოვერში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატსა და „Grand slem cup“-ის ტურნირში გაიმარჯვა. ასე რომ, ფილიპუსისს, რომელსაც ჯერჯერობით მხოლოდ დევისის თასზე მოუპოვებია გამარჯვება, ვფიქრობთ, საკმაოდ გაუჭირდება სახელოვანი გერმანელის მიღწევების გამეორება.

**ზურაბ თალაქვაძე**

# კილი ერთ თანამდებობას ელევა

წარსულში ცნობილმა სამთომოთხილამურემ, სამგზის ოლიმპიურმა და ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა, ფრანგმა ჟან-კლოდ კილმა სენსაციური განცხადება გააკეთა.

56 წლის კილს, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრიც გახლავთ, განაცხადა, რომ წლის ბოლოსთვის „ტურ დე ფრანსის“ საზოგადოების პრეზიდენტის თანამდებობის მიტოვებას აპირებს, რომელიც უცნობილესი ველორბოლისა და პარიზ-დაკარის ავტორალის ორგანიზებას ხელმძღვანელობს.

კილი ამ კომპანიას 1992 წელს ჩაუდგა სათავეში. მისი გადადგომის მიზეზი კი ბოლო წლებში დაგროვილი პრობლემები გახლავთ, განსაკუთრებით 1998 წლის „ტურ დე ფრანსის“ დოპინგ სკანდალი, რის გამოც რიგმა გუნდებმა რბოლა მიატოვეს და ასევე არანაკლებ პოპულარული პარიზ-დაკარის ავტორალთან დაკავშირებული პრობლემა, რომლის ტრადიციული მარშრუტიც წლეულს დაკარ-ქაიროთი შეიცვალა და ისე მოხდა, რომ ასპარეზობის პირველ კვირას ნიგერმა ტერორისტებმა ლამის ჩაშალეს.

**გიგა გურასაშვილი**



საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა მიიწვია ფრანგი სპორტსმენები, რომლებიც სიდნეის ოლიმპიადისთვის ემზადებიან. იქვე ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ჟან-კლოდ კილიმ და გი დრიუმ პრეზიდენტს სოკ-ის ეს ოლიმპიური ჯილდო გადასცეს. ამ დღეებში ასეთივე ცერემონიალი ელის საქართველოს პრეზიდენტსაც

# განცხადება

მიმდინარე წლის 23 ივლისიდან 8 აგვისტოს ჩათვლით ქალაქ ოლიმპიაში (საბერძნეთი) ჩატარდება რიგით მე-40 საერთაშორისო ოლიმპიური სემინარი. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი იწვევს 20-35 წლამდე ახალგაზრდებს აღნიშნულ სემინარში მონაწილეობის მისაღებად. ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს: თავისუფლად ფლობდნენ ინგლისურ ენას, კარგად ერკვეოდნენ სპორტისა და ოლიმპიზმის საკითხებში, მოამზადონ რეფერატი ოლიმპიზმის თემაზე.

მსურველები დაგვიკავშირდით 1 აპრილამდე შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, აღმაშენებლის № 65;
ტელ: 95-20-79.

ოლიმპიური ჩანართი მოამზადა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეს-სამსახურმა

## ჩემპიონთა ლიგა. V ტური. C ჯგუფი



ბაიერნი — რუსენბორგი 2:1. მიუნხენელ სამუელ კუფურს (№4) ტრონჰეიმელმა იონ კარეუმ ჰაერში ბრძოლა გაუმართა

### ბაიერნი 2:1 რუსენბორგი

1:0 შოლი (11), 2:0 პაულო სერჟიო (39 პ), 2:1 კარეუ (64)
ბაიერნი: კანი, ბაბელი, პ. ანდერსონი, კუფური, ფინკი, შოლი (სალიჰამიჯიჩი 75), ტარნატი, იერემისი, პაულო სერჟიო (სანტა კრუზი 84), იანკერი (ელბერი 75), ციკლერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
რუსენბორგი: არასონი, ბასმა, ბრაგსტადი, ბერგდოლმო, სტრანდი (ვინსნესი 82), იონსენი, სკამელსრუდი, ო. ბერგი, სორენსენი, კარეუ, კნუტსენი (მინი-იაკობსენი 73)
მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი
გაფრთხილება: ტარნატი, შოლი, სკამელსრუდი
გაძევება: ბრაგსტადი (94)
მსაჯი: ა. ტრენტალანჯე (იტალია)
21 000 მაყურებელი

**მეოთხე** ტურის მიმოხილვაში ვწერდით, რომ „ბაიერნის" მეოთხედფინალს მიღმა დარჩენის თეორიული შანსი არსებობდა. დღეს კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლო ტურის შედეგებს მიუნხენელთათვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ისინი ჯგუფიდან გავიდნენ.

„რეალის" ორჯერ ბრწყინვალედ ძლევის შემდეგ ბავარიელთა თამაში ნაკლებ შთამბეჭდავი გახლდათ. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ოტმარ ჰიცფელდმა შტეფან ეფენბერგი და ბიქსენტ ლიზარაზუ დაასვენა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და მინდორზე დაბრუნდა იენს იერემისი.

შეხვედრა სტუმრებმა აქტიურად დაიწყეს და პირველი სახიფათო მომენტი იონ კარეუმ შექმნა. თუმცა მისი თავით დარტყმული ბურთი ოლივერ კანმა ხარიხას ზევით გადააგდო. მეორეჯერ კანმა იან დერეკ სორენსენის ახლო მანძილიდან დარტყმული აიღო.

მასპინძლები საკუთარი მეკარის საიმედოობაში რომ დარწმუნდნენ, თავადაც შეუტიეს. მე-8 წუთზე „ოლიმპიაშტადიონზე" წვიმიან ამინდში შეკრებილმა მიუნხენელმა ქომაგებმა ლამაზი კომბინაცია იხილეს — იერემისმა ბურთი მკერდით გაისწორა და ძლიერად დაარტყა, მაგრამ ამჯერად არნი არასონმა იყოჩაღა. სამიოდე წუთში კი ანგარიშიც გაიხსნა — მეჰმეტ შოლმა საჯარიმო დარტყმა ჩინებულად შეასრულა, ნორვეგიელთა ისლანდიელი მეკარე ამჯერად უძლური იყო. შემდეგ კი მატჩის არბიტრმა ალფრედო ტრენტალანჯემ „რუსენბორგის" კარში პენალტი დანიშნა — საჯარიმოში შეჭრილ პაულო სერჟიოს კრისტმერ ბასმამ გზა გადაუღობა და წააქცია. თერთმეტმეტრიანი თავად დაზარალებულმა შეასრულა.

ტრონჰეიმელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ დანებდნენ. 64-ე წუთზე მორტენ კნუტსენმა კარეუს ჩააწოდა. ეს უკანასკნელი საჯარიმოში შეიჭრა და ერთი გოლი გაქვითა. მატჩის მიწურულს ანგარიშის გაზრდა ალექსანდრ ციკლერს შეეძლო, მან ბურთი ძელს გაარტყა, ხოლო ბიორნ ოტო ბრაგსტადი მსაჯს ეუხეშა და წითელი ბარათით დაჯილდოვდა.

ასე რომ, „ბაიერნი" მომავალ მეტოქეს ელოდება. „რუსენბორგი" კი იმითღა ინუგეშებს თავს, რომ გაისად კვლავ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.

### რეალი 2:2 დინამო

1:0 რაული (13 პ), 1:1 ხაცკევიჩი (42), 1:2 იერო (56 ს.კ.), 2:2 რობერტო კარლოსი (71)
მე-14 წუთზე რებროვმა და 25-ზე რაულმა ვერ გაიტანეს პენალტები
რეალი: კასილიასი, მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი, კარანკა, იერო, რედონდო, გუტი, მაკმანამანი (მეკა 60), ჯერემი (ივან ელგერა 72), რაული, მორიენტესი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
დინამო: შოვკოვსკი, გერასიმენკო, გოლოვკო, მამედოვი, ნესმაჩნი, ხაცკევიჩი, ბელკევიჩი, გუსინი, შაცკიხი (კარდაში 46), რებროვი (კოსტიუკი 77), დემეტრაძე
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
გაფრთხილება: მიჩელ სალგადო, იერო
მსაჯი: ა. სარსი (საფრანგეთი)
65 000 მაყურებელი

**ოთხი** გოლი, ორიც გამოუყენებელი პენალტი და მაინც, ვერაფერი გაირკვა. არადა, გოლი იქით ან გოლი აქეთ და ბოლო ტურს ამ ჯგუფში აზრი დაეკარგებოდა.

გაეტანა რაულს მეორე პენალტი — 2:0-ის შემომტრიალებელი კაცი არ ჩანდა მოედანზე — მეოთხედფინალში „რეალი" გავიდოდა; შეეგდო დემეტრაძეს სამიოდ მეტრიდან, როცა ანგარიში 1:2 იყო, შემდეგ წრეში „დინამოს" გაიყვანდა; ევარგა ბოლო წუთზე შეცვლაზე შესულ ელგერას, მადრიდელები ტრონჰეიმს ოდენ ტურისტებადღა ეწვეოდნენ. ახლა კი ორივე გუნდს მშფოთვარე კვირა და გადამწყვეტი მატჩები ელის.

გიორგი დემეტრაძეს მატჩის უმირობა შეეძლო (თან სად, „სანტიაგო ბერნაბეუზე"!), მაგრამ ამჯერად ნაკლებით დაკმაყოფილდა — სალგადოს თავი წააქცევინა და თავისიანებს პენალტი მიართვა (ბარემ დაერტყაო, ენაზე გვადგას), მერე კუთხური გაახერხა და სწორედ ამ კუთხურიდან გაათანაბრა „დინამომ", ბოლოს კი ფერნანდო იეროს ფსიქოთერაპევტთან გატარებული ბოლო დღეები წყალში ჩაუყარა და თუ გოლის ავტორობას ვერ გამოჰკრა ხელი, ასისტენტობა (თანაც იეროსი) ხომ მიითვალა. გმირობამდე კი მხოლოდ ერთი, ზუსტი დარტყმა აშორებდა, მაგრამ სამიოდ მეტრიდან ბურთი კასილიასს გაარტყა. გაეტანა და ველარ იტყოდა კასილიასი მატჩის შემდეგ — ცუდი შედეგი კი იყო, მაგრამ ვფიქრობ, მეოთხედფინალში მაინც ჩვენ გავალთო. ამასვე ამბობს მადრიდელთა მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკეც: გასვლის შანსები, ცხადია, ორივე გუნდს გვაქვს, თუმცა „რეალი" მხოლოდ „რეალზეა" დამოკიდებული, „დინამო" კი თავის თავსა და „რეალზე". დონ ვისენტეს ნათქვამი რომ გადმოვთარგმნოთ, შემდეგს მივიღებთ: თუ „რეალმა" ბოლო ტურში „რუსენბორგს" მოუგო, შემდეგ წრეშიც გავა, ვინაიდან თანაბარი ქულების შემთხვევაში მადრიდელებს კიეველებთან უპირატესობა აქვთ.

ეს უპირატესობა სწორედ გუშინწინდელ შეხვედრაში გასულმა ბოლო, მეოთხე გოლმა მიანიჭა მასპინძლებს და თუ სამართალია, რობერტო კარლოსისა და მისი დარტყმული ბურთის უხეიროდ მომგერიებელ შოვკოვსკისთან ერთად კვლავ იერო და დემეტრაძეც უნდა ვახსენოთ — ქართველმა ესპანელი წააქცია, საჯარიმოდან კი ბრაზილიელმა უკრაინელს გაუტანა.

და კიდევ. ბოლო, გადამწყვეტ შეხვედრაში „რეალს" ვერ დაეხმარება იერო, ვინც გუშინწინ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო. ბოლო მატჩებიდან გამომდინარე, ვერავინ იტყვის — დანაკლისია ეს მადრიდელთათვის თუ პირიქით.

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | 4:1 | 2:1 | 2:1 | 13:6 | 13 |
| 2 | რეალი | 2:4 | | 2:2 | 3:1 | 10:12 | 7 |
| 3 | დინამო | 22.III | 1:2 | | 2:1 | 8:8 | 7 |
| 4 | რუსენბორგი | 1:1 | 22.III | 1:2 | | 5:10 | 1 |

## ჩემპიონთა ლიგა. V ტური. D ჯგუფი

### ლაციო 5:1 მარსელი

1:0, 2:0, 3:0 ინძაგი (17, 37, 38), 3:1 ლერუა (50), 4:1 ინძაგი (71), 5:1 ბოკშიჩი (82)
58-ე წუთზე სიმონე ინძაგიმ ვერ გაიტანა პენალტი
ლაციო: მარკეჯანი, მიხაილოვიჩი (ფერნანდო კოუტუ 51), ნესტა, პანკარო (გოტარდი 74), სერჟიო კონსეისაო, ნეგრო, სიმეონე, ნედვედი, ბოკშიჩი, ს. ინძაგი, დ. სტანკოვიჩი (სენსინი 68)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
მარსელი: პორატო, ლ. მარტინი (რ. მარტინი 46), ფიშერი (ბაკაიოკო 46), ლუქსენი, აბარდონადო, ბრანდო, პირესი, ჟ. ლერუა, დალმა, პუჟე (მოზესი 61), დე ლა პენია
მწვრთნელი: ბერნარ კაზონი
გაფრთხილება: სერჟიო კონსეისაო, პირესი, ლუქსენი, ბრანდო, ბაკაიოკო
მსაჯი: ა. ფრისკი (შვედეთი)
35 000 მაყურებელი

**რომის** „ლაციომ" თავისი სიძლიერე მარსელის „ოლიმპიკთან" მატჩში დაამტკიცა, სიმონე ინძაგის პოკერისა და ალენ ბოკშიჩის გოლის წყალობით 5:1 დაამარცხა მეტოქე და მეოთხედფინალში მოხვედრის რეალური შანსი შეინარჩუნა.

სვენ გორან ერიკსონმა ჩილელი ფორვარდი მარსელო სალასი დაასვენა და სასტარტოში სიმონე ინძაგი გაამწესა, რომელმაც ნდობა აშკარად გაამართლა და ოთხი ბურთის გატანა მოახერხა. „ოთხ გოლზე ლეგენდების შეთხზვა სულაც არ მსურს — ამბობს მატჩის გმირი — თუმც გამოგიტყდებით, ამან ნამდვილად გამახარა. გუნდის თავკაცსა და ყველა წევრს მადლობას ვუხდი. ჩვენ მოგება დავიმსახურეთ, მეოთხედფინალში მოხვედრაც საკმაოდ რეალურია".

ინძაგის ხუთი გოლის შეგდებაც შეეძლო, მაგრამ თერთმეტმეტრიანი გააფუჭა. ამის თაობაზე თავისი აზრი რომაელთა თავკაცმაც გამოთქვა. „სიმონემ პენალტთან ერთად რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. საწყენია, რადგან მას ექვსი გოლი რომ გაეტანა, ჩემპიონთა ლიგის რეკორდს დაამყარებდა — თუმც ერიკსონმა ინძაგი შეაქო კიდეც — მისი თამაში ნამდვილად მომეწონა, დამაკმაყოფილა გუნდის საერთო დონემაც. მოგება გვჭირდებოდა და ცოტათი გავრისკე, როდესაც შეტევითი ტაქტიკა ავირჩიე. ეს ოდნავ სახიფათოა, რადგან როცა გუნდი მხოლოდ გოლის გატანაზე ფიქრობს, სხვა ავიწყდება და შეიძლება დაისაჯოს კიდეც. თუმცა, საბედნიეროდ, გავიმარჯვეთ. ახლა ყველაფერს „ჩელსისთან" მატჩი გადაწყვეტს. მართალია, ლონდონელებმა მეოთხედფინალის საგზური გაინაღდეს, მაგრამ სამ ქულას „სტემფორდ ბრიჯზე", ალბათ, არავის დაუთმობენ, ბრძოლა მოგვიწევს".

მარსელელთა თავკაც ბერნარ კაზონის სიხარულის საბაბი ნამდვილად არ ჰქონდა, მან მარცხი გუნდის დაცვის გამოუცდელობით ახსნა: „ოლიმპიკის" დაცვის ხაზის საშუალო ასაკი 20 წელია, ბიჭებს გამოცდილება აშკარად აკლიათ. რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ, როტერდამელებთან გამარჯვებას შევეცდებით. მართალია, მომდევნო ეტაპზე მოხვედრის შანსი დავკარგეთ, მაგრამ „ფეიენოორდთან" თავს მაინც არ დავზოგავთ".

### ფეიენოორდი 1:3 ჩელსი

0:1 ძოლა (39), 1:1 კალუ (59), 1:2 უაიზი (64), 1:3 ფლო (69)
მე-8 წუთზე ლებეფმა ვერ გაიტანა პენალტი
ფეიენოორდი: დუდეკი, ვან გობელი, კონტერმანი, ვან ვონდერენი, რზასა, ბოსველტი, ვან გასტელი, პაუვე (კალუ 46), დე ვისერი (სამარჯიჩი 69), დალ ტომასონი, ხულიო კრუზი
მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი
ჩელსი: დე გუს, ლებეფი, დესაი, ბაბაიარო, პეტრესკუ, უაიზი, დეშამპი, დი მატეო, პოიეტი (მორისი 77), ძოლა (ამბროზეტი 90), ფლო
მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი
გაფრთხილება: ბოსველტი
მსაჯი: კ. ე. ფისკერი (დანია)
46 000 მაყურებელი

**მეორე** ჯგუფური ეტაპის მეხუთე ტურმა კიდევ ერთი ვადამდელი მეოთხედფინალისტი გამოავლინა. ჯანფრანკო ძოლას, დენის უაიზისა და ტორე ანდრე ფლოს გოლების წყალობით „ჩელსიმ" როტერდამში 3:1 დაამარცხა „ფეიენოორდი" და ევროპის რვა საუკეთესო გუნდს შორის ტურით ადრე დაიბევა ადგილი.

ლონდონურმა კლუბმა შთამბეჭდავად ითამაშა და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა. „მეტოქეზე ზეწოლა თავიდანვე დავგეგმე" — ამბობს „ჩელსის" თავკაცი ჯანლუკა ვიალი — „ფეიენოორდს" არ მივეცით საშუალება, შემტევი ფეხბურთი ეთამაშა. ნამდვილად გამიმართლა, ბიჭები აგრესიულად გამოიყურებოდნენ და პრობლემის გადაჭრას მხოლოდ გოლით ცდილობდნენ".

„ჩელსიმ" „ფეიენოორდი" როტერდამშიც და ლონდონშიც ერთნაირი ანგარიშით დაამარცხა — 3:1. გუნდი აშკარად ძლიერია, თუმცა ჩემპიონთა ლიგის მოგების შანსს ვიალი საკმაოდ სკეპტიკურად უყურებს. „გამოგიტყდებით, თასის მოგების შანსები არცთუ დიდია, მაგრამ თუ ეს შევძელით, ნამდვილად ღმერთის წყალობა იქნება" — ამბობს იტალიელი თავკაცი.



ფეიენოორდი — ჩელსი 1:3. ლონდონელი დენის უაიზი როტერდამელ კის ვან ვონდერენს შესცქერის

როტერდამელთა მწვრთნელი ლეო ბეენჰაკერი, რომელსაც მეოთხედფინალში მოხვედრის იმედი ჯერ კიდევ აქვს, „ჩელსის" თამაშით მოიხიბლა. „დაცვის ფრანგულმა დუეტმა — ფრანკ ლებეფმა და მარსელ დესაიმ — აშკარად გაიბრწყინა — თქვა გამოცდილმა მწვრთნელმა — უმაღლესი კლასის ფეხბურთელია დიდიე დეშამპიც. მათ ერთმანეთის თვალდახუჭულიც ესმით. მთელმა გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მათ ნამდვილად გვაჯობეს და მოგებაც დაიმსახურეს".

ბეენჰაკერს არც თავისი შეგირდები გაუკრიტიკებია. „ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს, მეორე ტაიმში ანგარიშიც კი გაათანაბრეს. იმ დროს ოდნავი იმედი ჩამესახა, მაგრამ ხუთ წუთში დენის უაიზის გოლმა თითქმის ყველაფერი გადაწყვიტა, მართალია, ამის შემდეგაც ვიბრძოლეთ, მაგრამ „ჩელსიმ" უმაღლესი დონის ფეხბურთი ითამაშა, ჩვენმა ნახევარდაცვამ კი ხულიო კრუზის საგოლე პასებით მომარაგება ვერ შეძლო. საუკეთესო მატჩი არც თავად არგენტინელ ფორვარდს ჩაუტარებია. ამ ყველაფერმა ჩვენი მარცხი განაპირობა. მომდევნო ეტაპზე მოსახვედრად მარსელში მოგება მოგვიწევს, თანაც ლონდონის შედეგს უნდა ველოდოთ. ერთობ რთული ამოცანაა".

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩელსი | | 22.III | 3:1 | 1:0 | 7:3 | 10 |
| 2 | ლაციო | 0:0 | | 1:2 | 5:1 | 8:3 | 8 |
| 3 | ფეიენოორდი | 1:3 | 0:0 | | 3:0 | 7:7 | 7 |
| 4 | მარსელი | 1:0 | 0:2 | 22.III | | 2:11 | 3 |

## უნგრეთი

**სამშაბათს** ფეხბურთის ასოციაციამ საფეხბურთო კლუბი „სეგედი“ ჩემპიონატიდან მოხსნა. მიზეზი დავალიანება გახლავთ. ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, „სეგედის“ შედეგები გაუქმდა და ჩემპიონატს 17 გუნდი ჩაამთავრებს.

„სეგედს“ ზამთრის არდადეგების შემდეგ ერთი მატჩიც არ გაუმართავს, მის მეტოქეებს 3:0 მოგება ეთვლებოდათ. სადისციპლინო კომიტეტმაც კლუბის მონაწილეობა მიზანშეუწონლად მიიჩნია.

უნგრეთის ჩემპიონატის განახლებული ცხრილი ასეთია:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 20 | 13 | 6 | 1 | 44:17 | 45 |
| მტკ | 20 | 11 | 7 | 2 | 38:16 | 40 |
| ვაშაში | 19 | 12 | 2 | 5 | 39:20 | 38 |
| დებრეცენი | 20 | 9 | 6 | 5 | 27:22 | 33 |
| ფერენცვაროში | 20 | 8 | 6 | 6 | 38:21 | 30 |
| უიპეშტი | 20 | 8 | 6 | 6 | 37:26 | 30 |
| დიორ ეტო | 19 | 7 | 6 | 6 | 31:20 | 27 |
| ზალაეგერსეგი | 20 | 6 | 9 | 5 | 22:14 | 27 |
| ტატაბანია | 20 | 6 | 9 | 5 | 19:26 | 27 |
| პეჩი | 19 | 6 | 8 | 5 | 22:28 | 26 |
| ჰონვედი | 20 | 6 | 6 | 8 | 20:27 | 24 |
| ნიირშეგი | 20 | 6 | 5 | 9 | 19:33 | 23 |
| დიოშდიორი | 20 | 5 | 5 | 10 | 19:35 | 20 |
| ნადიკანიჟა | 20 | 4 | 7 | 9 | 17:25 | 19 |
| შიოფოკი | 20 | 5 | 4 | 11 | 16:31 | 16 |
| ჰალადაში | 19 | 4 | 3 | 12 | 18:32 | 15 |
| ვაცი | 20 | 2 | 5 | 13 | 17:50 | 11 |

*„შიოფოკს“ დაკლებული აქვს 3 ქულა*

## ამხანაგური მატჩი

29 მარტი

**ავსტრია — შვედეთი**

შვედეთის ნაკრების მწვრთნელმა ტომი სოდერბერგმა დაასახელა ის 21 ფეხბურთელი, რომელნიც გრაცში ავსტრიელებს დაუპირისპირდებიან

*მეკარეები: მაგნუს ჰედმანი (ქოვენთრი, ინგლისი), მატიას ასპერი (აიკ);*

*მცველები: პატრიკ ანდერსონი (ბაიერნი, გერმანია), იოხიმ ბიორკლუნდი (ვალენსია, ესპანეთი), ტომას გუსტაფსონი (ქოვენთრი, ინგლისი), ტედი ლუჩიჩი, პონტუს კამარკი (ორივე აიკ), ოლოფ მელბერგი (რასინგი, ესპანეთი), როლანდ ნილსონი (ჰელსინგბორგი);*

*ნახევარმცველები: ანდრეას ანდერსონი (აიკ), ანდერს ანდერსონი (ოლბორგი, დანია), დანიელ ანდერსონი (ბარი, იტალია), მაგნუს არვიდსონი (ჰანზა, გერმანია), მატიას იონსონი, მაგნუს სვენსონი (ორივე ბრონდბიუ, დანია), ჯონ მიალბი (სელტიკი, შოტლანდია), სტეფან შვარცი (სანდერლენდი, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: იორგენ პეტერსონი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), იკსელ ოსმანოვსკი (ბარი, იტალია), ფრედერიკ ლიუნგბერგი (არსენალი, ინგლისი)*

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

## ს. ამერიკა

**ურუგვაი — ბოლივია**

ურუგვაის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა დანიელ პასარელამ დაასახელა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც მსოფლიოს 2002 წლის შესარჩევი ციკლის პირველი მატჩისთვის, 29 მარტს ბოლივიასთან მოემზადებიან.

*კლაუდიო ფლორესი (ლანუსი, არგენტინა), გონსალო დე ლოს სანტოსი (მალაგა, ესპანეთი), პაბლო გარსია (ატლეტიკო, ესპანეთი), ნიკოლას ოლივერა (სევილია, ესპანეთი), გუსტავო პოიეტი (ჩელსი, ინგლისი), დიეგო ალონსო (ხიმნასია ლა პლატა, არგენტინა), დარიო სილვა (მალაგა, ესპანეთი), მარსელო ზალაიეტა (სევილია, ესპანეთი), პაოლო მონტერო (იუვენტუსი, იტალია), გუსტავო მენდესი (ტორინო, იტალია), დიეგო ლოპესი, ფაბიან ონილი (ორივე კალიარი, იტალია), ალვარო რეკობა (ინტერი, იტალია)*

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

## ს. ამერიკა

**კოლუმბია — ბრაზილია**

**სამხრეთამერიკელები** 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მარტის მიწურულს ჩაებმებიან. იქამდე კი ცოტა დროა დარჩენილი. ნაკრების შემადგენლობა პირველმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ დაასახელა. ბრაზილია 28 მარტს ბოგოტაში, ზღვის დონიდან 2600 მეტრის სიმაღლეზე კოლუმბიის ნაკრებს ხვდება. ლუქსემბურგოს უთქვამს, გაიშვიათებული ჰაერის და ამგვარი რალაცეების არ მეშინია და აკლიმატიზაცია არ გვჭირდებაო. ბრაზილიელები ბოგოტაში მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ჩავლენ.

რაც შეეხება შემადგენლობას. მწვრთნელმა ერთბაშად „რომას“ სამი მოთამაშე მიიწვია — კაფუ, ალდაირი და ანტონიო კარლოსი, იგივე ძაგო. 34 წლის ალდაირი, ვისაც ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე უთამაშია, ერთხანს ნაკრებში გამოსვლაზე უარს ამბობდა და გასულ წელს „კოპა ამერიკას“ გათამაშება გამოტოვა. ახლა, როგორც ჩანს, ლუქსემბურგოს სიტყვებმა, ალდაირის ნაკრებში ყოფნა უდიდეს სარგებლობას მოგვიტანსო — გაჭრა და რომაელი მცველი დაბრუნდა.

სამაგიეროდ, მწვრთნელმა ვასკუეული გიემაჟი წყვილის — რომარიოს და ედმუნდოს კოლუმბიაში წაყვანისგან თავი შეიკავა, აქაოდა, რაღა დროს მაგათი ფეხბურთიაო. თუმცა ალდაირის თანატოლმა რომარიომ ახლახან დასრულებულ სან პაულუს ტურნირზე შვიდ შეხვედრაში თორმეტი გოლი შეაგდო.

დაბოლოს, ბრაზილიელები კოლუმბიაში ჩინებული განწყობით მიდიან. სიდნეის ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირზე მათმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა კოლუმბიელ თანატოლებს 9:0 მოუგეს. ამ ქვეყნების ეროვნულ ნაკრებთა ბოლო მატჩი კი 1997 წელს „კოპა ამერიკაზე“ შედგა და მაშინაც ბრაზილიამ 2:0 იმარჯვა.

*მეკარეები: მარკოსი (პალმეირასი), დიდა (კორინთიანსი);*

*მცველები: კაფუ, ალდაირი, ძაგო (ყველა რომა, იტალია), ევანილსონი (ბორუსია, დორტმუნდი, გერმანია), ატირსონი (ფლამენგო), რობერტო კარლოსი (რეალი, ესპანეთი), როკე ჟუნიორი (პალმეირასი);*

*ნახევარმცველები: ემერსონი, ზე რობერტო (ორივე ბაიერი, ლევერკუზენი, გერმანია), ვამპეტა (კორინთიანსი), ჟნინიო (ვასკუ და გამა), ალექსი (პალმეირასი), რივალდო (ბარსელონა, ესპანეთი);*

*თავდამსხმელები: ელბერი (ბაიერნი, გერმანია), ჟარდელი (პორტუ, პორტუგალია), რონალდო ასისი (გრემიო)*



რომაელი ალდაირი ნაკრებში ბრუნდება



# მაღაზიებში გატარებული დროის ამბავი

**შვედი ნახევარმცველი, ფრედერიკ ლიუნგბერგი ლონდონის „არსენალისა“ და ნაკრების პერსპექტივის და მოდურად ჩაცმის შესახებ გვესაუბრება.**

**— ფრედერიკ, რამდენად მნიშვნელოვანია „არსენალისთვის“ უეფას თასზე გამარჯვება?**

— ეს შეჯიბრება, როგორც ფეხბურთელებს, ასევე გულშემატკივრებს სეზონისადმი ინტერესს გვინარჩუნებს. სამწუხაროდ, პრემიერლიგასა და ინგლისურ თასებზე სერიოზულად დაგვიცდა ფეხი, არადა ჩვენი გუნდის მოთამაშეთა უმრავლესობა ყოველ სეზონში ახალ-ახალი ჯილდოების მოპოვებას გახლავთ დაჩვეული. ასე რომ, „არსენალი“ უეფას თასისთვის სერიოზულად იბრძოლებს.

**— უეფას თასამდე თქვენ ჩემპიონთა ლიგაში გამოდიოდით. იქ რა მოხდა?**

— ყოველ შემთხვევაში, „უემბლის“ განიერი მინდვრისთვის ყველაფრის გადაბრალება ადვილია. მე თუ მკითხავთ, მოედანი ორივე გუნდისთვის ერთი ზომისაა და ამიტომ იგებს ის, ვინც კონკრეტულ საღამოს მას უკეთ მოერგება. ვგონებ, ჩვენ მეტისმეტად უიღბლონი ვართ. „ფიორენტინასთან“ სტუმრად პენალტი ვერ გავიტანეთ, შინ კი თამაშის მიწურულს გაშვებულმა გოლმა დაგვამარცხა. ეს ორი შეხვედრა გადამწყვეტი მნიშვნელობისა გახლდათ და მათში ქულების დაკარგვა მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლად დაგვიჯდა.

**— როგორც ჩანს, თქვენ „არსენალისგან“ მეტს ელოდით.**

— გასულ სეზონში ჩვენ ჩემპიონთა თასის მფლობელ „მანჩესტერ იუნაიტედს“ პრემიერლიგაში მხოლოდ ერთი ქულით ჩამოვრჩით. ახლა „არსენალი“ კიდევ უფრო ძლიერია და ბუნებრივია, რომ ჩემპიონთა ლიგაში მეტს ველოდი. საერთოდაც, ძალიან გაოცებული გახლავართ ჩვენი თამაშის არათანაბრობითა და გაშვებულ გოლთა რაოდენობით. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს თავის გამართლებას ვცდილობდე, მაგრამ ამ სეზონში, ცალ ცალკე თუ ერთდროულად ტონი ადამსი, დენის ბერხკამპი, მარკ ოვერმარსი, ემანუელ პეტი და პატრიკ ვიეირა კარგა ხანს გვაკლდნენ და ამანაც ითამაშა თავისი უარყოფითი როლი. ასეთი რამ „მანჩესტერ იუნაიტედსაც“ რომ დამართოდა, ვერც ის გაართმევდა თავს.

**— გოლების გატანაც, თითქოს, პრობლემად გექცათ.**

— მე თუ მკითხავთ, გუნდში გოლის გატანაზე ყველა პასუხისმგებელია. ეს საქმე მარტო თავდამსხმელებს არ უნდა ევალებოდეთ და ამ მხრივ, ვგონებ, „არსენალი“ მოისუსტებს. ნახევარდაცვა მაინცდამაინც არ ეხმარება ფორვარდებს. პირადად მე კი ყოველთვის ვცდილობ მეტოქის დაცვაში შევარდნას და ნებისმიერი პოზიციიდან კარში დარტყმას.

**— თქვენ მარჯვენა ფრთაზე გათამაშებენ, მაგრამ არის კი ეს თქვენი საყვარელი პოზიცია?**

— აბსოლუტურად გულწრფელად გპასუხობთ — მარჯვენა ფრთაზე თამაში არ მიყვარს. მე მარკ ოვერმარსის ან რაიან გიგზის დარად მოწოდებით გარემარბი არ გახლავართ. მიჯობს შუაში ვიყო და უფრო თავდამსხმელებს ვეხმარებოდე. სწორედ ასე მათამაშებენ შვედეთის ნაკრებში, რაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს. მეორე მხრივ „არსენალში“ შუაში თამაში ძალიან ძნელია, რადგან იქ ვიეირა და პეტი არიან, ხოლო ასეთი დიდი ფეხბურთელების გვერდზე მხოლოდ მოედანზე ყოფნაც ბედნიერებაა.

**— „არსენალის“ ქომაგთა გულების მოგება ძალიან ძნელი იყო?**

— მათ თავიდანვე გამიცნეს, რადგან სადებიუტო შეხვედრა „ჰაიბერიზე“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ ჩავატარე და გოლიც შევაგდე. მაგრამ შემდეგ, გუნდის რეგულარული წევრი რომ გავხდი, ურთიერთობა უფრო გამიმყარდა. სხვათა შორის, ამ სეზონში „იუნაიტედს“ „ოლდ ტრეფორდზეც“ გავუტანე და თუ ასე განვაგრძობ, ეჭვი არაა, უფრო შემიყვარებენ.

**— გაჩეჩილ ვარცხნილობაზე ხშირად გეხუმრებიან?**

— თავიდან, წითელი თმით რომ მნახეს ტონი ადამსმა და კიდევ ერთიორმა გამკრეჭ კბილი, თუმცა ჩემს სამშობლოში ასეთი ვარცხნილობა ძალიან ჩვეულებრივი ამბავია. ამასთან, მე ყოველთვის მსურს სხვათაგან განსხვავდებოდე და ამიტომაც ლონდონში, ბონდ სტრიტზე, მაღაზიებში ტანსაცმელს დიდხანს ვარჩევ ხოლმე.

**— დევიდ ბექემის მოდურ სტილს, ალბათ, დიდ პატივს სცემთ.**

— დიდებულია ის, მოდაზე ამდენს რომ ფიქრობს. რატომაც არ უნდა ფიქრობდეს? რაც სურს, ის აცვია და მე თუ მკითხავთ, ჟურნალისტები უსამართლონი არიან მის ჩაცმულობას რომ აკრიტიკებენ. მე მისი გარდერობიდან ბევრ რამეს გადავიღებდი. თუმცა სარონგი (ქვედაკაბასავით შემოსაცმელი) არ მომწონს. ასეა თუ ისე, როდესაც ცნობილი კაცი ხარ, მზად უნდა იყო, რომ გაზეთები გაგჭორავენ.

**— დაბოლოს, ევრო 2000-ზე.**

— შვედეთის ნაკრებმა (საკვალიფიკაციო ეტაპის გავლით) პირველად მიიპოვა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის უფლება და ამიტომ შეჯიბრებას მოუთმენლად ველით. სულ მცირე მეოთხედფინალში მაინც უნდა გავიდეთ. ძლიერი გუნდი რომ გვყავს ინგლისთან თამაშშიც დავადასტურეთ. ახლა ჰენრიკ ლარსონიც გამოჯანმრთელდება და დიდი ენთუზიაზმით შევუდგებით საქმეს. ერთი კია, ძალიან ძლიერ ჯგუფში მოვხვდით, ბელგიასთან და იტალიასთან ერთად.

**ლუკ ნიკოლი,**
**თარგმნა პაპუნა ძიძიამ**

LEVON TRAVEL
ლევონ თრეველი გთავაზობთ ჩემპიონთა ლიგის ფინალზე დასწრებას
○ გაატარეთ 6 დაუვიწყარი დღე პარიზში, 20-26 მაისს.
○ ცხოვრება სამვარსკვლავიან სასტუმროში საუზმით, ექსკურსია პარიზსა და მის შემოგარენში.
○ ავია და მატჩზე დასასწრები ბილეთები, დახვედრა-გაცილება.
○ საგზურის ღირებულება 1190 აშშ. დოლარის ეკვივალენტი ლარებში. საბუთების შემოტანის ბოლო ვადაა 29 მარტი.
ადგილები შეზღუდულია
მის: ჭავჭავაძის გამ. 20, ტელ. 25 00 10/25 00 60, მობ. 8 99 53 78 45
CHAMPIONS LEAGUE

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**„კროკოს" მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე (კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში) $11^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე მუშაობს**

### ინგლისი. პირველი დივიზიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 35 | 24 | 5 | 6 | 65:32 | 77 | 13 | 2 | 3 | 29:12 | 11 | 3 | 3 | 36:20 |
| იფსვიჩი | 36 | 18 | 11 | 7 | 56:35 | 65 | 12 | 3 | 3 | 32:15 | 6 | 8 | 4 | 24:20 |
| სიტი | 35 | 19 | 7 | 9 | 55:32 | 64 | 12 | 1 | 4 | 36:15 | 7 | 6 | 5 | 19:17 |
| ბარნსლი | 35 | 18 | 8 | 9 | 68:52 | 62 | 12 | 3 | 3 | 40:19 | 6 | 5 | 6 | 28:33 |
| ბირმინგემი | 36 | 17 | 9 | 10 | 55:39 | 60 | 12 | 4 | 2 | 31:14 | 5 | 5 | 8 | 24:25 |
| ჰადერსფილდი | 36 | 16 | 9 | 11 | 53:39 | 57 | 12 | 4 | 2 | 38:15 | 4 | 5 | 9 | 15:24 |
| ვულვზი | 36 | 15 | 10 | 11 | 49:40 | 55 | 11 | 4 | 3 | 34:17 | 4 | 6 | 8 | 15:23 |
| ფულემი | 36 | 14 | 13 | 9 | 37:31 | 55 | 10 | 5 | 3 | 22:10 | 4 | 8 | 6 | 15:21 |
| ბოლტონი | 36 | 13 | 12 | 11 | 47:38 | 51 | 9 | 5 | 4 | 32:21 | 4 | 7 | 7 | 15:17 |
| ქუინზ პარკი | 36 | 12 | 15 | 9 | 46:40 | 51 | 7 | 10 | 1 | 23:15 | 5 | 5 | 8 | 23:25 |
| ბლექბერნი | 36 | 12 | 13 | 11 | 41:39 | 49 | 8 | 7 | 3 | 24:14 | 4 | 6 | 8 | 17:25 |
| შეფილდ იუნ. | 36 | 12 | 11 | 13 | 53:53 | 47 | 9 | 5 | 4 | 33:19 | 3 | 6 | 9 | 20:34 |
| გრიმსბი | 36 | 13 | 7 | 16 | 38:54 | 46 | 10 | 5 | 3 | 25:21 | 3 | 2 | 13 | 13:33 |
| ნორვიჩი | 36 | 11 | 12 | 13 | 35:39 | 45 | 9 | 4 | 5 | 22:18 | 2 | 8 | 8 | 13:21 |
| სტოკპორტი | 36 | 11 | 12 | 13 | 38:49 | 45 | 7 | 7 | 4 | 25:22 | 4 | 5 | 9 | 13:27 |
| ტრანმერი | 34 | 12 | 7 | 15 | 44:51 | 43 | 9 | 5 | 3 | 29:19 | 3 | 2 | 12 | 15:32 |
| კრ. პალასი | 36 | 10 | 12 | 14 | 46:54 | 42 | 6 | 9 | 3 | 27:18 | 4 | 3 | 11 | 19:36 |
| ქრიუ | 36 | 11 | 8 | 17 | 39:46 | 41 | 7 | 5 | 6 | 20:19 | 4 | 3 | 11 | 16:26 |
| ნოტინგემი | 36 | 10 | 10 | 16 | 40:47 | 40 | 8 | 7 | 3 | 25:15 | 2 | 3 | 13 | 15:32 |
| ვესტ ბრომი | 36 | 8 | 15 | 13 | 30:45 | 39 | 5 | 9 | 5 | 18:20 | 3 | 6 | 8 | 12:25 |
| პორტსმუთი | 35 | 9 | 9 | 17 | 38:51 | 36 | 6 | 5 | 6 | 24:18 | 3 | 4 | 11 | 14:33 |
| უოლსოლი | 36 | 8 | 11 | 17 | 38:57 | 35 | 5 | 5 | 8 | 18:24 | 3 | 6 | 9 | 20:33 |
| პორტველი | 34 | 6 | 11 | 17 | 37:50 | 29 | 5 | 4 | 8 | 19:21 | 1 | 7 | 9 | 18:29 |
| სუინდონი | 36 | 5 | 11 | 20 | 26:59 | 26 | 3 | 6 | 9 | 17:30 | 2 | 5 | 11 | 9:29 |

### ინგლისი. მეორე დივიზიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პრესტონი | 35 | 21 | 9 | 5 | 63:32 | 72 | 11 | 3 | 4 | 31:21 | 10 | 6 | 1 | 32:11 |
| როვერსი | 35 | 21 | 8 | 6 | 57:27 | 71 | 11 | 5 | 1 | 24:10 | 10 | 3 | 5 | 33:17 |
| მილუოლი | 36 | 19 | 9 | 8 | 56:37 | 66 | 11 | 5 | 2 | 31:15 | 8 | 4 | 6 | 25:22 |
| უიგანი | 34 | 16 | 15 | 3 | 57:29 | 63 | 11 | 3 | 3 | 31:12 | 5 | 12 | 0 | 26:17 |
| ბარნლი | 35 | 17 | 11 | 7 | 46:32 | 62 | 12 | 2 | 3 | 29:14 | 5 | 9 | 4 | 17:18 |
| ჯილინგემი | 33 | 17 | 8 | 8 | 56:37 | 59 | 10 | 3 | 4 | 32:18 | 7 | 5 | 4 | 24:19 |
| სტოკი | 35 | 16 | 10 | 9 | 49:34 | 58 | 8 | 6 | 3 | 26:16 | 8 | 4 | 6 | 23:18 |
| ნოტსი | 36 | 16 | 9 | 11 | 51:39 | 57 | 8 | 4 | 6 | 27:21 | 8 | 5 | 5 | 24:18 |
| ბრენტფორდი | 36 | 13 | 10 | 13 | 43:46 | 49 | 8 | 5 | 5 | 24:21 | 5 | 5 | 8 | 19:25 |
| ბრისტოლი | 36 | 10 | 16 | 10 | 41:43 | 46 | 5 | 12 | 1 | 22:12 | 5 | 4 | 9 | 19:31 |
| ლუთონი | 36 | 13 | 7 | 16 | 47:52 | 46 | 9 | 4 | 5 | 33:27 | 4 | 3 | 11 | 14:25 |
| უიკომბი | 35 | 11 | 12 | 12 | 43:41 | 45 | 8 | 4 | 5 | 25:19 | 3 | 8 | 7 | 18:22 |
| ბორნმუთი | 36 | 13 | 6 | 17 | 47:53 | 45 | 9 | 4 | 5 | 29:15 | 4 | 2 | 12 | 18:38 |
| კოლჩესტერი | 36 | 12 | 8 | 16 | 46:64 | 44 | 8 | 3 | 7 | 27:32 | 5 | 5 | 8 | 19:32 |
| ოლდემი | 34 | 11 | 9 | 14 | 38:42 | 42 | 6 | 3 | 7 | 20:20 | 5 | 6 | 7 | 18:22 |
| რედინგი | 35 | 10 | 12 | 13 | 43:53 | 42 | 7 | 8 | 3 | 21:14 | 3 | 4 | 10 | 24:39 |
| ბერი | 33 | 9 | 14 | 10 | 45:44 | 41 | 6 | 8 | 4 | 29:27 | 3 | 6 | 6 | 16:17 |
| რექსჰემი | 35 | 10 | 10 | 15 | 36:50 | 40 | 5 | 5 | 7 | 16:21 | 5 | 5 | 8 | 21:29 |
| სკანთორპი | 35 | 8 | 11 | 16 | 33:54 | 35 | 4 | 5 | 9 | 13:26 | 4 | 6 | 7 | 20:28 |
| კემბრიჯი | 35 | 8 | 10 | 17 | 45:50 | 34 | 5 | 5 | 7 | 26:26 | 3 | 5 | 10 | 19:24 |
| ოქსფორდი | 36 | 9 | 7 | 20 | 32:59 | 34 | 4 | 4 | 10 | 17:32 | 5 | 3 | 10 | 15:27 |
| ბლექპული | 36 | 7 | 11 | 18 | 39:62 | 32 | 3 | 7 | 8 | 21:31 | 4 | 4 | 10 | 18:31 |
| კარდიფი | 35 | 5 | 15 | 15 | 34:49 | 30 | 3 | 10 | 5 | 18:24 | 2 | 5 | 10 | 16:25 |
| ჩესტერფილდი | 34 | 5 | 11 | 18 | 22:43 | 26 | 4 | 6 | 7 | 12:14 | 1 | 5 | 11 | 10:29 |

### ინგლისი. მესამე დივიზიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| როტერჰემი | 36 | 21 | 7 | 8 | 60:26 | 70 | 12 | 2 | 4 | 37:12 | 9 | 5 | 4 | 23:14 |
| სუონსი | 35 | 21 | 7 | 7 | 41:22 | 70 | 13 | 3 | 2 | 26:9 | 8 | 4 | 5 | 15:13 |
| დარლინგტონი | 35 | 19 | 9 | 7 | 56:27 | 66 | 12 | 5 | 0 | 35:8 | 7 | 4 | 7 | 21:19 |
| პიტერბრო | 35 | 18 | 7 | 10 | 50:42 | 61 | 12 | 3 | 3 | 31:21 | 6 | 4 | 7 | 19:21 |
| ნორთჰემპტონი | 35 | 17 | 7 | 11 | 45:35 | 58 | 12 | 2 | 4 | 27:13 | 5 | 5 | 7 | 18:22 |
| ბარნეტი | 36 | 16 | 9 | 11 | 46:43 | 57 | 10 | 4 | 4 | 31:20 | 6 | 5 | 7 | 15:23 |
| ჰარტლპული | 36 | 17 | 7 | 12 | 47:39 | 55 | 12 | 1 | 5 | 24:14 | 4 | 6 | 8 | 22:26 |
| ტორკი | 35 | 14 | 11 | 10 | 47:37 | 53 | 9 | 6 | 3 | 26:12 | 5 | 5 | 7 | 21:25 |
| ჩელტენემი | 35 | 15 | 8 | 12 | 39:32 | 53 | 10 | 3 | 5 | 23:15 | 5 | 5 | 7 | 16:17 |
| პლიმუთი | 36 | 12 | 16 | 8 | 43:38 | 52 | 9 | 9 | 0 | 33:15 | 3 | 7 | 8 | 10:23 |
| ლინკოლნი | 36 | 13 | 12 | 11 | 61:53 | 51 | 10 | 4 | 4 | 34:17 | 3 | 8 | 7 | 27:36 |
| როჩდეილი | 34 | 14 | 9 | 11 | 38:34 | 51 | 6 | 5 | 5 | 12:12 | 8 | 4 | 6 | 26:22 |
| მენსფილდი | 36 | 15 | 6 | 15 | 45:47 | 51 | 9 | 4 | 5 | 31:21 | 6 | 2 | 10 | 14:26 |
| მაკლსფილდი | 36 | 14 | 8 | 14 | 49:46 | 50 | 7 | 5 | 6 | 25:23 | 7 | 3 | 8 | 24:23 |
| ბრაიტონი | 35 | 12 | 11 | 13 | 50:40 | 47 | 8 | 4 | 6 | 30:21 | 4 | 7 | 7 | 20:19 |
| ალიფაქსი | 36 | 13 | 8 | 15 | 35:43 | 47 | 6 | 5 | 7 | 19:18 | 7 | 3 | 8 | 16:25 |
| საუთენდი | 36 | 12 | 8 | 16 | 45:52 | 44 | 8 | 4 | 6 | 30:27 | 4 | 4 | 10 | 15:25 |
| ჰალი | 36 | 10 | 13 | 13 | 33:35 | 43 | 6 | 7 | 5 | 23:16 | 4 | 6 | 8 | 10:19 |
| ლეიტონი | 36 | 11 | 8 | 17 | 35:44 | 41 | 6 | 5 | 7 | 18:19 | 5 | 3 | 10 | 19:25 |
| ექსეტერი | 36 | 9 | 9 | 18 | 37:58 | 36 | 6 | 5 | 7 | 21:26 | 3 | 4 | 11 | 16:32 |
| იორკი | 36 | 7 | 12 | 17 | 31:50 | 33 | 4 | 8 | 6 | 15:20 | 3 | 4 | 11 | 16:30 |
| შრიუსბერი | 35 | 7 | 10 | 18 | 25:46 | 31 | 4 | 6 | 8 | 14:17 | 3 | 4 | 10 | 11:29 |
| ჩესტერი | 36 | 6 | 7 | 23 | 31:70 | 25 | 3 | 4 | 11 | 12:33 | 3 | 3 | 12 | 19:37 |
| კარლაისლი | 33 | 5 | 9 | 19 | 30:60 | 24 | 4 | 5 | 6 | 16:18 | 1 | 4 | 13 | 14:42 |

### საბერძნეთი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 23 | 21 | 0 | 2 | 65:14 | 63 | 12 | 0 | 0 | 42:6 | 9 | 0 | 2 | 23:8 |
| პანათინაიკოსი | 23 | 19 | 3 | 1 | 59:15 | 60 | 10 | 1 | 0 | 33:3 | 9 | 2 | 1 | 26:12 |
| ოფი | 23 | 14 | 6 | 3 | 39:26 | 48 | 8 | 2 | 2 | 24:17 | 6 | 4 | 1 | 15:9 |
| არისი | 23 | 11 | 5 | 7 | 33:25 | 38 | 7 | 3 | 1 | 22:8 | 4 | 2 | 6 | 11:17 |
| აეკ | 23 | 11 | 4 | 8 | 38:30 | 37 | 7 | 0 | 4 | 18:10 | 4 | 4 | 4 | 20:20 |
| ირაკლისი | 23 | 11 | 3 | 9 | 40:38 | 36 | 9 | 0 | 3 | 27:15 | 2 | 3 | 6 | 13:23 |
| პაოკ | 23 | 9 | 8 | 6 | 40:28 | 35 | 7 | 2 | 2 | 27:11 | 2 | 6 | 4 | 13:17 |
| პანიონიოსი | 23 | 11 | 1 | 11 | 37:42 | 34 | 6 | 1 | 4 | 20:14 | 5 | 0 | 7 | 17:28 |
| ქსანტი | 23 | 8 | 8 | 7 | 24:28 | 32 | 7 | 4 | 1 | 17:8 | 1 | 4 | 6 | 7:20 |
| იონიკოსი | 23 | 7 | 10 | 6 | 29:26 | 31 | 5 | 5 | 2 | 18:9 | 2 | 5 | 4 | 11:17 |
| პანილიაკოსი | 23 | 8 | 4 | 11 | 28:30 | 28 | 6 | 1 | 5 | 19:16 | 2 | 3 | 6 | 9:14 |
| ეთნიკოსი | 23 | 7 | 3 | 13 | 19:34 | 24 | 6 | 1 | 4 | 15:11 | 1 | 2 | 9 | 4:23 |
| კავალა | 23 | 6 | 4 | 13 | 22:41 | 22 | 5 | 3 | 3 | 16:17 | 1 | 1 | 10 | 6:24 |
| კალამატა | 23 | 5 | 7 | 11 | 22:41 | 22 | 3 | 7 | 2 | 11:10 | 2 | 0 | 9 | 11:31 |
| პანაჰაიკი | 23 | 4 | 8 | 11 | 23:34 | 20 | 4 | 2 | 6 | 16:14 | 0 | 6 | 5 | 7:20 |
| პრუდეფტიკი | 23 | 3 | 7 | 13 | 16:35 | 16 | 2 | 6 | 4 | 9:15 | 1 | 1 | 9 | 7:20 |
| ტრიკალა | 23 | 4 | 4 | 15 | 20:47 | 16 | 2 | 4 | 5 | 11:16 | 2 | 0 | 10 | 9:31 |
| აპოლონი | 23 | 3 | 5 | 15 | 16:36 | 14 | 2 | 3 | 6 | 8:17 | 1 | 2 | 9 | 8:19 |

### იტალია. სერია B

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 26 | 14 | 6 | 6 | 47:27 | 48 | 10 | 2 | 1 | 30:10 | 4 | 4 | 5 | 17:17 |
| სამპდორია | 26 | 12 | 10 | 4 | 29:19 | 46 | 6 | 6 | 0 | 15:7 | 6 | 4 | 4 | 14:12 |
| ბრეშა | 26 | 12 | 9 | 5 | 33:20 | 45 | 7 | 4 | 3 | 20:8 | 5 | 5 | 2 | 12:11 |
| ატალანტა | 26 | 12 | 6 | 8 | 35:26 | 42 | 9 | 2 | 2 | 24:12 | 3 | 4 | 6 | 11:14 |
| ნაპოლი | 26 | 11 | 9 | 6 | 35:29 | 42 | 7 | 5 | 0 | 20:9 | 4 | 4 | 6 | 15:20 |
| სალერნიტანა | 26 | 10 | 8 | 8 | 37:35 | 38 | 9 | 4 | 0 | 26:9 | 1 | 4 | 8 | 11:26 |
| ტრევიზო | 26 | 10 | 6 | 10 | 35:32 | 36 | 10 | 2 | 1 | 29:12 | 0 | 4 | 9 | 6:20 |
| ჩეზენა | 26 | 7 | 13 | 6 | 34:30 | 34 | 6 | 8 | 0 | 22:10 | 1 | 5 | 6 | 12:20 |
| კიევო | 26 | 9 | 7 | 10 | 30:32 | 34 | 6 | 6 | 2 | 18:12 | 3 | 1 | 8 | 12:20 |
| ჯენოა | 26 | 9 | 6 | 11 | 32:30 | 33 | 8 | 4 | 2 | 25:12 | 1 | 2 | 9 | 7:18 |
| რავენა | 26 | 8 | 9 | 9 | 25:25 | 33 | 6 | 4 | 2 | 13:5 | 2 | 5 | 7 | 12:20 |
| კოზენცა | 26 | 7 | 12 | 7 | 22:23 | 33 | 6 | 4 | 3 | 13:9 | 1 | 8 | 4 | 9:14 |
| პესკარა | 26 | 6 | 14 | 6 | 36:30 | 32 | 4 | 4 | 4 | 20:15 | 2 | 10 | 2 | 16:15 |
| ალძანო | 26 | 8 | 8 | 10 | 24:32 | 32 | 7 | 2 | 4 | 16:16 | 1 | 6 | 6 | 8:16 |
| ემპოლი | 26 | 8 | 7 | 11 | 23:37 | 31 | 8 | 3 | 2 | 16:13 | 0 | 4 | 9 | 7:24 |
| ტერნანა | 26 | 6 | 12 | 8 | 26:33 | 30 | 3 | 7 | 2 | 14:14 | 3 | 5 | 6 | 12:19 |
| მონცა | 26 | 4 | 15 | 7 | 24:29 | 27 | 3 | 10 | 0 | 11:8 | 1 | 5 | 7 | 13:21 |
| პისტოიეზე | 26 | 8 | 7 | 11 | 23:28 | 27 | 7 | 3 | 3 | 14:9 | 1 | 4 | 8 | 9:19 |
| სავოია | 26 | 5 | 8 | 13 | 22:38 | 23 | 5 | 6 | 3 | 16:13 | 0 | 2 | 10 | 6:25 |
| ფერმანა | 26 | 4 | 8 | 14 | 24:41 | 20 | 4 | 4 | 5 | 13:16 | 0 | 4 | 9 | 10:24 |

### იტალია. სერია C1/a

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 26 | 14 | 9 | 3 | 34:14 | 51 | 10 | 2 | 2 | 23:7 | 4 | 7 | 1 | 11:7 |
| ვარეზე | 26 | 10 | 12 | 4 | 32:21 | 42 | 7 | 5 | 2 | 20:11 | 3 | 7 | 2 | 12:10 |
| ლუკეზე | 26 | 10 | 10 | 6 | 31:26 | 40 | 8 | 4 | 2 | 18:10 | 2 | 6 | 4 | 13:116 |
| პიზა | 26 | 10 | 9 | 7 | 26:21 | 39 | 5 | 4 | 4 | 15:14 | 5 | 5 | 3 | 11:7 |
| ალბინოლეფე | 26 | 9 | 11 | 6 | 25:23 | 38 | 6 | 4 | 2 | 16:10 | 3 | 7 | 4 | 9:13 |
| სპალ | 26 | 9 | 9 | 8 | 26:24 | 36 | 5 | 5 | 3 | 11:7 | 4 | 4 | 5 | 15:17 |
| ლივორნო | 26 | 7 | 13 | 6 | 29:27 | 34 | 4 | 6 | 3 | 16:13 | 3 | 7 | 3 | 13:14 |
| კარარეზე | 26 | 8 | 10 | 8 | 25:26 | 34 | 4 | 7 | 1 | 15:10 | 4 | 3 | 7 | 10:16 |
| რეჯანა | 26 | 8 | 8 | 10 | 25:26 | 32 | 6 | 3 | 4 | 15:13 | 2 | 5 | 6 | 10:13 |
| ჩიტადელა | 26 | 7 | 12 | 7 | 21:22 | 32 | 5 | 5 | 3 | 12:9 | 2 | 7 | 4 | 9:13 |
| მოდენა | 26 | 7 | 11 | 8 | 20:25 | 32 | 3 | 7 | 3 | 9:11 | 4 | 4 | 5 | 11:14 |
| ბრეშელო | 25 | 7 | 10 | 8 | 23:26 | 31 | 4 | 6 | 3 | 13:12 | 3 | 4 | 5 | 10:14 |
| კომო | 26 | 5 | 15 | 6 | 17:19 | 30 | 1 | 10 | 2 | 5:9 | 4 | 5 | 4 | 12:10 |
| ლუმეცანე | 26 | 5 | 12 | 9 | 21:26 | 27 | 3 | 5 | 5 | 11:12 | 2 | 7 | 4 | 10:14 |
| ლეკო | 26 | 5 | 12 | 9 | 21:29 | 27 | 2 | 8 | 3 | 8:9 | 3 | 4 | 6 | 13:20 |
| კრემონეზე | 25 | 3 | 15 | 7 | 20:25 | 24 | 1 | 9 | 2 | 11:12 | 2 | 6 | 5 | 9:13 |
| სანდონა | 26 | 3 | 15 | 8 | 20:27 | 24 | 2 | 7 | 4 | 12:14 | 1 | 8 | 4 | 8:13 |
| მონტევარკი | 26 | 4 | 11 | 11 | 19:28 | 23 | 3 | 5 | 4 | 10:12 | 1 | 6 | 7 | 9:16 |

### იტალია. სერია C1/b

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კროტონე | 26 | 16 | 9 | 1 | 49:16 | 57 | 10 | 3 | 0 | 30:6 | 7 | 5 | 1 | 19:9 |
| ანკონა | 25 | 14 | 7 | 4 | 37:16 | 49 | 8 | 4 | 0 | 24:8 | 6 | 3 | 4 | 13:8 |
| ასკოლი | 26 | 10 | 13 | 3 | 38:19 | 43 | 4 | 6 | 2 | 20:9 | 6 | 7 | 1 | 18:10 |
| არეცო | 26 | 11 | 9 | 6 | 39:30 | 42 | 7 | 5 | 1 | 25:14 | 5 | 3 | 5 | 14:15 |
| ვიტერბეზე | 25 | 11 | 8 | 6 | 36:30 | 41 | 6 | 6 | 1 | 22:12 | 5 | 2 | 5 | 14:18 |
| პალერმო | 26 | 10 | 10 | 6 | 22:19 | 40 | 6 | 5 | 2 | 14:7 | 4 | 5 | 4 | 8:12 |
| კატანია | 26 | 9 | 12 | 5 | 29:19 | 39 | 6 | 5 | 1 | 16:6 | 3 | 6 | 5 | 12:13 |
| სტაბია | 26 | 8 | 12 | 6 | 32:25 | 36 | 7 | 4 | 3 | 22:12 | 1 | 8 | 3 | 10:13 |
| ნოჩერინა | 26 | 7 | 13 | 6 | 22:18 | 34 | 6 | 6 | 1 | 15:6 | 1 | 7 | 5 | 7:12 |
| აველინო | 26 | 8 | 6 | 12 | 24:29 | 30 | 7 | 2 | 4 | 17:10 | 1 | 3 | 9 | 6:19 |
| ბენევენტო | 26 | 6 | 11 | 9 | 19:27 | 29 | 5 | 4 | 3 | 12:9 | 1 | 7 | 6 | 7:18 |
| დი სანგრო | 26 | 7 | 8 | 11 | 23:32 | 29 | 5 | 3 | 6 | 14:16 | 2 | 5 | 5 | 9:16 |
| გუალდო | 26 | 6 | 10 | 10 | 24:32 | 28 | 5 | 7 | 2 | 15:11 | 1 | 3 | 8 | 9:21 |
| ლოდიჯანი | 26 | 6 | 10 | 10 | 27:37 | 28 | 5 | 4 | 4 | 16:15 | 1 | 6 | 6 | 11:22 |
| ჯულიანოვა | 26 | 7 | 7 | 12 | 26:39 | 28 | 5 | 3 | 4 | 13:11 | 2 | 4 | 8 | 13:28 |
| ატლეტიკო | 26 | 4 | 9 | 13 | 19:34 | 21 | 3 | 5 | 6 | 12:18 | 1 | 4 | 7 | 7:16 |
| ფ. ანდრია | 26 | 3 | 11 | 12 | 17:31 | 20 | 2 | 8 | 3 | 8:10 | 1 | 3 | 9 | 9:21 |
| მარსალა | 26 | 5 | 5 | 16 | 19:49 | 20 | 2 | 3 | 8 | 8:17 | 3 | 2 | 8 | 11:32 |

### გერმანია. მეორე ბუნდესლიგა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 22 | 14 | 5 | 3 | 46:18 | 47 | 9 | 2 | 0 | 34:7 | 5 | 3 | 3 | 12:11 |
| ბოხუმი | 22 | 12 | 3 | 7 | 36:30 | 39 | 8 | 0 | 4 | 26:18 | 4 | 3 | 3 | 10:12 |
| კოტბუსი | 22 | 11 | 2 | 9 | 42:28 | 35 | 8 | 0 | 2 | 26:10 | 3 | 2 | 7 | 16:18 |
| გლადბახი | 22 | 9 | 7 | 6 | 34:26 | 34 | 7 | 2 | 3 | 23:11 | 2 | 5 | 3 | 11:15 |
| ბერლინი | 22 | 8 | 10 | 4 | 30:23 | 34 | 6 | 4 | 2 | 17:11 | 2 | 6 | 2 | 13:12 |
| ნიურნბერგი | 22 | 9 | 6 | 7 | 33:36 | 33 | 8 | 3 | 0 | 23:11 | 1 | 3 | 7 | 10:25 |
| ალემანია | 22 | 8 | 8 | 6 | 32:36 | 32 | 4 | 4 | 2 | 17:11 | 4 | 4 | 4 | 15:25 |
| მაინცი | 22 | 7 | 9 | 6 | 28:25 | 30 | 5 | 5 | 1 | 14:5 | 2 | 4 | 5 | 14:20 |
| ვალდჰოფი | 22 | 7 | 9 | 6 | 31:30 | 30 | 6 | 4 | 1 | 21:13 | 1 | 5 | 5 | 10:17 |
| ქემნიცი | 22 | 7 | 7 | 8 | 29:31 | 28 | 5 | 4 | 1 | 21:11 | 2 | 3 | 7 | 8:20 |
| ფიურტი | 22 | 6 | 10 | 6 | 21:23 | 28 | 2 | 8 | 1 | 5:3 | 4 | 2 | 5 | 16:20 |
| ობერჰაუზენი | 22 | 6 | 9 | 7 | 20:23 | 27 | 4 | 5 | 2 | 14:13 | 2 | 4 | 5 | 6:10 |
| ჰანოვერი | 22 | 6 | 7 | 9 | 31:32 | 25 | 3 | 4 | 3 | 17:15 | 3 | 3 | 6 | 14:17 |
| ზტ. პაული | 22 | 5 | 9 | 8 | 23:29 | 24 | 3 | 6 | 2 | 11:10 | 2 | 3 | 6 | 12:19 |
| ოფენბახი | 22 | 5 | 9 | 8 | 22:32 | 24 | 5 | 3 | 4 | 16:16 | 0 | 6 | 4 | 6:16 |
| ფორტუნა | 22 | 4 | 9 | 9 | 20:32 | 21 | 4 | 5 | 2 | 13:12 | 0 | 4 | 7 | 7:20 |
| კიკერსი | 22 | 5 | 6 | 11 | 32:45 | 21 | 5 | 3 | 4 | 20:21 | 0 | 3 | 7 | 12:24 |
| კარლსრუე | 22 | 2 | 9 | 11 | 24:35 | 15 | 1 | 5 | 4 | 8:10 | 1 | 4 | 7 | 16:25 |

### ჩეხეთი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 20 | 16 | 4 | 0 | 35:9 | 52 | 9 | 1 | 0 | 22:4 | 7 | 3 | 0 | 13:5 |
| სპარტა | 20 | 14 | 4 | 2 | 51:18 | 46 | 8 | 2 | 0 | 32:6 | 6 | 2 | 2 | 19:12 |
| დრნოვიცე | 20 | 11 | 3 | 6 | 28:19 | 36 | 7 | 1 | 2 | 14:3 | 4 | 2 | 4 | 14:16 |
| ბოჰემიანსი | 20 | 7 | 8 | 5 | 18:17 | 29 | 5 | 2 | 3 | 10:6 | 2 | 6 | 2 | 8:11 |
| ტეპლიცე | 20 | 7 | 6 | 7 | 28:29 | 27 | 6 | 3 | 1 | 18:9 | 1 | 3 | 6 | 10:20 |
| ბუდეიოვიცე | 20 | 8 | 3 | 9 | 25:28 | 27 | 7 | 1 | 2 | 17:5 | 1 | 2 | 7 | 8:23 |
| ბლშანი | 20 | 7 | 4 | 9 | 21:33 | 25 | 6 | 1 | 3 | 12:11 | 1 | 3 | 6 | 9:22 |
| ბანიკი | 20 | 6 | 6 | 8 | 28:30 | 24 | 4 | 4 | 2 | 19:14 | 2 | 2 | 6 | 9:16 |
| დუკლა | 20 | 6 | 6 | 8 | 21:27 | 24 | 5 | 3 | 2 | 16:11 | 1 | 3 | 6 | 5:16 |
| ბრნო | 20 | 6 | 5 | 9 | 21:23 | 23 | 5 | 3 | 2 | 16:9 | 1 | 2 | 7 | 5:14 |
| სიგმა | 20 | 4 | 11 | 5 | 24:27 | 23 | 2 | 6 | 2 | 14:12 | 2 | 5 | 3 | 10:15 |
| ლიბერეცი | 20 | 5 | 8 | 7 | 13:16 | 23 | 3 | 4 | 3 | 5:5 | 2 | 4 | 4 | 8:11 |
| ოპავა | 20 | 5 | 6 | 9 | 24:26 | 21 | 5 | 4 | 1 | 18:9 | 0 | 2 | 8 | 6:17 |
| ვიქტორია | 20 | 5 | 6 | 9 | 28:36 | 21 | 5 | 4 | 1 | 21:15 | 0 | 2 | 8 | 7:21 |
| იაბლონეცი | 20 | 4 | 5 | 11 | 15:31 | 17 | 4 | 3 | 3 | 13:10 | 0 | 2 | 8 | 2:21 |
| ჰ. კრალოვე | 20 | 3 | 7 | 10 | 17:28 | 16 | 2 | 4 | 4 | 9:12 | 1 | 3 | 6 | 8:16 |

### ესპანეთი. მეორე დივიზიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 30 | 14 | 8 | 8 | 43:32 | 50 | 8 | 3 | 3 | 23:11 | 6 | 5 | 5 | 20:21 |
| ლას პალმასი | 30 | 13 | 9 | 8 | 41:30 | 48 | 6 | 5 | 3 | 20:12 | 7 | 4 | 5 | 21:18 |
| ლევანტე | 30 | 12 | 11 | 7 | 42:37 | 47 | 9 | 6 | 1 | 27:11 | 3 | 5 | 6 | 15:26 |
| ესტრემადურა | 30 | 13 | 8 | 9 | 35:31 | 47 | 11 | 4 | 0 | 26:6 | 2 | 4 | 9 | 9:25 |
| ტენერიფე | 30 | 13 | 7 | 10 | 41:35 | 46 | 9 | 5 | 2 | 29:14 | 4 | 2 | 8 | 12:21 |
| ოსასუნა | 30 | 14 | 4 | 12 | 31:27 | 46 | 8 | 2 | 5 | 18:10 | 6 | 2 | 7 | 13:17 |
| კორდობა | 30 | 12 | 9 | 9 | 37:31 | 45 | 9 | 1 | 5 | 23:18 | 3 | 8 | 4 | 14:13 |
| სპორტინგი | 30 | 13 | 6 | 11 | 39:35 | 45 | 8 | 3 | 5 | 23:16 | 5 | 3 | 6 | 16:19 |
| ვილიარეალი | 30 | 12 | 8 | 10 | 41:34 | 44 | 8 | 3 | 4 | 22:16 | 4 | 5 | 6 | 19:18 |
| ლეიდა | 30 | 12 | 7 | 11 | 48:39 | 43 | 7 | 4 | 3 | 26:13 | 5 | 3 | 8 | 22:26 |
| ბადახოსი | 30 | 8 | 17 | 5 | 26:23 | 41 | 4 | 8 | 3 | 15:14 | 4 | 9 | 2 | 11:9 |
| ეიბარი | 30 | 10 | 10 | 10 | 37:40 | 40 | 7 | 4 | 4 | 21:16 | 3 | 6 | 6 | 16:24 |
| ლეგანესი | 30 | 11 | 9 | 10 | 34:36 | 39 | 7 | 5 | 3 | 17:8 | 4 | 4 | 7 | 17:28 |
| მერიდა | 30 | 9 | 11 | 10 | 28:31 | 38 | 5 | 6 | 4 | 17:13 | 4 | 5 | 6 | 11:18 |
| ალბასეტე | 30 | 9 | 11 | 10 | 35:41 | 38 | 4 | 6 | 4 | 16:16 | 5 | 5 | 6 | 19:25 |
| ატლეტიკო B | 30 | 10 | 7 | 13 | 34:41 | 37 | 5 | 3 | 7 | 21:22 | 5 | 4 | 6 | 13:19 |
| ხეტაფე | 30 | 10 | 6 | 14 | 29:36 | 36 | 6 | 3 | 6 | 17:17 | 4 | 3 | 8 | 12:19 |
| კომპოსტელა | 30 | 8 | 11 | 11 | 35:39 | 35 | 5 | 5 | 5 | 19:16 | 3 | 6 | 6 | 16:23 |
| ელჩე | 30 | 7 | 13 | 10 | 32:39 | 34 | 4 | 8 | 3 | 18:19 | 3 | 5 | 7 | 14:20 |
| ლოგრონიესი | 30 | 8 | 8 | 14 | 39:44 | 32 | 5 | 5 | 4 | 22:20 | 3 | 3 | 10 | 17:24 |
| უელვა | 30 | 8 | 7 | 15 | 31:42 | 31 | 4 | 5 | 7 | 20:22 | 4 | 2 | 8 | 11:20 |
| ტოლედო | 30 | 7 | 7 | 16 | 24:39 | 28 | 6 | 3 | 7 | 16:16 | 1 | 4 | 9 | 8:23 |

### პორტუგალია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 25 | 17 | 6 | 2 | 49:14 | 57 | 12 | 1 | 0 | 31:5 | 5 | 5 | 2 | 18:9 |
| სპორტინგი | 25 | 16 | 7 | 2 | 42:19 | 55 | 10 | 3 | 0 | 27:9 | 6 | 4 | 2 | 15:10 |
| ბენფიკა | 25 | 15 | 6 | 4 | 39:20 | 51 | 10 | 2 | 0 | 25:6 | 5 | 4 | 4 | 14:14 |
| გიმარაეში | 25 | 13 | 4 | 8 | 38:26 | 43 | 11 | 1 | 1 | 25:8 | 2 | 3 | 7 | 13:18 |
| ჟილ ვისენტე | 25 | 10 | 7 | 8 | 33:27 | 37 | 7 | 3 | 2 | 23:9 | 3 | 4 | 6 | 10:18 |
| მარიტიმუ | 25 | 9 | 9 | 7 | 28:25 | 36 | 5 | 6 | 1 | 14:6 | 4 | 3 | 6 | 14:19 |
| ბოავიშტა | 25 | 10 | 6 | 9 | 24:22 | 36 | 6 | 2 | 4 | 13:10 | 4 | 4 | 5 | 11:12 |
| ამადორა | 25 | 7 | 12 | 6 | 27:24 | 33 | 4 | 5 | 3 | 14:10 | 3 | 7 | 3 | 13:14 |
| ალვერკა | 25 | 8 | 7 | 10 | 27:34 | 31 | 7 | 4 | 2 | 21:13 | 1 | 3 | 8 | 6:21 |
| ბელენენსეში | 25 | 6 | 12 | 7 | 27:28 | 30 | 4 | 7 | 2 | 16:14 | 2 | 5 | 5 | 11:14 |
| რიუ ავე | 25 | 7 | 7 | 11 | 28:35 | 28 | 6 | 4 | 3 | 20:16 | 1 | 3 | 8 | 8:19 |
| კამპომაიორ. | 25 | 7 | 7 | 11 | 23:33 | 28 | 6 | 4 | 3 | 13:10 | 1 | 3 | 8 | 10:23 |
| ბრაგა | 25 | 8 | 3 | 14 | 29:35 | 27 | 5 | 1 | 7 | 16:15 | 3 | 2 | 7 | 13:20 |
| ლეირია | 25 | 6 | 8 | 11 | 23:28 | 26 | 4 | 5 | 4 | 13:10 | 2 | 3 | 7 | 10:18 |
| სალგეირუში | 25 | 7 | 5 | 13 | 20:32 | 26 | 3 | 4 | 5 | 8:13 | 4 | 1 | 8 | 12:19 |
| სანტა კლარა | 25 | 5 | 9 | 11 | 24:33 | 24 | 3 | 6 | 3 | 12:14 | 2 | 3 | 8 | 12:19 |
| ფარენსე | 25 | 5 | 9 | 11 | 22:47 | 24 | 4 | 5 | 3 | 14:16 | 1 | 4 | 8 | 8:31 |
| სეტუბალი | 25 | 4 | 6 | 15 | 17:38 | 18 | 4 | 2 | 6 | 14:17 | 0 | 4 | 9 | 3:21 |

### ბელგია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 26 | 19 | 6 | 1 | 71:25 | 63 | 10 | 3 | 1 | 40:15 | 9 | 3 | 0 | 31:10 |
| სტანდარდი | 26 | 17 | 2 | 7 | 60:37 | 53 | 10 | 1 | 2 | 30:11 | 7 | 1 | 5 | 30:26 |
| გენტი | 26 | 16 | 1 | 9 | 63:45 | 49 | 7 | 1 | 5 | 32:25 | 9 | 0 | 4 | 31:20 |
| ბრიუგე | 26 | 14 | 4 | 8 | 54:27 | 46 | 9 | 0 | 4 | 36:12 | 5 | 4 | 4 | 18:15 |
| მუსკრონი | 26 | 14 | 4 | 8 | 56:38 | 46 | 9 | 2 | 2 | 31:14 | 5 | 2 | 6 | 25:24 |
| ლიერსი | 26 | 13 | 5 | 8 | 54:34 | 44 | 10 | 1 | 1 | 35:8 | 3 | 4 | 7 | 19:26 |
| გენკი | 26 | 12 | 6 | 8 | 52:44 | 42 | 7 | 4 | 3 | 28:16 | 5 | 2 | 5 | 24:28 |
| ბეერსხოტი | 26 | 12 | 6 | 8 | 43:37 | 42 | 9 | 2 | 1 | 29:14 | 3 | 4 | 7 | 14:23 |
| ვესტერლო | 26 | 11 | 6 | 9 | 48:57 | 39 | 9 | 3 | 1 | 34:22 | 2 | 3 | 8 | 14:35 |
| ლოკერენი | 26 | 9 | 7 | 10 | 44:50 | 34 | 7 | 2 | 4 | 30:23 | 2 | 5 | 6 | 14:27 |
| მეხელენი | 26 | 10 | 4 | 12 | 40:56 | 34 | 7 | 4 | 3 | 25:22 | 3 | 0 | 9 | 15:34 |
| აალსტი | 26 | 10 | 2 | 14 | 46:55 | 32 | 6 | 0 | 7 | 23:24 | 4 | 2 | 7 | 23:31 |
| ჰარელბეკე | 26 | 8 | 4 | 14 | 43:52 | 28 | 6 | 3 | 5 | 30:26 | 2 | 1 | 9 | 13:26 |
| ბევერენი | 26 | 7 | 6 | 13 | 38:50 | 27 | 3 | 4 | 5 | 15:18 | 4 | 2 | 8 | 23:32 |
| სტ. ტრუიდენი | 26 | 6 | 4 | 16 | 29:56 | 22 | 5 | 3 | 5 | 16:23 | 1 | 1 | 11 | 13:33 |
| შარლერუა | 26 | 5 | 6 | 15 | 31:53 | 21 | 3 | 1 | 9 | 16:29 | 2 | 5 | 6 | 15:24 |
| გეელი | 26 | 3 | 9 | 14 | 21:48 | 18 | 2 | 5 | 6 | 13:21 | 1 | 4 | 8 | 8:27 |
| ლომელი | 26 | 2 | 10 | 14 | 25:54 | 16 | 1 | 7 | 4 | 13:19 | 1 | 3 | 10 | 12:35 |

### ჰოლანდია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 25 | 19 | 2 | 4 | 75:21 | 59 | 9 | 1 | 2 | 39:10 | 10 | 1 | 2 | 36:11 |
| ფეიენოორდი | 25 | 14 | 7 | 4 | 49:29 | 49 | 9 | 2 | 1 | 21:5 | 5 | 5 | 3 | 28:24 |
| ტვენტე | 25 | 13 | 10 | 2 | 41:21 | 49 | 10 | 3 | 0 | 28:11 | 3 | 7 | 2 | 13:10 |
| ჰერენვენი | 25 | 15 | 3 | 7 | 47:29 | 48 | 7 | 2 | 3 | 24:14 | 8 | 1 | 4 | 23:15 |
| აიაქსი | 23 | 14 | 5 | 4 | 56:32 | 47 | 8 | 1 | 3 | 31:17 | 6 | 4 | 1 | 25:15 |
| ალკმარი | 26 | 14 | 4 | 8 | 56:41 | 46 | 5 | 3 | 5 | 21:13 | 9 | 1 | 3 | 35:28 |
| ვიტესი | 25 | 12 | 8 | 5 | 48:36 | 44 | 10 | 1 | 2 | 32:19 | 2 | 7 | 3 | 16:17 |
| როდა | 25 | 12 | 4 | 9 | 43:35 | 40 | 8 | 0 | 5 | 29:19 | 4 | 4 | 4 | 14:16 |
| ტილბურგი | 25 | 11 | 5 | 9 | 41:46 | 38 | 7 | 4 | 2 | 27:22 | 4 | 1 | 7 | 14:24 |
| უტრეხტი | 25 | 10 | 3 | 12 | 41:46 | 33 | 7 | 3 | 2 | 24:16 | 3 | 0 | 10 | 17:30 |
| ვალვაიკი | 25 | 10 | 3 | 12 | 34:50 | 33 | 5 | 3 | 4 | 17:24 | 5 | 0 | 8 | 17:26 |
| სპარტა | 25 | 9 | 3 | 13 | 36:51 | 30 | 7 | 1 | 5 | 24:21 | 2 | 2 | 8 | 12:30 |
| გრააფსხაპი | 25 | 6 | 8 | 11 | 32:38 | 26 | 3 | 5 | 4 | 17:18 | 3 | 3 | 7 | 15:20 |
| სიტარდი | 24 | 5 | 7 | 12 | 31:39 | 22 | 3 | 5 | 4 | 21:20 | 2 | 2 | 8 | 10:19 |
| ნაიმეგენი | 25 | 5 | 4 | 16 | 29:48 | 19 | 5 | 0 | 8 | 14:19 | 0 | 4 | 8 | 15:29 |
| მაასტრიხტი | 25 | 4 | 6 | 15 | 31:54 | 18 | 3 | 4 | 6 | 19:26 | 1 | 2 | 9 | 12:28 |
| კამბური | 25 | 2 | 6 | 17 | 20:52 | 12 | 2 | 4 | 6 | 11:19 | 0 | 2 | 11 | 9:33 |
| დენ ბოსხი | 25 | 2 | 6 | 17 | 22:64 | 12 | 2 | 5 | 5 | 14:26 | 0 | 1 | 12 | 8:38 |

### საფრანგეთი. მეორე დივიზიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 29 | 21 | 4 | 4 | 43:18 | 67 | 13 | 0 | 1 | 22:5 | 8 | 4 | 3 | 21:13 |
| გენგამი | 29 | 14 | 9 | 6 | 51:35 | 51 | 8 | 4 | 3 | 31:18 | 6 | 5 | 3 | 20:17 |
| ტულუზი | 29 | 14 | 6 | 9 | 41:24 | 48 | 8 | 2 | 5 | 25:12 | 6 | 4 | 4 | 16:12 |
| აიაჩო | 29 | 13 | 5 | 11 | 29:29 | 44 | 9 | 1 | 5 | 15:10 | 4 | 4 | 6 | 14:19 |
| ლავალი | 29 | 11 | 10 | 8 | 32:28 | 43 | 8 | 3 | 4 | 19:14 | 3 | 7 | 4 | 13:14 |
| ლე მანი | 29 | 10 | 12 | 7 | 35:32 | 42 | 6 | 8 | 0 | 20:10 | 4 | 4 | 7 | 15:22 |
| სოშო | 29 | 12 | 6 | 11 | 35:34 | 42 | 7 | 1 | 6 | 18:17 | 5 | 5 | 5 | 17:17 |
| კაენი | 28 | 9 | 13 | 6 | 35:24 | 40 | 5 | 6 | 3 | 22:15 | 4 | 7 | 3 | 13:9 |
| ლორიანი | 29 | 11 | 7 | 11 | 28:28 | 40 | 5 | 7 | 2 | 19:8 | 6 | 0 | 9 | 9:20 |
| ნიმი | 29 | 10 | 9 | 10 | 36:32 | 39 | 6 | 6 | 3 | 23:17 | 4 | 3 | 7 | 13:15 |
| გენიონი | 28 | 7 | 15 | 6 | 31:26 | 36 | 3 | 8 | 2 | 16:12 | 4 | 7 | 4 | 15:14 |
| კანი | 29 | 8 | 11 | 10 | 22:26 | 35 | 6 | 4 | 4 | 10:10 | 2 | 7 | 6 | 12:16 |
| ამიენი | 29 | 7 | 13 | 9 | 28:30 | 34 | 4 | 7 | 3 | 15:12 | 3 | 6 | 6 | 13:18 |
| შატორუ | 29 | 8 | 10 | 11 | 29:34 | 34 | 5 | 4 | 5 | 14:14 | 3 | 5 | 6 | 12:17 |
| ნიცა | 29 | 6 | 16 | 7 | 20:26 | 34 | 4 | 10 | 1 | 12:6 | 2 | 6 | 6 | 8:20 |
| კრეტეი | 29 | 8 | 9 | 12 | 26:36 | 33 | 6 | 7 | 3 | 21:19 | 2 | 3 | 9 | 8:20 |
| ნიორი | 29 | 6 | 13 | 10 | 26:34 | 31 | 6 | 5 | 3 | 16:15 | 0 | 8 | 7 | 10:19 |
| ვასკეალი | 29 | 6 | 11 | 12 | 23:34 | 29 | 4 | 6 | 5 | 14:17 | 2 | 5 | 7 | 9:17 |
| ლუანი | 29 | 5 | 8 | 16 | 22:46 | 23 | 4 | 5 | 6 | 14:16 | 1 | 3 | 10 | 8:30 |
| ვალანსი | 29 | 3 | 13 | 13 | 24:40 | 22 | 3 | 6 | 5 | 11:12 | 0 | 7 | 8 | 13:28 |

### ავსტრია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 24 | 14 | 5 | 5 | 36:21 | 47 | 8 | 2 | 1 | 19:4 | 6 | 3 | 4 | 17:17 |
| რაპიდი | 24 | 14 | 4 | 6 | 39:19 | 46 | 9 | 2 | 1 | 24:6 | 5 | 2 | 5 | 15:13 |
| შტურმი | 24 | 12 | 7 | 5 | 45:20 | 43 | 8 | 2 | 2 | 31:10 | 4 | 5 | 3 | 14:10 |
| რიდი | 24 | 10 | 6 | 8 | 36:25 | 36 | 7 | 2 | 3 | 24:9 | 3 | 4 | 5 | 12:16 |
| აუსტრია | 24 | 10 | 6 | 8 | 31:28 | 36 | 7 | 1 | 4 | 21:17 | 3 | 5 | 4 | 10:11 |
| გრაცერი | 24 | 10 | 4 | 10 | 30:33 | 34 | 6 | 3 | 3 | 16:8 | 4 | 1 | 7 | 14:25 |
| ზალცბურგი | 24 | 8 | 8 | 8 | 24:24 | 32 | 6 | 4 | 3 | 16:11 | 2 | 4 | 5 | 8:13 |
| ლინცერი | 24 | 6 | 5 | 13 | 25:36 | 23 | 4 | 3 | 5 | 16:14 | 2 | 2 | 8 | 9:22 |
| ლუსტენაუ | 24 | 4 | 6 | 14 | 17:41 | 18 | 3 | 4 | 5 | 11:14 | 1 | 2 | 9 | 6:27 |
| ბრეგენცი | 24 | 4 | 5 | 15 | 16:52 | 17 | 2 | 5 | 5 | 10:18 | 2 | 0 | 10 | 6:34 |

**საქართველოს ჩემპიონატი 21 ტური**

## საუკეთესო მოთამაშე

**ალეკო დავითულიანი**
**«ბასკო»**



*გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი ბათუმის „ბასკო", რომელსაც ჯერ-ჯერობით ქულა არ დაუკარგავს, საკუთარ კედლებში, სდასუ-სთან შეხვედრამდე, შესვენებაზე ყოველთვის თავაწეული მიდიოდა. თურქეთმოვლილ ზღვისპირელებს თბილისელმა სტუდენტებმა სიურპრიზი შესთავაზეს — პირველი ტაიმის შემდეგ ორი ქულით (29:27) უგებდნენ. მეორე ნახევარში კი ნამდვილი „ბასკო" იხილეს გულშემატკივრებმა. მასპინძელთაგან განსაკუთრებით გამოირჩა ალეკო დავითულიანი, რომელსაც წინა დღეს 26 წელი შეუსრულდა. აღსანიშნავია, რომ 26 ქულით დავითულიანი შედეგიანობითაც საუკეთესო იყო მოედანზე.*

**— ალეკო, პირველ რიგში, გილოცავთ დაბადების დღეს.**

— დიდი მადლობა.

**— პირველი ნახევრის წაგებით დავიწყოთ. თქვენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი, თურქეთში ჩატარებული ამხანაგური მატჩების გამო გუნდი ხომ არ გადაიღალა?**

— გადაღლილები რომ ვყოფილიყავით, ეს „ბასკოს" მეორე ტაიმში უნდა დასტყობოდა. ჩვენ კი ამ დროს გაცილებით უკეთ გამოვიყურებოდით.

**— მაშინ რა იყო წარუმატებლობის მიზეზი, რატომ აღმოჩნდა „ბასკო" მდევრის როლში?**

— „ბასკოს" და საერთოდ, ქართული კალათბურთის კოზირი სწრაფი შეტევაა. სდასუ კი სულ სხვა კალათბურთს გვეთამაშა. მეტოქე მაქსიმალურად იყენებდა შეტევისთვის განკუთვნილ დროს და ცდილობდა, სათამაშო ტემპი დაეგდო.

**— შორიდან სროლები და პასები რომ არ გამოგდიოდათ, ამის შესახებ რას გვეტყვით?**

— სდასუ პერსონალურად გვეთამაშებოდა და დროებითი ჩავარდნაც ამან განაპირობა.

**— რას ფიქრობთ, რატომ ვერ შეძლო სდასუ-მ მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება?**

— მეტოქეს თავისივე იარაღი, პრესინგი დავუპირისპირეთ. აქ კი ფიზიკურმა მომზადებამ იჩინა თავი და მეტოქეს დაღლა დაეტყო. აღნიშნულის გამო მატჩის ბოლო წუთებში სულ უფრო გაადვილდა სდასუ-ს ფარქვეშ შესვლა და ბურთის კალათში მოთავსება.

**— თქვენ 12 მარტს 26 წელი შეგისრულდათ და სდასუ-სთან შეხვედრაში ამდენივე ქულა გააკეთეთ. ეს უბრალო დამთხვევაა თუ...**

— მაგაზე არც მიფიქრია. ისე, ურიგო დამთხვევა ნამდვილად არ არის.

**— ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე შეძელით 26 ქულის მოგროვება, თუ მეგობრებიც გეხმარებოდნენ?**

— რა თქმა უნდა, თანაგუნდელების დახმარებით. კალათბურთი ხომ გუნდური სახეობაა და რამდენად ძლიერიც არ უნდა იყო, პარტნიორების გარეშე ფონს ვერ გახვალ.

**— ამჯერად თქვენს გაბომბარდირებაში რომელმა თანაგუნდელმა შეიტანა ყველაზე მეტი წვლილი?**

— ვლადიმერ ბეჟანიშვილმა.

**— ჩვენი საუბრის დასაწყისში თქვენ შეეხეთ სწრაფ შეტევებზე აგებულ ქართულ კალათბურთს, მაგრამ არაფერი გითქვამთ მისთვის აქილევსის ქუსლად ქცეულ დაცვაზე, რომელსაც ჩვენი კალათბურთელები ყოველთვის ყურადღების მიღმა ტოვებდნენ. რა მდგომარეობაა ამ მხრივ „ბასკოში"?**

— სხვა გუნდების არ ვიცი, მაგრამ როცა „ვითაში" ვთამაშობდი, ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობოდა დაცვას. „ბასკოშიც", რომელსაც „ვითას" ყოფილი მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე ავარჯიშებს, ძირითადი აქცენტი დაცვაზეა გადატანილი.

**— ხომ არ უჭირს გუნდს დაცვაზე მუშაობა?**

— ექსვითელთაგან „ბასკოში" ჩემთან ერთად იმყოფებიან მამუკა აბრამიძე, ვლადიმერ ბეჟანიშვილი და ირაკლი ბაქრაძე. არც სხვა კალათბურთელებს ეთქმის უცხო და ადვილად ვუგებთ ერთმანეთს.

**— „ბასკოს" გადაწყვეტილი ჰქონდა ახალგაზრდა ქართველი ცენტრის, გივი მარგველაშვილის ჩამოყვანა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლობს...**

— მარგველაშვილი ერთი თვეა, რაც ბათუმში იმყოფება და გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

**— რატომ არ მონაწილეობს ჩემპიონატში, „ბასკოს" ხომ ძირითადად გამოკვეთილი ცენტრის გარეშე უწევს თამაში?**

— არ ვიცი, ეგ გუნდის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია და ჩემს კომპეტენციაში არ შედის.

**— მაშინ თქვენს შესახებ გვესაუბრეთ და ის კურიოზი გაიხსენეთ, როდესაც მოტეხილი ხელებით ორი შეხვედრა ჩაატარეთ.**

— ეგ გასულ წელს „ვითაში" ყოფნის დროს იყო. ერთ-ერთი თამაშის დროს ცუდად დავეცი და რამდენიმე წუთის შემდეგ ორივე ხელის მაჯაში ტკივილი ვიგრძენი. ის შეხვედრაც ჩავამთავრე და კიდევ ორ მატჩში მივიღე მონაწილეობა. როდესაც ტკივილებმა არ გამიარა, გადავწყვიტე, ექიმთან მივსულიყავი. მოტეხილობა დამიდგინეს. საავადმყოფოში საკუთარი მანქანით მისულს ორივე ხელის მტევანი თაბაშირში ჩამისვეს და შინ ყოფილი თანაგუნდელის, რეზო ჭირაქაძის მამამ მიმიყვანა. დაახლოებით ორ თვეს აღარ მივკარებივარ ბურთს და მხოლოდ პლეი ოფის დაწყების წინ დავიწყე ვარჯიში.

**— ამჟერადაც რომ შეხვეული მაჯებით თამაშობთ, ტრავმა ისევ ხომ არ გაწუხებთ?**

— მყესების ქრონიკული ანთება დამრჩა და ტკივილებიც დამიტოვა, ღრუბლიან ამინდში მოტეხილობაც შემახსენებს ხოლმე თავს.

**— ექიმებისთვის აღარ მიგიმართავთ?**

— როგორ არა. მითხრეს, მკურნალობა გესაჭიროება და მინიმუმ ერთი თვე ბურთს არ უნდა გაეკარო. საამცალია დასასვენებლად, ჩემპიონობისთვის ვიბრძვით.

**— გაჩემპიონებაში „ბასკოს" ხელს რა უშლის?**

— ერთი წელიც არ გასულა, რაც გუნდი შეიქმნა და შეიძლება შეუთამაშებლობის გამო დავიჩაგროთ. სხვა პრობლემას ვერ ვხედავ.

**— თქვენი აზრით, რომელი გუნდები ითამაშებენ ფინალში?**

— პლეი ოფში გასულთაგან ყველას თანაბარი შანსი ექნება, ფინალში ითამაშოს. გამოკვეთილი ლიდერი კი არ ჩანს.

**როლანდ ლაგურიძე**

# კალენდარი ხელსაყრელია
## ნაკრებს თოფაში მოამზადებს

*ორი თვეც და საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები დანიაში გაემგზავრა ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე სათამაშოდ. ტურნირს ქალაქი ვეილე უმასპინძლებს, ასპარეზობა 17 მაისს დაიწყება და 21-მდე გასტანს.*

*ამას წინათ ჩვენებურთა მეტოქეებზეც გაცნობეთ და იმაზეც, თუ რა განრიგით ითამაშებს ნაკრები დანიაში. ახლა უბრალოდ შეგახსენებთ, რომ ქართველები თავდაპირველად ლუქსემბურგის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდებიან, მეორე დღეს რუმინეთს შეხვდებიან, მომდევნო თამაშს მასპინძელ დანიასთან გამართავენ, შემდეგ კვიპროსთან და სულ ბოლოს — ირლანდიასთან.*

*მაშ ასე, კალენდარი გვაქვს. საქმე ისაა, რამდენად ხელსაყრელია ეს გრაფიკი ჩვენი გუნდისთვის. ასეთ დროს ხომ წვრილმანს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მით უფრო, თუ არც უცილობელი ფავორიტი ხარ და არც უიმედო აუტსაიდერი.*

*გუშინ ბათუმში ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ* ***ზურაბ ტომარაძეს*** *დავუკავშირდით და თავდაპირველად, კალენდარზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ:*

— ვერ ვიტყვი, რომ ცუდი კალენდარია, შეიძლებოდა, გაცილებით უარესი ყოფილიყო. განსაკუთრებით ის მომწონს, რომ პირველ შეხვედრას ლუქსემბურგთან ვმართავთ. მართალია, ამ გუნდზე ძალიან მწირ ინფორმაციას ვფლობთ, მაგრამ მათი ნაკრები ყველაზე სუსტ გუნდად არის მიჩნეული და გამარჯვება არ უნდა გაგვიჭირდეს. წარმატებული სტარტი ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც ძალიან წაგვადგება, თანაც ლუქსემბურგთან პაექრობას გუნდის შესათამაშებლად გამოვიყენებთ. ამის შემდეგ რთული შეხვედრები გველის რუმინეთთან და დანიასთან. ეს მატჩები შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობისა აღმოჩნდეს. კარგია, რომ ირლანდიას ბოლოს ვეთამაშებით. ამ დროისათვის უკვე ბევრი რამ იქნება გარკვეული. თანაბარქულიანობის შანსიც ასე უფრო ნაკლებია. შეიძლება ითქვას, კმაყოფილი ვარ კალენდრით.

**— როგორ ფიქრობთ, ვის უფრო მეტი შანსი აქვს წარმატების?**

— მოგეხსენებათ, შემდგომ ეტაპზე ორი გუნდი გადის. ვფიქრობ, ერთ-ერთი დანიის ნაკრები იქნება. ჯერ ერთი, მართლაც კარგი გუნდი ჰყავთ, მერე კიდევ საკუთარ კედლებში ითამაშებენ რაც მათ წისქვილზე ასხამს წყალს. უნდა ვეცადოთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, მეორეზე მაინც გავიდეთ. ძირითად კონკურენტებად ირლანდია და რუმინეთი მიმაჩნია. სათვალავში ჩასაგდებია კვიპროსიც. მათთან იოლ გასეირნებას ნამდვილად არ ველით, მიუხედავად იმისა, რომ როგორც მაცნობეს, კვიპროსელებს არცთუ ძლიერი ნაკრები ჰყავთ.

**— მეტოქეებზე თუ გაქვთ რაიმე წარმოდგენა?**

— ყველაზე ცუდად ლუქსემბურგს ვიცნობთ, თუმც მათთან მაინც არ უნდა გაგვიჭირდეს. რუმინელებზეც საერთოდ არა გვაქვს წარმოდგენა, ერთი ეგ ვიცით, რომ უნგრულ კლუბში ჰყავთ ლეგიონერი, რომელიც ძალიან კარგად ისვრის. დანიელებზე ის ვიცით, რომ ტანმაღალი გუნდია და მათი კალათბურთელები ევროპის ძლიერ კლუბებში თამაშობენ. იტალიურ „სიენაში" გამოდის დანიელთა ერთ-ერთი ლიდერი — ლარსენი, ანდერსენი კი, რომლის სიმაღლეც 213 სანტიმეტრია, საბერძნეთის „აეკ-ში" თამაშობს. ირლანდიელებზე იმის თქმა შეიძლება, რომ ნაკრების თითქმის ყველა კალათბურთელი ამერიკის სტუდენტურ ლიგაში ასპარეზობს. საქმე ისაა, იმ დროისათვის თუ მოახერხებენ დანიაში ჩამოსვლას. გარდა ამისა, სისტემატიურად ვადევნებთ თვალს ადგილობრივ ჩემპიონატებს და ნაკრების კანდიდატთა ტექნიკურ შედეგებს ვეცნობით. ახლახან ვიდეომასალასაც დაგვპირდნენ, სადაც ჩვენი მეტოქეთა თამაში იქნება აღბეჭდილი. თავად კალათბურთელებისგანაც ბევრი რამ შევიტყვეთ, ჩვენი ნაკრები ხომ გასულ წელს შვეიცარიაში დანიასაც ეთამაშა და ირლანდიასაც.

**— ნაკრები როდიდან შეუდგება წვრთნას?**

— ექსეულის თამაშის შემდეგ ჩემპიონატში შესვენება ცხადდება და გვინდა, რომ ეს დრო ნაკრების მომზადებისთვის გამოვიყენოთ. მანამდეც შევძლო, მაგრამ დათბობას ველოდებით, რადგან გაყინულ დარბაზში ვარჯიში ვეჭვობ, დადებითად წაადგეს ეროვნულ გუნდს. გადავწყვიტეთ, რომ ნაკრების კანდიდატები კვირაში ორჯერ თბილისში შევკრიბოთ. თავიდან მათ დიდად არ დავტვირთავთ, თეორიული მეცადინეობები ჩაუტარდებათ. პირველი მაისიდან კი სრულფასოვან შეკრებას გავივლით ბათუმში, სადაც გუნდი საბოლოოდ დაკომპლექტდება.



ზურაბ ტომარაძე

**— ბათუმში ლეგიონერებიც შემოგიერთდებიან?**

— ამის დიდი სურვილი გვაქვს. კონკრეტულ ნაბიჯებსაც ვდგამთ. ვაპირებთ, უახლოეს მომავალში თურქეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ თურგაი დემირელს მივმართოთ თხოვნით, რომ ზაზა ფაჩულია მაქსიმალურად ადრე გამოუშვან „ულქერიდან". ვმუშაობთ დანარჩენ ლეგიონერთა დროულად ჩამოსაყვანადაც.

**— მხოლოდ ვარჯიშით შემოიფარგლებით, თუ საწვრთნელი შეხვედრების გამართვასაც გეგმავთ?**

— დანიაში გამგზავრებამდე გვსურს, სულ ცოტა, ოთხი საკონტროლო მატჩი ვითამაშოთ. ამ წინადადებით თურქულ „თოფაშს" მივმართეთ და ისინიც სიამოვნებით დაგვთანხმდნენ ბათუმში ჩამოსვლაზე. ეგ არის, ამერიკელებს, დევიდ რივერსსა და რაშარდ გრიფიტს ვერ იახლებენ. ჩვენთან თამაშის სურვილი გამოთქვა მოსკოვის „სპარტაკმაც". არის კიდევ რამდენიმე წინადადება იგივე თურქეთიდან. დავფიქრდებით, ყოველივეს კარგად ავწონდავწონით და უკეთეს ვარიანტს შევარჩევთ.

**გიორგი გიგაშვილი**

**რეგულარული ჩემპიონატი**

# ელიოტი დაბრუნდა!

14 მარტი

**კლივლენდი 97:98 ფილადელფია**
(ძირითადი დრო 89:89)
კლივლენდი: მიურეი (16)
ფილადელფია: აივერსონი (28), მაკი (20)

**ტორონტო 85:78 გოლდენ სტეიტი**
ტორონტო: კარტერი (23), მაკგრეიდი (20)
გოლდენ სტეიტი: პიუზი (25 ქულა, 10 მოხსნა)

**მაიამი 108:104 მილუოკი**
მაიამი: მაშბურნი (28), მურნინგი (22 ქულა, 17 მოხსნა)
მილუოკი: ალენი (26), კასელი (22), რობინსონი (20)

**ორლანდო 107:98 ვაშინგტონი**
ორლანდო: მერსერი (18)
ვაშინგტონი: მიურეი (26)

**ნიუ იორკი 91:85 ჰიუსტონი**
ნიუ იორკი: სპრიუელი (27)
ჰიუსტონი: ფრენსისი (32)

**დალასი 111:90 ინდიანა**
დალასი: ნოვიცკი (28), ნეში (21)
ინდიანა: ბესტი (26), როუზი (18 ქულა, 13 მოხსნა)

**სან ანტონიო 94:78 ატლანტა**
სან ანტონიო: რობინსონი (26), ჯონსონი (22 ქულა, 10 პასი), დანკანი (21 ქულა, 13 მოხსნა, 9 პასი)
ატლანტა: ჯეკსონი (22)

**ფინიქსი 107:100 მინესოტა**
ფინიქსი: ჰარდევეი (26), რობინსონი (24), მარიონი (17 ქულა, 12 მოხსნა)
მინესოტა: ბრენდონი (18), გარნეტი (17 ქულა, 11 მოხსნა)

**კლიპერსი 110:106 დენვერი**
კლიპერსი: პიატკოვსკი (31), ოდომი (25), ანდერსონი (20)
დენვერი: მაკდაიესი (31), გეტლინგი (19)

**პორტლენდი 98:91 საკრამენტო**
პორტლენდი: საბონისი (20 ქულა, 16 მოხსნა), ვოლესი (19)
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (22), ვებერი (21 ქულა, 11 მოხსნა)

ჩემპიონ „სან ანტონიოს" ერთ-ერთი ლიდერი, შონ ელიოტი დაუბრუნდა. ადრე ელიოტი მართლაც წამყვან მოთამაშეთა შორის იყო „სფურზში", მაგრამ ძნელი სათქმელია, რა დონეს მიაღწევს ახლა. თუმც ეს ყველაფერი ახლა უკვე მეორე პლანზეა, რადგან ელიოტი გახდა პირველი სპორტსმენი, რომელიც თირკმლის გადანერგვის შემდეგ დაუბრუნდა აქტიურ სპორტს. ოპერაცია მან შუა აგვისტოში გაიკეთა, შვიდი თვეც არ გასულა და უკვე ითამაშა მიმდინარე რეგულარულ ჩემპიონატის ერთ-ერთ რიგით შეხვედრაში, რომელშიც მისი „სან ანტონიო" შინ ხვდებოდა „ატლანტა ჰოქსს". ელიოტმა თამაში სასტარტო ხუთეულში დაიწყო, მოედანზე 13 წუთი დაჰყო, კიდეც ჩაუტენა მეტოქეს და ორი ქულის გარდა თითო-თითო მოხსნა-პასიც მიითვალა. ცხადია, ეს არცთუ ისე ბევრია, მაგრამ, რაც მთავარია, ხომ ითამაშა ელიოტმა, რამაც მასმედიას საფუძველი მისცა, მისი ოპერაცია მედიცინის საოცრებად მოენათლა. ამ მატჩს, რაღა თქმა უნდა, ესწრებოდა ნოელ ელიოტი, შონის ძმა, რომელმაც თავი არ დაინანა და დედმამიშვილს თავისი თირკმელი აჩუქა. იმ დღეს „სან ანტონიოს" „ალამოდოუმში" ტევა არ იყო. 21 ათას კაციან დარბაზში ხუთი ათასით მეტი მაყურებელი მოგროვილიყო. ყველას სურდა, შონ ელიოტი თამაშში ეხილა. რაც შეეხება თვითონ შეხვედრას, იგი თავიდან ასე თუ ისე თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. „სან ანტონიომ" მხოლოდ ბოლო მეოთხედში გატეხა თავგანწირვით მებრძოლი მეტოქე. ივაჟკაცა მასპინძელთა ცენტრმა დევიდ რობინსონმა. „ადმირალმა" თავისი 26 ქულიდან 12 ბოლო წუთებში ჩააგდო და ეს მონაკვეთი თავისიანებს 20:4 მოაგებინა.

„სან ანტონიოს" გამარჯვება, ცხადია, ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ბევრი ვერავინ იფიქრებდა, რომ საცოდავი „კლიპერსიც" იმარჯვებდა. დასავლეთის ყველაზე ცუდმა გუნდმა „ლოს ანჯელეს კლიპერსმა" მიმდინარე სეზონში ზედიზედ ორი თამაში პირველად მოიგო. თანადივიზიონელი „გოლდენ სტეიტის" დამარცხების შემდეგ ლოსანჯელესელებმა „დენვერ ნაგითსიც" შეარცხვინეს და ამაში ლომის წილი ერიკ პიატკოვსკიმ და ლამარ ოდომმა დაიდეს. პირველმა კარიერაში სარეკორდო, 31 ქულას მოუყარა თავი, ახალბედა ოდომმა კი თავისი 25 ქულიდან 13 ბოლო ექვს წუთში შეაწია თავისიანებს.

„პორტლენდი" და „საკრამენტო" ორი ვარსკვლავთკრებულია და ერთმანეთთან შეხვედრაში კარგადაც აწვალეს ერთმანეთი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ორი ბებერი ევროპელი ცენტრის, ორი მოსისხლის, ლიტველი არვადას საბონისის და იუგოსლაველი ვლადე დივაცის შერკინება. საბონისმა და მისმა „პორტლენდმა" იმარჯვეს. დივაცმა (12 ქულა) კი ჯავრი იმით ამოიყარა, რომ ლიტველს ექვსი ჯარიმა მიალებინა და „პორტლენდი" ბოლო მეოთხედში მის გარეშე დატოვა, თუმც საქმეს ვერც ამით ეშველა. „საკრამენტომ" წააგო და უფრო გაიმყარა თავის დივიზიონის ცხრილში მეხუთე ადგილი.

**ირაკლი ფირაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანდრემ აურია



ჰიშამ არაზი

**ინდიან უელსი. აშშ. მასტერსის სერია — ინდიან უელსი. ჰარდი. საპრიზო 4,5 მილიონი $**

ანდრე აგასის კარიერაში ხმაურიან წარმატებებსა და ალპინისტურ ალმასვლებს მწვერვალებიდან მტკივნეული და სწრაფი დაშვება მოჰყვებოდა ხოლმე.

ძნელი სათქმელია, ხოტორა ლასვეგასელს მორიგი კრიზისის დრო დაუდგა თუ არა, მაგრამ შემაშფოთებელი ფაქტები სახეზეა: ბოლო 12 თვის მანძილზე მან პირველად წააგო ორი მატჩი ზედიზედ და ნამდვილად შორსაა იმ სუპერმენისგან, ბოლო ხანებში თავზარს რომ სცემდა მეტოქეებს.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა თებერვლის დასაწყისში ტრავმა მიიღო და ერთ თვეს დაისვენა. ამიტომ, როდესაც გასულ კვირაში ესპანელმა ფრანსისკო კლავეტმა ბდღვირი ადინა, ეს ბევრისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. მაგრამ ანდრეს უსიამოვნებები ამით არ დასრულებულა. კალიფორნიულ უდაბნოში მიმდინარე სეზონის პირველ მასტერსის (ყოფილი მერსედეს სუპერ 9) ტურნირზე ამერიკელმა ერთხელაც წაიბორძიკა, ამჯერად მაროკოელ ჰიშამ არაზისთან.

ბენდენამოკრულ ნიჭიერ არაბს აგასიმ იანვარში, ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალში სულ იოლად აჯობა, თუმცა ამჯერად საქმე სულ სხვაგვარად წარიმართა. ამერიკელი მთელი მატჩის განმავლობაში უამრავ შეცდომებს უშვებდა, ბურთს უკანა და გვერდითი ხაზების იქით, მრავალფეროვნებისთვის კი ხანდახან ბადეშიც აგდებდა, თანაც მეტოქეს 11 ორმაგითაც შეეწია.

„მელბურნში შეხვედრისგან განსხვავებული არაფერი გამიკეთებია, მაგრამ მაშინ ის თამაშობდა შესანიშნავად და ვერაფერს გავხდი. დღეს კი ანდრე გაცილებით ცუდად ირჯებოდა და თავად მომცა გამწარების შანსი“ — აღნიშნა მოგვიანებით არაზიმ.

პირველი სეტის წაგების შემდეგ აგასი ცოტა ხნით გონს მოვიდა და ანგარიში გაათანაბრა, თუმცა გადამწყვეტ ხელში ისევ აურია, 3:4-ზე მოწოდება დაკარგა და საბოლოოდ 3:6, 6:3, 3:6 წააგო.

წარმატებებს დაჩვეული ამერიკელი მარცხმა ისე გაამწარა, რომ მატჩისშემდგომ სავალდებულო პრესკონფერენციაზეც არ გამოცხადდა (რისთვისაც 1000 დოლარიანი ჯარიმა დაეკისრა) და მხოლოდ შუამავლის პირით შემოთვალა, საშინლად იმედგაცრუებული ვარ, სამარცხვინოდ ვითამაშეო.

ბუნებრივია, არაზის რეაქცია სულ სხვაგვარი იყო: „ეს ჩემი კარიერის საუკეთესო გამარჯვებაა. შესანიშნავია, რომ მელბურნში განცდილი მარცხისთვის შურისძიება მოვახერხე“.

სამაგიეროდ, არ გააწბილა თანამემამულეები მსოფლიოს მეორე ჩოგანმა პიტ სამპრასმა. პისტოლ პიტმა რამდენიმე დღის წინ სკოტსდეილში ზურგის მყესები დაიჭიმა, თუმცა დროულად მოასწრო გამოჯანმრთელება და პირველი წრის მატჩში უკრაინელ ანდრეი მედვედევთან შთამბეჭდავად გამოიყურებოდა.

უიმბლდონის ექვსგზის ჩემპიონმა 10 ეისი მოაწოდა, ბადესთან დიდებულად ითამაშა და მოუქნელ უკრაინელთან სისწრაფეში დიდი უპირატესობა კარგად გამოიყენა — 6:4, 6:3.

„თიხნარზე მან რამდენჯერმე მომიგო, ამიტომ ამ შეხვედრას დიდი სერიოზულობით მივუდექი. მთლიანობაში კმაყოფილი ვარ, კარგად ვმოძრაობდი, ვაწოდებდი და, რაც მთავარია, არაფერი ამტკივებია“ — განაცხადა სამპრასმა.

ბედს არ უჩივის კიკინიანი ჩილელი მარსელო რიოსიც. ორი წლის წინ სამხრეთამერიკელმა ინდიან უელსთან ერთად არანაკლებ პრესტიჟული კი ბისკეინის ტურნირიც მოიგო და მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდა, თუმცა მას შემდეგ ათასგვარი ტრავმის გამო იშვიათად ასპარეზობს.

ნოემბერში გაკეთებული მორიგი, საზარდულის ოპერაციის შემდეგ ჩილელი ნელ-ნელა იბრუნებს ჩვეულ ფორმას და ჩეხი დანიელ ვაცეკის 7:6 (7:5), 6:1 ძლევამაც საკმაოდ ოპტიმისტურად განაწყო: „თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ. ჩემს ახალ მწვრთნელთან ერთად სიმძიმეების აწევაში ბევრს ვვარჯიშობ და ფიზიკურად ასე ძლიერი არასოდეს ვყოფილვარ. ვერ ვიტყვი, რომ ისევე კარგად ვთავაშობ, როგორც ორი წლის წინ, თუმცა მწამს, რომ ეს მხოლოდ დროის საქმეა“.

პირველი წრე: **ევგენი კაფელნიკოვი** (3, რუსეთი) — ვინსენტ სპედეა (აშშ) 6:1, 6:1; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — ნიკოლას კიფერი (4, გერმანია) 6:1, 6:4; **გუსტავო კუერტენი** (5, ბრაზილია) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 7:5, 3:6, 6:3; **მაგნუს ნორმანი** (6, შვედეთი) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 6:3, 6:4; **ნიკოლას ლაპენტი** (8, ეკვადორი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:3, 6:3; **ნიკოლა ესკუდე** (საფრანგეთი) — სედრიკ პიოლინი (9, საფრანგეთი) 7:5, 7:6 (7:4); **ტომას ენკვისტი** (10, შვედეთი) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 6:1, 6:4; **ტიმ ჰენმანი** (11, ინგლისი) — ქარიმ ალამი (მაროკო) 7:5, 6:2; **მარკ ფილიპუსისი** (12, ავსტრალია) — კრის ვუდრაფი (აშშ) 6:3, 6:4; **პატრიკ რაფტერი** (13, ავსტრალია) — მარკუს ონდრუშკა (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 7:6 (9:7); **ლეიტონ ჰიუიტი** (16, ავსტრალია) — კარლოს მოია (ესპანეთი) 6:4, 3:6, 6:3; **ალექს კორეტხა** (ესპანეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:2, 6:2; **მაიკლ ჩანგი** (აშშ) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) 7:5, 6:4;

თუ ძლიერი სქესის წარმომადგენლები მხოლოდ ახლა ხურდებიან, ქალების ტურნირმა ინდიან უელსში უკვე კარგა ხანია ეკვატორი გადალახა.

მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი ბოლო ხანებში დაკუნთულმა კოლეგებმა — ლინდსი დევენპორტმა და დებმა უილიამსებმა შესამჩნევად შეავიწროვეს, თუმცა შვეიცარიელი მუხლჩაუხრელად ვარჯიშობს ზომაწონაში ჩამორჩენის როგორმე ასანაზღაურებლად და ჯერჯერობით კლასიფიკაციაში პირველობასაც ინარჩუნებს.

„ყველანაირად ვცდილობ ძალისმიერ ჩოგბურთელებს ფეხი ავუწყო. მაგალითად, გაცილებით გავაუმჯობესე პირველი მოწოდება, ბადესთან თამაში და დარტყმების სიძლიერე“ — მიაჩნია მარტინას. მთავარ მეტოქეებზე ამ სიახლეების გამოცდის შესაძლებლობა ჰინგისს ჯერ არ მისცემია, თუმცა თავისი წონითი კატეგორიის დიაცებს მართლაც უფრო იოლად ანადგურებს. მერვედფინალში ავსტრიელ ბარბარა შეტს მან 40 წუთზე ოდნავ მეტი დაახარჯა, 6:1, 6:1 მოუგო და პრესკონფერენციაზე ერთი პანღურიც მიაყოლა.

„ბარბარა სულ იმეორებდა, რა მჭირს, რა ხდებაო. იმას კი ვერ მიხვდა, რომ ეს ჩემი დამსახურება უფრო იყო, მეტად საზრიანად ვირჯებოდი — ჩვეული გესლიანი ღიმილით განაცხადა შვეიცარიელმა — ისე კარგად ვთამაშობდი, ლამის თავად შემეშინდა“.

ისე, შიშის გრძნობა სერენა უილიამსის მეტოქეებს უფრო გაუჩნდებათ: აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონმა ამომავალი ვარსკვლავი, 16 წლის ბელგიელი კიმ კლაისტერსი 6:4, 6:4 დაჯაბნა, თანაც საკუთარი მოწოდების სიჩქარის რეკორდი დაამყარა — 121 მილი/საათში (დაახლოებით 195 კმ/სთ).

„საშინლად გახარებული და აღგზნებული ვარ. მინდა, ყველა ნაცნობს დავურეკო და ვახარო, განსაკუთრებით კი ვინუსს“ — გაიღრიჭა სერენა, რომელიც ახლა უფროსი დაიკოს მსოფლიოს რეკორდს სულ რაღაც 6 მილი/საათით ჩამორჩება.

მერვედფინალი: **ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — ჟული ალარი (9, საფრანგეთი) 6:2, 6:1; **მარი პირსი** (5, საფრანგეთი) — ელენა ლიხოვცევა (16, რუსეთი) 6:3, 5:7, 7:5; **კონჩიტა მარტინესი** (6, ესპანეთი) — დომინიკ ვან რუსტი (ბელგია) 6:0, 3:0 — ტრავმა; **მონიკა სელეში** (7, აშშ) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 6:3, 2:6, 6:3; **ელენა დემენტიევა** (რუსეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 7:6 (7:2), 6:2

**ავთანდილ სვანიძე**




მარტინა ჰინგისი



ყველაზე დიდი მამალი ფაბიენ პელუ (ბურთით), შარშანდელ მსოფლიოს თასზე ყვინჩილა იყო

# ყველასთან ვერ იძმაკაცებ

შარშან შემოდგომაზე გამართული მსოფლიოს თასის შემდეგ, საფრანგეთის ნაკრებს მთავარი მწვრთნელი შეეცვალა. ჟან-კლოდ სკრელას ადგილი ბერნარ ლაპორტმა დაიკავა, რომელმაც მაშინვე შეცვალა „მამლების“ კაპიტანიც. რაფაელ იბანესის ნაცვლად ახლა უკვე ფაბიენ პელუ ატარებს ფრანგთა ნაკრების კაპიტნის სამკლაურს და, შეიძლება ითქვას, ღირსეულადაც. ახლა, სწორედ ფაბიენ პელუსთან ინტერვიუს გთავაზობთ:

**— კაპიტანი ბრძანდებით და გუნდის საქციელზე პასუხს აგებთ. ნაკრებში ყოველი თამაშის წინ ბევრი ახალი წევრია. ამის გამო ხომ არ გიჭირთ დაკისრებული მოვალეობის შესრულება?**

— რა თქმა უნდა. მათთან ურთიერთობა გაცილებით იოლია, ვინც უკვე დიდი ხანია, ნაკრებში თამაშობს, გამოცდილებაც საკმაოდ აქვს და სისტემასაც კარგად იცნობს. ახალბედებისთვის გუნდის ტაქტიკის ახსნა და სხვადასხვა წვრილმანების გაგებინებაა საჭირო. ამას ძალიან ბევრი დრო მიაქვს, მაგრამ აუცილებელია. ეს ჩემი მოვალეობაა და ვფიქრობ, თავს მშვენივრადაც ვართმევ.

**— მინდორს მიღმაც ბევრი რამ გევალებათ. საჭიროა უცნობ ხალხთან ახლო ურთიერთობების დამყარება, რაც არც თუ ისე იოლია...**

— ყველაზე მეტად მატჩის მოგება მაღელვებს, მთავარი ჩემთვის მინდორია. ყველანი სრულწლოვანები ვართ და ადამიანური ურთიერთობებიც რაღაცნაირად თავისით მყარდება...

**— მაგრამ მაღალი შედეგების მისაღწევად განა კარგი ურთიერთგაგება არაა საჭირო?**

— ძალიან, ძალიან კარგად შეგიძლიათ ითამაშოთ, როცა ძმაკაცები ხართ, მაგრამ იგივე შედეგების მიღწევა ნამდვილად ძმაკაცობის გარეშეც შეიძლება. რაც არ უნდა იყოს, ოცდაერთ კაცთან ერთნაირად მეგობრული ურთიერთობა ვერაფრით გექნება. ყოველთვის არსებობენ მოთამაშეები, რომლებთანაც უფრო ახლოს ხარ, ვიდრე სხვებთან. ეს სავსებით ნორმალურია. გუნდის შედეგებზე ამან გავლენა არ უნდა მოახდინოს.

**— რა მოგიტანათ კაპიტნის სამკლაურმა? თვითრწმენა არ შეგმატათ?**

— არა, მსოფლიოს თასზე კარგად გამოსვლამ უფრო დამაჯერა ჩემს შესაძლებლობებში, ვიდრე საფრანგეთის ნაკრების კაპიტნად გახდომამ. თუმცა გარკვეულწილად მაინც უფრო თავდაჯერებული გავხდი. ადრე კომპლექსები გამაჩნდა, ვფიქრობდი, იქნებ რამე შემეშალა-მეთქი. „მამლების“ კაპიტნობამ და უპირველეს ყოვლისა ნაკრებში კარგმა თამაშმა დამარწმუნა, რომ ჩემი დონე, როგორც მორაგბისა, საკმაოდ მაღალია.

**— ექვსი ერის პირველობაზე რომელიმე მოთამაშე თუ „აღმოაჩინეთ“?**

— ჟან დოდე და სებასტიან შაბალი. ეს ორი მორაგბე ძალიან მომეწონა. სულ არ ეტყობოდათ, თუ ნაკრებში ახალბედები იყვნენ. დოდეს ადრეც ვიცნობდი, მის წინააღმდეგ რამდენჯერმე მითამაშია, მაგრამ იმ დროს მასზე დაკვირვებისთვის არ მეცალა. შაბალის შესახებ კი თითქმის არაფერი გამეგონა, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ რადგან ბერნარ ლაპორტმა ნაკრებში მოიწვია, იგი ამას ნამდვილად იმსახურებდა.

**— ექვსი ერის პირველობის მეოთხე ტურში ირლანდიას ხვდებით. რა აზრის ხართ მეტოქეზე?**

— ირლანდიელები გაცილებით ტექნიკურად თამაშობენ, ვიდრე ამას უახლოეს წარსულში ახერხებდნენ. ახლა თავიანთი „უტეხი სულის“ გარდა მოწინააღმდეგის დასამარცხებლად სხვა იარაღიც გააჩნიათ. მათი ჯობნა ერთობ გაგვიჭირდება.

**თარგმნა გაგი გურულმა**

# მსაჯობა გართობაა?

„ოლ ბლექსის“ ყოფილმა კაპიტანმა შონ ფითსპატრიკმა, რომელიც კარიერის მანძილზე მსაჯებთან ხშირი კამათითაც იყო ცნობილი, ქვეყანას ამცნო, რომ სასტვენის ხელში დაჭერა და რაგბის მატჩების განსჯა განუზრახავს. „ეს ყოველთვის იყო ჩემი ერთ-ერთი ჰობი“ — განაცხადა ყოფილმა მთავარმა „შავმა“ მას შემდეგ, რაც ახალი ზელანდიის რაგბის ფედერაციამ მას 300 მოყვარული მსაჯის მოზიდვის პროგრამის ხელმძღვანელობა დაავალა.

ახალზელანდიელთა ყოფილმა კაპიტანმა უარყო ცნობები, რომ მსაჯობა მხოლოდ მინდორზე დაბრუნებისთვის გადაწყვიტა. შეგახსენებთ, რომ ფითსპატრიკს მუხლის ტრავმის გამო ბუცების კედელზე ჩამოკიდება ნაადრევად მოუხდა.

„მსაჯობა დროის გატარების მშვენიერი შესაძლებლობაა. არა აქვს მნიშვნელობა, ახალგაზრდული გუნდების თამაშებს ემსახურები თუ პროფესიონალებისას“ — აღნიშნა ფითსპატრიკმა. კაპიტნობისას იგი მსაჯებთან ლაპარაკის უფლებას ძალიან ხშირად „ბოროტად“ იყენებდა და ეკამათებოდა მათ. ერთ-ერთ სამხრეთაფრიკელ ჟურნალისტს, რომელმაც ჰკითხა, ცდილობდა თუ არა იგი არბიტრებისთვის გადაწყვეტილებები შეეცვლევინებინა, შონ ფითსპატრიკმა უპასუხა: „არა, უბრალოდ მათთან დავა ძალიან მართობდა“.

**გაიოზ თალაგძაძე**

მთის თხილამურობა

# ჰერმინატორი: ეს თასიც ჩემია!

ბორმიოში დათბა. პატარა ლომბარდიული ქალაქი, ალპების სამხრეთ ფერდობებს ზედ შვეიცარიის საზღვართან რომ შეხიზნვია, კვირის ბოლომდე თხილამურობის მოყვარულთა ცენტრალური პუნქტი იქნება, რადგან იქ ქალებიც და კაცებიც სამთომოთხილამურეთა მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპებს დაფარავენ და თანაც, ოთხივე სახეობაში: სლალომში, გიგანტურ სლალომში, სწრაფდაშვებასა და სუპერგიგანტში ისრიალებენ. მთელი ეს ამბები, ცხადია, მაღალ მთებში დატრიალდება, სადაც ბორმიოს სასტუმროებში მოთავსებული მოთხილამურეები და სხვები, ალბათ, საბაგირო გზებით ავლენ. სრიალი იქ, ხოლო დაბლა ორგანიზატორებს სტუმრებისთვის ერთი ფრიადი სიურპრიზი მოუმზადებიათ — რახან ბორმიოში ტემპერატურამ ცელსიუსის 13 გრადუსს მიაღწია და ქალაქის შემოგარენიც გადაჯეჯილდა, მსურველებს გოლფის მოედანზე უხმეს. აქამდე არც გაგვეგო და თურმე, ერთი ასეთი კანონზომიერება არსებულა — ყველა პროფესიონალ მოთხილამურეს გულის სიღრმეში ძლიერ ჰყვარებია გოლფის თამაში და ამ მხრივ მასპინძელთა მონდომება უთუოდ დასაფასებელია.

მთავარი ამბები კი მაინც, როგორც ვთქვით, იქ, მაღლა, მთებში მოხდება და ერთი მოხდა კიდეც. გუშინ ავსტრიელმა ჰერმან მაიერმა სწრაფდაშვების საერთო ჩათვლა მოიგო და წლევანდელი სათასო დამსახურებები გაუსამდა. აქამდე, მოგეხსენებათ, „ჰერმინატორმა“ უკვე ირგუნა ერთიანი და სუპერგიგანტის თასთა მფლობელის ტიტულები. ისე, უშუალოდ ბორმიოს ეტაპი მაიერს არ მოუგია, მან ეს პატივი თანამემამულე ჰანეს ტრინკლს დაუთმო. ან რაღად უნდოდა, როცა მისი მთავარი კონკურენტი,იტალიელი კრისტიან გედინა ერთ მოსახვევში მოცურდა, კინაღამ დაეცა და ფინიშსაც მხოლოდ მეთოთხმეტემ უწია. „რაღაც არ მომეწონა დღეს ჩემი სრიალი“ — საქმიანად თქვა მაიერმა — „განსაკუთრებით იმ მოსახვევმა დამბოლმა, გუშინ რომ მშვენივრად გავიარე და დღეს ძლიერ ცუდად. იმის შემდეგ გამარჯვებაზე აღარც მიფიქრია, ის კი არა, არც მეგონა, ათეულში თუ მოვხვდებოდი“. გედინამ შეინარჩუნა საბოლოო მეორე ადგილი 675 ქულით, რაც მხოლოდ მაიერის მრგვალ 800-ქულიან მაჩვენებელზე ნაკლებია. იტალიელზე საუბარი აქ მოვრჩეთ და ავსტრიელებს მივხედოთ, რადგან გუშინდელი სწრაფდაშვების მოწინავეთა სია თითქმის სულ მათი გვარებისგან შედგება: მესამე კრისტიან ვებერი იყო, შემდეგი — ფრიც შტრობლი, მეექვსე — ვერნერ ფრანცი და მეშვიდე — კიდევ ერთი შტრობლი, სახელად იოზეფი, მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში მყარი მესამე ადგილი რომ უკავია. რაც შეეხება გუშინდელ გამარჯვებულს, სწრაფდაშვებაში მისი დაფნის გვირგვინთა სია ერთობ მოკლეა და მთელ კარიერაში გუშინდელის ჩათვლით მოგებულ ოთხ ეტაპს მოიცავს.

დავით გულუა


REUTERS ბორმიოდან

ზამთრის ხელმწიფე ჰერმან მაიერი

ჰოკეი

# ძვალთა მტვრევა მონრეალში

14 მარტი

**დეტროიტი — ნეშვილი 3:2**

1:0 1:1 0:1 1:0

1:0 ფიოდოროვი 11'53 (21); 2:0 შენაჰანი 32'57 (36); 2:1 ფიცჯერალდი 34'34 (11); 2:2 ვალიჩევიჩი 44'12 (14); 3:2 შენაჰანი 64'10 (37)

**მონრეალი — ტამპა 3:4**

1:2 0:0 2:2

0:1 მარტინი 1'43 (6); 1:1 ლინდენი 2'51 (13); 1:2 ლეკავალიე 5'39 (20); 1:3 მოდინი 43'56 (18); 2:3 ჟოლტოკი 45'05 (22); 2:4 მოდინი 54'03 (19); 3:4 სტივენსონი 57'44 (6)

**კოლორადო — ანაჰაიმი 4:2**

1:0 0:0 3:2

1:0 დრური 17'13 (19); 1:1 ტვერდოვსკი 40'35 (12); 2:1 ბურკი 42'20 (13); 3:1 ფორსბერგი 45'37 (13); 4:1 საკიკი 52'38 (22); 4:2 დონატო 54'15 (10)

ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი დეტროიტი, 5-მატჩიანი სერიის შემდეგ (+3+2-0) შინ ძალიან კარგ გუნებაზე დაბრუნდა. ბოლო წარმატებების შემდეგ „წითელფრთიანები“ კონფერენციის ლიდერ სენტ ლუისს მიუახლოვდნენ და ნეშვილთან დაგეგმილი მოგებით სხვაობას ორ ქულამდე ამცირებდნენ. დეტროიტმა კი გაიმარჯვა, მაგრამ გაჭირვებით. თავიდან თითქოსა ყველაფერი ისე აეწყო, როგორც მასპინძლები ვარაუდობდნენ — დამაჯერებლად დაიწყეს თამაში და 2:0-საც იგებდნენ. მერე დამშვიდდნენ და... ზედიზედ ოთხი წუთის განმავლობაში რიცხვმრავლობაში მოთამაშე დეტროიტელები ერთობ დაუდევრად ირჯებოდნენ, ამას უხეში შეცდომაც მიაყოლეს და მეტოქეს საშუალება მისცეს, ერთი გოლი გაექვითა. მესამე პერიოდში ყველაფერი განმეორდა — მასპინძლებმა ისევ რიცხვმრავლობაში გაუშვეს, ანგარიში გათანაბრდა და დეტროიტს ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო, თუმც ძირითადი დროის დამთავრებამდე ველარაფერი გააწყო. ოვერტაიმში კი „წითელფრთიანებს“ ლარი მერფი გაუძევეს და უმცირესობაში დარჩნენ, თუმც ბოლოს ბედმა მაინც გაუღიმათ. საჯარიმო წუთების დასრულებისთანავე მასპინძლებს კარგი შეტევა გამოუვიდათ და ნიკლას ლიდსტრიომის (3 პასი) დარტყმის შემდეგ დამატებაზე ბრენდან შენაჰანმა იხეირა. ასეა თუ ისე, დეტროიტმა მოიგო და პლეი ოფის საგზური ზედიზედ მეათედ მოიპოვა.

მონრეალმა ტამპასთან მარცხი მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. იმის ნაცვლად, რომ მაჩანჩალასთან ორი ქულა აეღო და კონფერენციის ცხრილში მეშვიდე ადგილზე გამაგრებულიყო, კანადელებმა მეტოქეთა ლიდერებს — ვენსან ლეკავალიეს (1+1) და ფრედერიკ მოდინს მოქმედების სრული თავისუფლება მისცეს და დაისაჯნენ კიდეც. თანაც ერთ-ერთი ლიდერი ტრევორ ლინდენი დაემტვრათ, რომელმაც პაველ კუბინას ძალისმიერი ილეთის მერე ორი ნეკნი გაუტყდა.

ზედიზედ მეექვსედ მოიგო კოლორადომ, რომელიც რეი ბურკის მისვლის შემდეგ ჩინებულად გამოიყურება. აღსანიშნავია, რომ თავის სადებიუტო მატჩისგან განსხვავებით, სახელოვანი მცველი მხოლოდ პარტნიორებზე ზემოქმედებას არ სჯერდება და გუნდს საკმაოდ აქტიურად ეხმარება. პარასკევს ბურკმა ორი გოლით მთავარ კონკურენტ ედმონტონთან გამარჯვება განაპირობა, ამჯერად კი გოლით და პასით ანაჰაიმის ძლევაში ლომის წილი დაიდო.


REUTERS მონრეალიდან

ტამპელმა პაველ კუბინამ მონრეალელ ტრევორ ლინდენს ნეკნები ჩაუმტვრია

# მორჩა ბაზარი!

14 მარტი, აშშ-ის დროით 3 საათი — ეს დედლაინის დასრულების დროა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამის შემდეგ სეზონის ბოლომდე არც ერთი გაცვლა აღარ მოხდება. როგორც ვარაუდობდნენ, ბოლო დღემ შედარებით მშვიდად ჩაიარა: 12 ტრეიდი 1993 წლის შემდეგ ყველაზე მცირე მაჩვენებელია. უკვე გაუწყეთ, რომ არაერთმა სახელოვანმა მოთამაშემ (რეი ბურკმა, დუგ გილმორმა, კრის გრეტონმა, როკ ტოკეტმა და სხვებმა) მოითავა საქმე წინა დღეებში, დარჩენილთაგან კი თითქმის არც ერთმა არ გამოიცვალა კლუბი. ეს, უპირველეს ყოვლისა, აილენდერსის მცველ კენი იონსონს (მისი ყიდვა ტორონტოს სურდა), მონრეალის ფორვარდ შეინ კორსონსა და ტამპის მცველს პეტრ სვობოდას ეხებათ. სხვაგან გადასვლას ყველაზე მეტად სწორედ ამ უკანასკნელს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ჩეხმა, ყველასათვის მოულოდნელად, თავის გუნდთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა და მსურველები ხელცარიელი დატოვა. არც მარკ მესიემ გაამართლა მოარული ჭორები, ნიუ ჯერსიში წასვლას აპირებსო. „ეშმაკებმა“ მისი თანაკლუბელი ალექსანდრ მოგილნი ირჩიეს. ეს გაცვლა დედლაინის ბოლო დღის მთავარ მოვლენად იქცა.



ალექსანდრ მოგილნი

ამრიგად, 31 წლის რუსი, რომელმაც 1992-93 წლებში 76 გოლი გაიტანა, გახდა ის კაცი, რომლის მეშვეობითაც აპირებს ნიუ ჯერსი თავისი შედეგიანობის ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში მოგილნი ტრავმებმა დატანჯა, რის გამოც წლეულს მხოლოდ 47 შეხვედრა ჩაატარა, იგი არ ნებდება, ბოლო მატჩებში კვლავ ძველებურად გამოიყურება და „ეშმაკებსაც“ სჯერათ, რომ „ალექს მრისხანე“ კლუბის ისტორიაში ერთ-ერთ გამორჩენილ სნაიპერად შევა.

იაქტიურა პიტსბურგმა. ეს გასაგებიცაა, რადგან „პინგვინებმა“ იარომირ იაგრის არყოფნაში ბევრი ქულა დაკარგეს და ათი წლის განმავლობაში პირველად დაემუქრათ პლეი ოფს მიღმა დარჩენა. ბოლო დღეს განხორციელებული 12 ტრეიდიდან 5-ში სწორედ პიტსუბრგი მონაწილეობდა და თავისი შემადგენლობის თითქმის ნახევარი გაცვალა. ყველაზე მთავარი ისაა, რომ გუნდის ვეტერანი მეკარე ტომ ბარასო ოტავაში გადავიდა. მის ნაცვლად კი პიტსბურგმა ასევე მეკარე, 32 წლის რონ ტაგნატი და მცველი იან ლაუკანენი მიიღო.

გარდა ამისა, „პინგვინებმა“ მცველ ბრედ ვერენკას ნაცვლად კალგარიდან დაცვითი ფუნქციების მარჯვე შემსრულებელი, ფორვარდი რენე კორბე შეიძინეს, ხოლო ფორვარდ გერმან ტიტოვის მაგივრად ედმონტონიდან ასევე თავდამსხმელი იოზეფ ბერანეკი შეიმატეს.

გამოვარჩევთ კიდევ რამდენიმე ტრეიდს. კალგარიმ მცველი კრეიგ ჰალსი ნეშვილს ფორვარდ სერგეი კრივოკრასოვში გაუცვალა. ებერის ტრავმის შემდეგ ძირითადი გოლკიპერის გარეშე დარჩენილმა ანაჰაიმმა ნეშვილის მეკარე კორი ჰირში შეიძინა, ხოლო ფლორიდამ ტამპაში საკმაოდ შედეგიანად მოთამაშე ფორვარდი მაიკ სილინჯერი მიიწვია.

ის, რომ დედლაინის ბოლო დღე ნაკლებად შთამბეჭდავი გამოდგა, მნიშვნელოვნად განაპირობა უქმეებზე მომხდარმა გაცვლებმა.

მთავარი კი ჩიკაგოს ცნობილი ცენტრფორვარდის, დუგ გილმორის ბუფალოში გადასვლაა. „ხმლებმა“ ორიოდ დღეში ორი უმნიშვნელოვანესი გაცვლა განახორციელეს. ამით მათ ის დანაკლისი აინაზღაურეს, რაც კაპიტან მაიკ პეკას ტრავმის გამო ასპარეზობიდან კარგა ხნით გამოთიშვას მოჰყვა.

ბუფალომ პერსპექტიული ფორვარდი ჟან პიერ დიუმონი შეიძინა. მათ ნაცვლად „ქორების“ რიგებში ჩეხი ფორვარდი მიხაილ გრომეკი გადავიდა.

დეტროიტი ვეტერანი ფინიქსელი მცველის ტოდ გილის შეძენით შემოიფარგლა. იგი შარშანაც თამაშობდა დეტროიტში, მაგრამ ხშირად ვერ ხვდებოდა ძირითადში და ბოლოს გაყიდეს. საინტერესოა, რისთვის დასჭირდა 34 წლის გილი დეტროიტის ისედაც ბებერ დაცვით ხაზს...

პლეი ოფში შარშანდელი ფიასკოს შემდეგ ლოს ანჯელესი შეცდომების გამეორებას აღარ აპირებს. ამაში კი გუნდს ატლანტაში შეძენილი ორი ფორვარდი — კელი ბუკბერგერი და ნელსონ ემერსონი უნდა გამოადგეს. მათ ხანაცვლოდ „მეფეებმა“ მეორე ხაზში მოთამაშე დონალდ ოდეტი და ახალბედა მცველი ფრანტიშეკ კაბერლე გაიმეტეს, რაც ფრიად სოლიდური დანაკარგია.

სამველ ლარიბიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა განსხვავებაა გაზეთ „სარბიელსა“ და ჟურნალ „სარბიელს“ შორის?

- გაზეთი „სარბიელი“ თითქმის ათი წელიწადია რაც გამოდის, ჟურნალი „სარბიელი“ კი

ორშაბათიდან იყიდება

- გაზეთი „სარბიელი“ კვირაში ხუთჯერ მიდის მკითხველთან, ჟურნალი „სარბიელი“ თვეში ერთხელ მივა.
- გაზეთი „სარბიელი“ შავ-თეთრია, ჟურნალი „სარბიელი“ — ფერადი.
- და რა არის საერთო გაზეთ „სარბიელსა“ და ჟურნალ „სარბიელს“ შორის?




ორივე სარბიელია



# სერენგეტის თავზე

განა შენ კი არ გინდა, რომ უშველებელ საჰაერო ბურთში ჩაჯდე და გადაუფრინო სერენგეტის ტბასა და ნაკრძალს, ტანზანიაში რომ ძევს და სამ მილიონამდე იქაურ ცხოველს ინახავს. ზებრები, ჟირაფები, სპილოები, მაიმუნები, სხვა მხეცები. ლონდონში ბილეთის ლატარიაა გახურებული: ყოველი ოთხი ათასი მსურველიდან ერთი ამ საჰაერო ბურთში დაიჭერს ადგილს.

# ტორონტოს ცხოვრება

„ტორონტო მეიპლ ლივზის“ ვარჯიშზე ხალხი ყოველთვის მრავლადაა. ნეკერჩხლოვანთა გუნდის შვედი კაპიტანი მატს სუნდინი ავტოგრაფს არ იზარებს, ბიჭუნებთან პრანჭვა არ ეგების. „ტორონტოს“ ამ ვარჯიშს კი მწუხარება სდევდა თან. ექიმებმა თქვეს, რომ „ოტავა სენატორებთან“ შეხვედრაში შემთხვევით დაშავებული ტორონტოელი ბრაიან ბერარდი ცალი თვალით ველარასოდეს დაინახავს.





# რკინის ქალები

შუა ბანგკოკში... ამ ტაილანდელი გოგონებიდან ერთი ფრენბურთელია და პიტსანუ პლენკომი (მარცხნივ) ჰქვია, მეორე კი მსახიობი გახლავთ და კოკორნ ბენჯატკიპულს ეძახიან. ისინი ერთად მონაწილეობენ ფილმში, რომელსაც „რკინის ქალი“ ჰქვია და რომელიც მოგვითხრობს ერთი პატარა ქალაქის ფრენბურთელ ქალთა გუნდის ცხოვრებაზე. ფილმის რეკლამის ამბავში ორივენი ტელევიზიაში მიუწვევიათ. ახლა კი დროა გამოვაცხადოთ, რომ არავითარი გოგონები ესენი არ არიან, არამედ ორივე ტრანსვესტიდა კაცად დაბადებული გახლავთ.



# დიდი ათეულიდან

ახლოა ჟამი, როცა ამერიკის უპოპულარულესი შეჯიბრი, უნივერსიტეტების საკალათბურთო პირველობა ფინიშის სწორზე გავა. „მარტის სიგიჟედ“ წოდებული დიდ ათეულთა შეჯიბრი თითქმის დასრულდა. მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სპარტანთა“ გუნდი გამარჯვებულთათვის ტრადიციულ რიტუალს ასრულებს. მორის პეტერსონი (მარცხნივ) და მეტინ კლივსი (მარჯვნივ) კალათიდან ბადეს სჭრიან. მიჩიგანელებმა ილინოისელებს სძლიეს და დიდი ათეულის ჩემპიონები შეიქნენ. ახლა დიდ ოთხეულამდე მისვლაა საქმე.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აზნიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli